

პოლიტიკა

ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტი იზრდება

გუშინ, იაბულაჯის 11 სექტემბრის მსხვერპლთა სახელობის სამხედრო პოლიგონზე, ერაყში გასამგზავრებული კონტინგენტის წევრები დასრულდა. საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის 176 ჯარისკაცს, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ოცეულს და საინჟინრო ასეულის 18 სამხედრო მოსამსახურეს სათანადო სერთიფიკატები გადაეცათ.

აქრონოია

სხვა გზა არ არის, გზაგზა ორმოები იქნება

90 მილიონი საქართველოს გზებს კენიტიდ არ ეყოფა. ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია კი ზაფხულში, როცა გზების შეკეთების სეზონი იწყება, დიდ სამუშაოებს გეგმავს.

უხვოთი

ჭონ ქარი ამერიკელს ახალ საბარძო პოლიტიკას ვპირდება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან ჯონ კერი სიტყვით საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. მან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრა და, გამარჯვების შემთხვევაში, ამერიკელ ხალხს შეპირდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ახალ საერთაშორისო კოალიციას შეკრავს.

საზოგადოება

ქარბი მანძი საპარტოვლოსთი

საქართველოს, რომლის ტერიტორიის სამ მეთოხდს მთები ნარმოადგენს, სამთო ტურიზმის განვითარების კარგი მანძი ეძლევა. ამას საფუძვლს ჩაუყრის მთამსვლელობა საერთაშორისო ასოციაციების კავშირის (UIAA) რეკაციაინ დელეგაციის ვიზიტი.

სამართალი

პოლიციელების ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენა

პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს ამიერიდან კითხვარები დაურიგდება, რომელიც პოლიციელის ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

აქონი

|          |    |   |
|----------|----|---|
| თბილისი  | 23 | ☁ |
| ქუთაისი  | 26 | ☁ |
| ბათუმი   | 21 | ☁ |
| სოხუმი   | 21 | ☁ |
| ფოთი     | 23 | ☁ |
| თალავი   | 23 | ☁ |
| ზუგდიდი  | 24 | ☁ |
| გორი     | 22 | ☁ |
| ახმეტა   | 23 | ☁ |
| ჰიათარა  | 24 | ☁ |
| ბაბრა    | 18 | ☁ |
| სამტრადი | 25 | ☁ |

|                                                    |         |
|----------------------------------------------------|---------|
| უხვოარი ვალდის ოფიციალური ქარსი ლართან მიმართებაში |         |
| აშშ დოლარი                                         | 1. 9200 |
| ევრო                                               | 2. 3570 |
| გირვანქა სტერლ.                                    | 3. 5293 |
| რუბლი                                              | 0. 0662 |

რუსული კავიტალი საქართველოში ყველაფერს ეყოფა

მაია ურუაძე

შეხვედრამ, რომელიც საქართველოს ოფიციალურ რუს ბიზნესმენებს მოუწყო, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რუსული კავიტალი ყველაფერს და ყველაფერში - დაახლოებით ასე შეიძლება გადმოიკეს საქართველოს მთავრობის განწყობა ბიზნეს-ფორუმის მონაწილეთა მიმართ, რომელთა ჩამოსვლამაც საქართველოს სახელისუფლებო და ბიზნეს-სტრუქტურების მაღალ ეშელონებში დიდი მითქმა-მოთქმა და მოძრაობა გამოიწვია. დაბსწრე ბიზნესმენები კონფერენციის მსვლელობის დროსაც კი საქმეებზე საუბრით იყვნენ დაკავებული. კონფერენცია მხოლოდ გუშინ გაიხსნა, თუმცა, ორივე მხარე უკვე მეტ-ნაკლებად ემყოფილია: საქართველომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისკენ გზა გაუხსნა. რამდენიმე ქართველმა ბიზნესმენმა კი საკუთარი ბიზნესი იქვე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართული კონფერენციის დასრულებამდე, "სარფიანად დააბინა".

ბაბრძაძეა A3 ბაბრძაძეა

ქართველები წინა პლანზე.

ბიზნეს-"შაბლიკ"-ფორუმი

ოთარ ქირია

ცივილიზებული საზოგადოების სტანდარტი ასეთია: ყველა ფორუმს, კონფერენციას, შეხვედრასა თუ სემინარს ახლავს საინფორმაციო, განმარტებითი ან შემეცნებითი თვალსაჩინოებები. ძირითადად, ორგანიზატორები ასეთი სახის ინფორმაციას მონაწილეებს ბუკლეტების, ბროშურების და სხვა სახით აწვდიან. რა ინფორმაცია დაურჩევს გუშინდელ ბიზნეს-ფორუმზე რუს ბიზნესმენებს? გუშინ რუსი ბიზნესმენებისთვის განკუთვნილ სპეციალურ საქაღალდეში, სადაც შეხვედრის ორგანიზატორებს მრავალი საინტერესო ინფორმაცია განუთავსებიათ, ვიხილეთ შედეგადიანი, რუსულ ენაზე შესრულებული ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ეს ამ ტიპის შეხვედრის უმნიშვნელო დეტალია, თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ ერთი გარემოების ხაზგასმა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ გადმოვთარგმნოთ ზოგიერთ ეპიზოდს. დეტალაქი - თბილისი. ქვეყნის ხელმძღვანელი - პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი. დრო - მოსკოვს ერთი საათით უსწრებს. საინფორმაციო ცნობარი - 09. რელიეფის აღწერაში (რომელიც მხოლოდ სამი ხაზით არის გადმოცემული), სერიოზული შეცდომაა გაპარული. კერძოდ, მწვერვალი შხარა, ფორუმის ორგანიზატორების აზრით, 5068 მეტრი სიმაღლის ყოფილა. სინამდვილეში კი, ალპინისტები ამბობენ, რომ შხარა ზღვის დონიდან 5200 მეტრის სიმაღლეზეა. საქართველოს გეოგრაფიასაც მხოლოდ სამი სტრიქონი დაეთმო. შედარებით მეტი, ანუ ათი სტრიქონი დაეთმო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, სადაც ძირითადი ნაწილი მაინც თანამედროვეობას, კერძოდ, გაერო-ში განვითარებას ეთმობა. საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ შვიდი სიტყვით არის ახსნილი. მრეწველობას მხოლოდ ხუთი სტრიქონი დაეთმო. სოფლის მეურნეობას - ექვსი სტრიქონი. მეცხოველეობას - რვა სიტყვა. ტრანსპორტს - ოთხი სტრიქონი. კლიმატს - ოთხი შესანიშნავი სტრიქონი, სადაც, ძირითადად, იმაზე საუბარი, რომ, არსებული კლიმატის წყალობით, "საქართველოში მოდის ხილი და ბოსტნეული, რომელიც ძალიან იზიდავს ჩრდილოელ სტუმრებს". საქართველოს მოსახლეობა აღწერილია თორმეტი სიტყვით. ენამ მხოლოდ ორი სტრიქონი "დიმსახურა", რელიგიამ - სამი სტრიქონი, ვალუტამ - ოთხი სტრიქონი. საინტერესოა, რომ საქართველოში ბევრი სადელამისო მალაზია ყოფილა, ხოლო ბაზრები და ბაზრობები მუშაობენ გამოსასვლელი დღეების გარეშე.

ბაბრძაძეა A3 ბაბრძაძეა

ბოლო ზარი





## ერაყში ქართული სამხვიდრო კონტინგენტი იზრდება



სერთიფიკატების გადაცემა.

გუშინ იაღლუჯის 11 სექტემბრის მსხვერპლთა სახელობის სამხედრო პოლიგონზე, ერაყში გასამგზავრებელი კონტინგენტის წვრთნები დასრულდა. საჩხერის მე-16 სამით-მსროლელი ბატალიონის 176 ჯარისკაცს, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ოცეულს და საინჟინრო ასეულის 18 სამხედრო მოსამსახურეს სათანადო სერთიფიკატები გადაეცათ. სამი საჯარისო ფორმირების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული სამხვიდრო კონტინგენტი, ბრიტანელი სპეციალისტების მეთვალყურეობით, ქართველმა ინსტრუქტორებმა განვრთნეს. ერთთვიანი მომზადების კურსი სამკვირიან თეორიულ და ერთკვირიან პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავდა - ქართველი ჯარისკაცები სამხვიდრო ოპერაციების ჩატარებისა და საბრძოლო ამოცანების შესრულებაში ხელოვნდებოდნენ. სამხვიდრო, თავდაცვითი და სხვადასხვა სახის საბრძოლო (ჩასაფრება, პარტულორება და ა.შ.) ოპერაციები - ეს ის ჩამონათვალია, რისი შესრულებაც ქართველ ჯარისკაცებს ერაყში მოქმედებების დროს მოუწევთ.

ქართული სამხვიდრო ძალების პირველი 121 კაციანი დანაყოფი დაიკრებულ მისიის შესასრულებლად ერაყში 2003 წლის 3 აგვისტოს ჩაფრინდა. მეორე როტაცია კი თავდაცვის სამინისტრომ საორგანიზაციო საკითხების მოუგვარებლობის გამო გარკვეული ვადით დაყოვნდა. 159 კაციანი დაკომპლექტებულ ტაქტიკურ ჯგუფს, რომელსაც ვლადიმერ ჩაჩიბაია მეთაურობდა, ფაქტობრივად, ქართველი გაზაქვლელების გარეშე, თავიდან მოუხდა ერაყში არსებულ გარემო პირობებთან შეგუება. ამან კი უარყოფითი განწყობა გამოიწვია ქართველ სამხვიდროებში, რასაც მათი ერაყიდან მონერლო წერილებიც მოწმობენ.

პირველი როტაციის შემდეგ ქართული სამხვიდრო კონტინგენტის შემადგენლობა ბატალიონამდე უნდა გაზრდილიყო. პირველ ეტაპზე ერაყში 159 ჯარისკაცი გაემგზავრა. მიზეზები თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის წარმომადგენლების თქმით სხვადასხვაა (ვარაინტები მათი ჩინის მიხედვით იცვლება). მაღალირბობის აცხადებენ, რომ ასეთი იყო ამერიკელის მოთხოვნა, "დაბალრბობის" კი აცხადებენ, რომ ქართულმა მხარემ ჯარისკაცების აღჭურვა ვერ უზრუნველყო. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი, ვინც უკვე ერაყში იმყოფებიან, სათანადოდ არ არიან აღჭურვილი. 159 ჯარისკაცი ჯავშანეილტებს "სკოლით" აწებებს ან ხელით უჭირავს და ისე გადის დაგეგმულზე. მათივე განცხადებით, ქართველები ყველაზე დაბალ ანაზღაურებადი სამხედროების არიან კოალიციური ჯარების წარმომადგენლებს შორის.

ეს და სხვა მრავალი პრობლემა მალე გახდება მშობლიური მათთვის, ვინც ჯერჯერობით იაღლუჯის სამხედრო პოლიგონზე, აღჭურვილობას და მიღებულ ცოდნას კიდევ ერთხელ ამონებს. ისინი ერაყში ივნისის შუა რიცხვებში გაემგზავრებიან და მათ საჩხერის მე-16 სამით-მსროლელი ბატალიონის მეთაური კაპიტანი ზურა აგლაძე უხელმძღვანელებს.

*თემურაზ სირაძე, ზვიად თხელიძე*

## ქართველ სამხედროებს იტალიაც ეხმარება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა 40 პროცენტს იტალიის მთავრობა შემოსავს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წელს იტალიის მთავრობისგან 8 მილიონი ევროს ღირებულების 138 დასახელების ქონება მიიღო.

თავდაცვის სამინისტრომ დღეს სამხედრო აუზნიციის გადცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება. იტალიიდან მიღებული აუზნიციით, პირველ რიგში, ის ახალწვეულები შეიშობებიან, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიმდინარე საგზაფხულო განცევის დროს გაიწვიეს. პირველი დახმარებაში 8 600-მდე საველე ფორმა, 14 ათასამდე ყოველდღიური ტანსაცმელი, 4 600-მდე მაღალყელანი ფეხსაცმელი, ქურთუკები, სპეცტანსაცმელი და სხვა ნივთები შედის.

*ინტერ-პრესი*

## ბოგი ჩიქოვანის საქმის განხილვა 31 მაისს გაიმართება

"კანონიერი ქურდის" გოგი ჩიქოვანის ადვოკატი შალვა შავგულიძე დაკავებულის გათავისუფლებას ამჯერად საოლქო სასამართლოსგან ითხოვს. როგორც დაკავებულის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, გოგი ჩიქოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, ამიტომ იგი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ჩიქოვანის მიმართ შეფარებული აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას მოითხოვს. ადვოკატმა საოლქო სასამართლოში ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს 25 მაისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რომლითაც ჩიქოვანს, ახალი გაერებების მიუხედავად, წინასწარი პატიმრობა ძალაში დაუტოვეს. როგორც ცნობილია, გოგი ჩიქოვანი დაკავების პირველივე დღიდან მიმძიმობდა და ნაშლების მიღებაზე უარს აცხადებდა, რადგან მიიჩნევს, რომ უკანონო პატიმარია.

გუშინ საოლქო სასამართლოში "კანონიერი ქურდის", გოგი ჩიქოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საკითხის განხილვა 31 მაისისთვის გადითი, საქმის მასალების გაცნობის მოტივით. დაკავებულის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, პროცესის გადადება სასამართლოს ინიციატივით მოხდა. კანონის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების საკითხი მოსამართლემ განაცხადის ჩაბარებიდან 72 საათის ვადაში უნდა განიხილოს. ადვოკატმა საჩივარი 26 მაისს შეიტანა. შეგახსენებთ, რომ ე.წ. "კანონიერი ქურდი" გოგი ჩიქოვანი 9 მაისს სოლოლაკში, საკუთარ სახლში დააკავეს. მისი ბიზნის ჩრეტიკისას სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. ჩიქოვანი 79 წლისაა და მძიმე ავადმყოფია.

24 საათი

## კომუნალური პრობლემების განხილვა არასამთავრობოებთან ერთად

ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ 17 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს მასპინძლობდა. ამ შეხვედრის მიზანი ქალაქის ეკოლოგიური კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება იყო.

მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ერთსულოვნად შეთანხმდნენ იმაზე, რომ საჭიროა კონდომინიუმების შექმნა. კონდომინიუმები ადგილობრივი სათემო ორგანიზაციებია, რომლებიც უფრო ახლოდან შეისწავლიან პრობლემებს და ქალაქის ხელმძღვანელობას საქმის კურსში ჩააყენებენ. ამგვარი ორგანიზაციების შექმნის პრეცედენტი თბილისში უკვე არსებობს. თუმცა, არასამთავრობოების წარმომადგენლები კონდომინიუმების შექმნის შესახებ კანონის მიღებას და მათი რეგისტრაციის სხვაგვარ ფორმებზე საუბრობენ. წარმოიშვა ალტერნატიული სამხედრო სამსახურის ჩამოყალიბების იდეა - ეკრძოდ, სამხედრო წევრადღებისგან შრომითი ლეგიონების შექმნის საკითხი.

იყო წინადადება, შეიქმნას მერიასთან არსებული სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფები, რომელში შემავალი ექსპერტები მერიის პოზიციების ფორმირებაზე იმუშავენ და ქალაქის პრობლემებს საერთო საკანონმდებლო სივრცეში გადაწყვეტენ. ამასთან, არასამთავრობოები სამომავლო განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებასაც აუცილებლად თვლიან. "როდესაც იქნება ჩამოყალიბებული კონკრეტული პროგრამები, მათი მონიტორინგი უფრო გააღვივდება", - აცხადებენ ისინი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა თინა ხიდაშელმა ბიუჯეტის შემოსავლების მონიტორინგის საკითხი წამოიწია. მისი აზრით, ეს ამ ხელისუფლების პირობებში უფრო განხორციელდება. მონიტორინგი მოქალაქეების ჩართვას, საქმიანობის აბსოლუტურ გამჭვირვალობას ემხრობა და "სამოქალაქო განვითარების ცენტრ" ალტერნატივა" გამეგობის თავმჯდომარე ირინა ცინცაძეც.



თბილისის მერი სამერეო საქმიანობაში მესამე სექტორს იწვევს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის სოზარ სუბელთან აზრით, ქალაქის ბიუჯეტის გასაზრდელად საჭიროა თბილისში არსებული ობიექტების უფრო მომგებიანად გარდაქმნა. "ქალაქში არის უამრავი წყარო, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ქალაქის ბიუჯეტი და უფრო მოსახერხებელი გახადოს ქალაქის მართვა. ჟურნალისტიური გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალაქის ავტოსადგომიდან ბიუჯეტში, თითქმის, არაფერი შედის, რადგან ბიუჯეტში შესული თანხა კვლავ მათ უზრუნველბათ. არსებობენ ფირმები, რომლებსაც სურვილი აქვთ, იჯარით აიღონ არსებული ავტოსადგომები. ამგვარად, ეს ობიექტები აღარ იქნება ქალაქისგან დასაფინანსებელი. ისინი თავად მოუვლიან თავსაც და ქალაქის ბიუჯეტში შენატანებიც გაიზრდება. ეს ერთ-ერთი მაგალითია. შეიძლება სხვა ანალოგიური რესურსების მოპოვებაც, რომელთა საშუალებებით უფრო მოსახერხებელი გახდება ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარება. საფურადღებოა დიდუბის ორი ბაზრობიდან შემოსავლების მოზილზაცია. ამ ბაზრობებიდან უფრო მეტი უნდა შემოდიოდეს, ვიდრე მთელი ქალაქიდან", - განაცხადა მან.

მერიაში ჯერ არ ჰყოლია ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი. როგორც ჭიაბერაშვილმა განაცხადა, იგი ჯერ თავდაცვ ვერ გარკვეულა ყველა სფეროში - თუ რა ფუნქციები აქვს მერსა. "მოსახლეობამაც კარგად უნდა იცოდეს, თუ რა საკითხზე შეანუხის მერია. სამხურობა, რომ შევჯერდებით მათ მხოლოდ პირადი პრობლემები აწუხებს, საკუთარი ქუჩის და რაიონის კი - არა. საჭიროა, თვეში ერთხელ მოეწყოს ამგვარი შეხვედრა და ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც წარმომადგენლობითი იქნება. მერის სამდივნოსთან აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. გასაუფრთხებელია საინფორმაციო პოლიტიკა. საჭიროა მერიის ვებ-გვერდის შექმნაც, რათა მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაციის მიღებისა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება", - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მერი მომავალ კვირამდე აპირებს დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრას, რათა მათ გარკვეული ღონისძიებების დაფინანსება სთხოვოს. ზურაბ ჭიაბერაშვილი კმაყოფილი დარჩა პირველი შეხვედრით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და აღნიშნა, რომ ამგვარი თანამშრომლობა აუცილებლად გაგრძელდება.

*თამარ ჯაფარიძე*

## ინციდენტი პაქა-საბურთალოს სასამართლოში

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესის შემდეგ, დღეს ბრალდებულის მამა დაჭრეს. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში აცხადებენ, მოსამართლე სულიკო ციციძეს წარმოებაში აქვს განზრახ მკვლელობის საქმე. თემურაზ ნოზაძეს ბრალად ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობა ედება. საქმის არსებით განხილვა კვლავ მიმდინარეობს. გუშინ, პროცესის დასრულების შემდგომ, როდესაც მოსამართლე სასამართლო დარბაზიდან გავიდა და ბრალდებულ დარბაზიდან გაიყვანეს, იქ მყოფ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ხელნაწილი ჩაფხუთა გაიმართა. ბრალდებულის მამა, ვახტანგ ნოზაძე დანიშნულ მარცხენა მკლავზე დაჭრეს. ჯერჯერობით, ინციდენტში ექვმიდგომის ვინაობა დადგენილი არ არის. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

*ინტერ-პრესი*

## პარლამენტმა მილიონანახევარი დოლარი "იშოვა"



შეთანხმება გამოცხადებულია.

საქართველოს პარლამენტს, კანონების მიღების გარდა, როგორც ირკვევა, "ფულის შოვნაც" შესძლებია - გუშინ ხელი მოეწერა პროექტს, რომლის თანახმადაც, გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს რეგორმირების საქმეს 1,5 მილიონ დოლარს შეაქვებს. დოკუმენტს (იგი 1 ივნისიდან ამოქმედდება) ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა ლანს კლარკმა.

პროექტის (მისი დასახელებაა "საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის ეფექტურობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება") რეალიზებით სივრცის გამოყოფილი თანხა გრანტს წარმოადგენს და 36 თვეზეა განზრდილი. დონორის დახმარება გამოყენებული იქნება როგორც თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასაწეგად, ისე ტრენინგების ჩასატარებლად და დასავლური საპარლამენტო გამოცდილების შესასწავლად. მით უმეტეს, პარლამენტის საიკერის განცხადებით, ახალი მონვევის პარლამენტში ბევრი ახალგაზრდა დეპუტატია, რომლებსაც კვალიფიკაციის ამაღლების დიდი სურვილი გააჩნიათ.

გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კანონმდებლობით საქმიანობის მოდერნიზებას, რაც ხელისუფლების ამ ორ შტოს შორის თანამშრომლობას უფრო ეფექტურსა და გამჭვირვალეს გახდის. თავიდან ნავარაუდევია იყო, რომ აღნიშნული პროგრამა პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე ამოქმედებულიყო, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, ამის გაკეთება მხოლოდ ახლა მოხერხდა.

პარლამენტისთვის ფინანსური დახმარების საქმეში გადამწყვეტ როლს, მართლაც, გაერო-ს განვითარების პროგრამა თამაშობს, მაგრამ გარკვეული სახსრების გაღება საქართველოს მთავრობაც აპირებს. ამდენად, ბუბერტიკის, რომ გუშინ გაფორმებულ დოკუმენტს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერაც აწვევებს. თუმცა, ზურაბ ნოზაძემდე ეს პროცედურა ცოლად არ გააჩნდა და გულმოდგინე ცერემონიას არ დასწრებია. ამისთვის მას საპატიო მიზეზი ჰქონდა - ფინანსთა მინისტრი რუს ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრებში მონაწილეობდა.

გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლის ლანს კლარკის თქმით, საქართველოს პარლამენტისთვის განეული დახმარება ერთჯერადი არ არის - 16 ივნისისთვის ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრაზე მსჯელობა ამ დახმარების გაფართოებაზე იქნება.

*გიორგი ასანიშვილი*

## იტალიიდან დადებული ხელშეკრულება კახალურია

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მომუშავე იტალიური "არესის" გულმოდგინე მცდელობა - ამ ქარხანაში მათი შესვლა და საქმიანობა არა ეკონომიკურ ან სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ სიბრტყეში იქნას განხილული, უმედგეოდ დასრულდა.

ბოლო კვირებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ იტალიელების რუსაზე წარმომადგენელმა ალექსანდრე სერიოიკინმა ქართულ პოლიტიკურ ინტროგებს კარგად აუღო ალღო და მათ სათავისოდ გამოყენებასაც შეეცადა.

რა შედეგი მოჰყვა ამას? სხვაგან ყო ვიცი და რუსთავში, სადაც იტალიელების შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვთ, ამან ხალხი კიდევ უფრო გააღიზიანა. პოზიცია არ შეუცვლიათ არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც აქამდე ერთხმად აცხადებდნენ, რომ იტალიელებმა მეტალურგიული კომბინატის ქონება კანონის დარღვევით მიი-საკუთრეს.

"24 საათი" პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლის მხარეში სოსო მაზნიშვილს დაუკავშირა. მისი წინამორბედი ამ პოსტზე პოსტრევილიუკიურ ხანაში, ახლანდელი სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიძე იყო, პირველი მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე იყო, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა იტალიელების კეთილსინდისიერება და ამას სპეციალური პრესკონფერენციაც მოუძღვნა.

მაზნიშვილი, ისევე როგორც სამი თვის წინ, ახლაც აცხადებს, რომ "იტალიელებთან დადებული ხელშეკრულება პაბალურია და მისი მიხედვით, სახელმწიფო მთლიანად კარგავდა მეტალურგიულ ქარხანას, თანაც ისე, რომ სანაცვლოდ ვერაფრის იღებდა."

ამასთან, რწმუნებული იტალიელებს არ ერიკება: "მოვეუწოდებ "არესს", გააგრძელოს მუშაობა, იღონდ სასწრაფოდ შესთავაზოს ქარხანას ახალი პირობები. ჩვენ არავის გავუვბა არ გვინდა, ჩვენ გვინდა, რომ ისინი სერიოზულ პარტნიორად აღიქვამდნენ საქართველოს და არ ჰქონდეთ იმის იმედი, რომ აქაური ჩინოვნიკები, თუ მათ ჯიბეში ათას დოლარი ჩაუდებენ, გაჩუმდებიან და ყველაფერზე თანახმაი იქნებიან. დამთავრდა ეს დრო საქართველოში და რაც უნდა პირი აკეთონ, იტალიელები იქნებიან ეს თუ ფრანგები, მნიშვნელოვან არ აქვს, ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება. ჩვენი სახელმწიფოს ყველა ისეთ სერიოზულ პარტნიორად უნდა აღიქვამდეს, რომელთან პაბალური ხელშეკრულების გაფორმებასა და ხელის მოთხოვნაზე ფიქრი კი ზედმეტია!"

*მაია მოსიშვილი*

## ფინანსურმა პოლიციამ დიდი რაოდენობით ქონება განადგურა და სიგარეტი ამოიღო

შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ტყევიის საგუშაგოზე დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი დააკავეს. სიგარეტით დატვირთულ ავტომანქანაში აღმოჩენილია რუსული წარმოების 740 კოლოფი ალურცხავი სიგარეტი, რომელიც გორის ტერიტორიაში გადატანილი. მანქანის მძღოლმა საქონელით დატვირთული ტრალიერი მიატოვა და მიმალვა მოახერხა.

ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველომ, სპეცდანიშნულების რაზმის დახმარებით, ცენტრალურ სუპერმარკეტში, ე.წ. "დეზერტირების ბაზარში" ჩატარებული სპეცდანიშნობის შედეგად 12 ტონაზე მეტი ალურცხავი, ძვირადღირებული თევზი - ზუთხი და თარით ამოიღო, რომელიც საწყობებში ანტისანიტარიულ პირობებში ინახებოდა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პროდუქცია საქართველოში აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული გზით არის შემოტანილი, მაშინ, როდესაც თევზის ამ სახეობების გატანა აზერბაიჯანის კანონმდებლობით აკრძალულია. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. პოლიციის ცნობით, სისხლის სამართლის საქმე ერთდროულად რამდენიმე პირზე აღიძვრება.

გარდა ამისა, ფინანსურმა პოლიციამ დააკავა არალიცენზირებული ვიდეოკასეტების დიდი პარტია. ცვრითი ეკუთვნოდა საქართველოს მოქალაქეს იური კალუშინს.

ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა თქმით, ამოღებული კასეტები განადგურდება.

24 საათი

## ბათუმელი სტადენი ბენარალურ პროკურორთან შეხვედრას ითხოვს

იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებული ბათუმელი ახალგაზრდა ლუბა ჩახვაძე მიმძილობას განაგრძობს და საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ირაკლი ოქუაშვილთან დაუყოვნებლივ შეხვედრას მოითხოვს.

ლუბა ჩახვაძის ადვოკატის ქეთი ბეჭაურის განცხადებით, მოუხდავად იმისა, რომ ბალისტიკური ექსპერტის მიხედვით, დანაშაულში ჩახვაძის მონაწილეობა არ მტკიცდება, სისხლის სამართლის საქმე მაინც არ წყდება. ამიტომ ჩახვაძე მიიჩნევს, რომ იგი უკანონო პატიმარია და აღძრული საქმის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს.

ლუბა ჩახვაძე მიმდინარე წლის თებერვალში, მის მეგობარ მერაბ მიქელაძესთან ერთად დააკავეს. მათ იარაღის უკანონო ტარება ედება ბრალად. ისინი ჩამოსული იყვნენ თბილისში, რათა პრესკონფერენცია გამართათ და განცხადებინათ, რომ აჭარის მოვლენები მასშვებით არამოტივირებ შეუძლება. ლუბა ჩახვაძე და მერაბ მიქელაძე რამდენიმე დღეში ქალაქიდან გაუსვლელობის ხელნერილი იქნენ გათავისუფლებულნი, მაგრამ მთელი დღესეი იმისი ბათუმში ჩავიდნენ. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის სამი გამომძიებელი რამდენიმე დღით წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. მოგვიანებით, ისინიც ქალაქიდან გაუსვლელობის ხელნერილით გაათავისუფლეს.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "ლეიბორისტული (შრომის) პარტია" დენილთა რეგისტრაციის ახალ ფორმას აპირებსიტებს და აცხადებს, რომ ხელისუფლებას სურს აფხაზეთიდან დევნილ ქართველთა რაოდენობა აფხაზეთში მცხოვრებ, ეროვნებით აფხაზ 70 ათას მოქალაქეს გაუტოლოს, შედეგად კი, ქართველები აფხაზეთში უზრავლებლად ევლარ იქნებიან. "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი გელა დანელა ხელისუფლებას აფხაზეთთან მიმართებაში "უსუსური პოლიტიკის გატარებაშიც ადანაშაულებს. "საქართველოს მთავრობამ აფხაზეთი გალის რაიონსა და რკინიგზაში გაცვალა", — აცხადებს იგი. **მედია-ნუისი**

**თბილისი.** ჩერქეზული დიასპორა საქართველოს ხელისუფლებას, აფხაზეთის საკითხზე მსჯელობისას, გონიერების ტყვე მოუწოდებს და აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, "წრდილოეთ კავკასიელი ხალხები და მთელი ჩერქეზული სამყარო აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობის დასაცავად დაირაზმება". განცხადებას ჩერქეზულ საერთაშორისო საზოგადოებაში გაერთიანებული, თურქეთში, სირიაში, კანადაში, ეკვიტებში, ისრაელში, იორდანიაში და ევროპის რიგ ქვეყნებში მოქმედი 18 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია აწერს ხელს. **ინტერ-პრესი**

**ფოთი.** ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 65 წლის ობილით-სადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. პრეზიდენტის ქვრემა, მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ღონისძიებაზე დასასწრებად ფოთში ჩასული ზვიად გამსახურდიას ვაჟი, კონსტანტინე (კოკი) გამსახურდია დარბაზში არ შეუშვა. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** " საქართველოს მწვანეთა პარტია " პარლამენტისგან აფხაზეთში არსებული კრიტიკული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ დადგენილობის მიღებას მოითხოვს. როგორც პარტიის თავმჯდომარე გაია გაჩეჩილაძემ განაცხადა, ეკოლოგიური სიტუაცია იჩამიშორის აკუპირიაში კრიტიკულია, ზღვის ნაპირი თანდათან უახლოვდება ქალაქს. 1945 წლიდან სანაპირომ ქალაქისკენ 55 მეტრით გადმოინია. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** "ერთიანი კომუნისტური პარტიის" ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე უახლოვს დღეებში აჭარაში ჩასვლას და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას აპირებს. **პრაიმ-ნუისი**



# საინვესტიციო ბუმი, როგორც კითხვას ბადავს

პირველი გავრცელება

გუშინდელმა გრანდიოზულმა ეკონომიკურმა ფორუმმა, რომელსაც ასზე მეტი ქართველი და რუსი ბიზნესმენი, მთავრობის წევრები და პოლიტიკოსები ესწრებოდნენ, რუსული კაპიტალის შემოსასვლელად საკმაოდ სერიოზული ნიადაგი მოამზადა. პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიურ მომზადებას გვულისხმობთ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის "სადაზვერეო სამუშაოები", რომელიც რუსული ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლებმა საქართველოში ვიზიტის პირველივე საათებში განახორციელეს.

იმის მიუხედავად, რომ ქართული მხარე მზად არის, რუსულ კაპიტალს ზომიერწოდ უმასპინძლოს, თავად საქართველოს ეკონომიკური მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. უფრო ზუსტად კი გავგებარია, როგორ იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება. მართალია, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ცალსახად განაცხადა, რომ ისეთ სტრატეგიულ ობიექტებს, როგორც არის, ვთქვათ, გაზსადენი, და რამდენიმე სხვა, გაყიდვარ გეგმურება, მაგრამ, ამის მიუხედავად, გუშინდელმა ფორუმმა საკმაოდ ბევრი შეითხვა გააჩნა.

პირველი: როდესაც ერთი სახელმწიფო მეორის ეკონომიკურ სივრცეში აქტიურად შემოდის, რა საკანონმდებლო ფაქტორი ან სხვა საშუალებებით იქნება დაცული ფინანსურად ბევრად სუსტი ადგილობრივი ბიზნესი?

მეორე: ნამდვილად გაურკვეველია, რამდენად მზადა ქართული მხარე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების დასაცავად. მით უფრო, რომ ქვეყანას ჯერაც არ აქვს ჩამოყალიბებული ის პრიორიტეტები, რომეც უსაფრთხოების კონცეფციამ უნდა აისახოს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს ყელაჯვარში უღია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ცალსახად იქნება ჩამოყალიბებული ის კონკრეტული საფრთხეები, რომელიც ამ კონკრეტულ ეტაპზე ქვეყნის დამოუკიდებლობას დაემუქრება. ასეთი საფრთხეების განსაზღვრისა და ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავების გარეშე, საკმაოდ რთულია იმის თქმა, რამდენად უსაფრთხო იქნება ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ფაქტორებზე ირინტორებულ რუსული კაპიტალის ასეთი ფართომასშტაბიანი შემოდინება?

მესამე: დღეს ყველა თანხმდება, რომ რუსეთში არ არსებობს არც ერთი ბიზნესსტრუქტურა, რომელიც სახელმწიფო კონტროლისაგან ასი პოტენციალი თავისუფალი იქნებოდა (ამის კლასიკური მაგალითად "ოუკოსის სამეც" გამოდგება). გუშინდელ ფორუმზე მიონებული ბიზნესმენთა უმრავლესობა იმ მსხვილი კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები არიან, რომელმაც

რუსეთის მთავრობა ან საკონტროლო პაკეტი ფლობს, ან (მართალია, არაფორმალურად, მაგრამ მაინც) სრულად აკონტროლებს მის საქმიანობას. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად ჩნდება კითხვა - კონკრეტულად, რა კაპიტალი შემოდის რუსეთიდან საქართველოში, კერძო თუ სახელმწიფო? გუშინ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არავის გაუცია. ქართული მხარე რუსებს საქართველოს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოზე ესაუბრებოდა, რუსი ბიზნესმენები კი კონკრეტულ დარგებს თუ ობიექტებს ზეგრავენენ.

დაბოლოს: საკმაოდ ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური ფორუმი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ მიმდინარეობს. რუსულ დელეგაციას კი ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრი გერმან გრეფი ხელმძღვანელობს. როგორც საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, საქართველოში ჩამომსვლელ ბიზნესმენთა სია სასულდაღაულოდ იყო შედგენილი რუსების მიერ. მოგვიანებით, ამ გვარებს რევიზია გაუთვალა მხარემაც ჩაუტარა. თუმცა, რამდენად უსაფრთხო იქნება რუსეთის ხელისუფლების მიერ ითითვის სრულად კონტროლირებადი ბიზნესის ასეთი ტოტალური შემოსვლა საქართველოში, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანია რუს სტუმრებს რამდენიმე არგუმენტი ჩამოეთვავა, რათა ისინი საქართველოში სერიოზული ინვესტიციების ჩადების აუცილებლობაში დაერწმუნებინა. თავის გამოცხადებაში პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება საგადასახადო და ფისკალური სისტემების მუშაობა, რის შედეგადაც, გასულ წელთან შედარებით, შესაძლებელი გახდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 50 პროცენტით გაზრდა. პოტენციური რუსი ინვესტორებისათვის ეს ნიშნავს, რომ შიდა ქართული ბაზარი კონტრაბანდისა და ჩრდილოეთი ეკონომიკისაგან თავისუფლდება.

"მთავარი "შავი ხერხები" აჭარაში ახლან აპაშის მიღწევისას უკავშირდება, თუმცა ამჟამად ეკონომიკური სივრცე მთლიანია", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და რუს ინვესტორებს კაპიტალის ჩადება ენერგეტიკაში, ტურიზმში, სოფლის მეურნეობაში და მსუბუქ მრეწველობაში შესთავაზა. ამჟვე დროს, პრემიერ-მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოს მიაღწია რუსეთში არსებობს არც ერთი ბიზნესსტრუქტურა, რომელიც სახელმწიფო კონტროლისაგან ასი პოტენციალი თავისუფალი იქნებოდა (ამის კლასიკური მაგალითად "ოუკოსის სამეც" გამოდგება). გუშინდელ ფორუმზე მიონებული ბიზნესმენთა უმრავლესობა იმ მსხვილი კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები არიან, რომელმაც



პოლიტიკური ნება და კითხვები...

ში, თუ რუსი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციების ჩადებას დათანხმდებიან, მათ ბიზნესინტერესებს საქართველოში არანაირი საფრთხე არ დაემუქრება.

პრეზიდენტი აცხადებს: საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყანაში ბოლო თვეებში განვითარებული მოვლენები ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ ინვესტორებმა (იქნებინ ასე რუსები, თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები) საქართველოში საკმაოდ დიდ მოგებასა და წარმატებას მიიღწიონ. როგორც პრეზიდენტმა აცხადებს, დღეისთვის კაპიტალბრუნვა რუსეთსა და საქართველოს შორის ძალიან მცირეა და ეს უნდა გამოსწორდეს. პრეზიდენტის თქმით, "ქვეყანაში შემეწილ სტაბილური მდგომარეობა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს ყველა სახის ბიზნესის, განსაკუთრებით კი - ტურიზმის განვითარებას". მიხეილ სააკაშვილი რუსებს ასეთ ინფორმაციასაც აწვდის: უკვე მიღწეულია შეთანხმება თურქეთის მხარესთან, რომლის მიზანი საქართველოსა და თურქეთის სამანქანო და სარკინიგზო მაგისტრალების ერთმანეთთან დაკავშირება იქნება. პრე-

ზიდენტის თქმით, ეს ასევე მომგებიანი უნდა იყოს თურქეთის მხარისთვის, რადგანაც რუსეთი და რუსეთი ერთმანეთს ახლა უკვე, შესაძლოა, რკინიგზითაც დაუკავშირდნენ.

პრეზიდენტი დარწმუნებულია: საქართველოში ინვესტიციების ჩადების ერთ-ერთი სტიმული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის ურთიერთობა სერთაშირის საგარეო ფონდთან. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ბრძამდ აღარ დათანხმდეს, ხოლო სავალუტო ფონდმა საქართველოში პროგრამა საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნებისა და მიზნების შესაბამისად აღადგინოს.

მოკლედ, საქართველოს ხელისუფლება რუს ბიზნესმენებს სრულ მხარდაჭერას და ბიუროკრატიული ბარიერების მაქსიმალურად შეღუდვას პირდება.

ასეთი დახვედრით რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი აშკარად ემყარება რუსეთის განვითარებისა და ეკონომიკის მინისტრი გერმან გრეფი აცხადებს, რომ საქართველო არჩევან-

ში არ შემდგარა და კარგია, რომ დღეს საქართველოში სწორედ რუსეთის ბიზნესდელეგაცია იმყოფება.

"ჩვენ მენტალიტეტითა და ისტორიითაც ძალიან ახლოს ვდგავართ ერთმანეთთან და მიზანია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის 800-წლიანი ისტორია ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რათა ქართულ-რუსული ურთიერთობები როგორც ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში პერსპექტიული და იმედისმომცემი იყოს. რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს განხილავს, როგორც უახლოეს ბიზნეს და პოლიტიკურ პარტნიორს. ჩვენ, რუსები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს აღნიშნული კრიზისის დაძლევაში დავეხმარეთ", - ასეთია მინისტრის პოზიცია.

მისი თქმით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ოთხი მთავარი პრიორიტეტი უნდა გამოიკვეთოს. ეს არის ბარიერების მოხსნა ბიზნესის განვითარებისათვის, თანამშრომლობა ვითარებაში, თანამშრომლობა კულტურის სფეროში და ისტორიული გამოცდილებების განზოგადება და გაზიარება ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისათვის. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ქალაქებში რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ფილიალები გაიხსნას.

"ჩვენ აბსოლუტურად გულწრფელნი ვიყავით, როდესაც ამ ჩამოვლილი და აბსოლუტურად გულწრფელად ვესურს, დავეხმაროთ საქართველოს. ასევე დარწმუნებული ვართ საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხის გულწრფელობაში, ითანამშრომლოს რუსულ ბიზნესთან და რუსულ სახელმწიფოსთან", - ასეთია გერმან გრეფის პოზიცია.

რაც შეეხება თავად რუს ბიზნესმენებს, ისინი ჟურნალისტებთან საუბრებში კონკრეტულ პროგრამებზე ითქმის არ საუბრობდნენ და მხოლოდ ზოგადი კომენტარებით იფარგლებოდნენ. თუმცა, ამ ფონზე საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა რამდენიმე რუსი ბიზნესმანების სიტყვები. ასე მაგალითად, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე არკადი ვოლსკიმი განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის შორის 2000 წლიდან მოქმედი საავიზო რეჟიმი უნდა გაუქმდეს; ხოლო მეორე რუსი ბიზნესმენის ვიქტორ კვესელბერგის აზრით, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ რუსულ ბიზნესს ქვეყნის კარი გაუხსნა, ქართულად რუსული ურთიერთობები უკეთესად ჩამოყალიბდება და საქართველოში რუსული კაპიტალის დაბანდებისათვის უკეთესი პირობები შეიქმნება.

ქართული მხარის წარმომადგენლები უფრო უხესიტყვიანები აღმოჩნდნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ რუსული კაპიტალის ასეთ ტოტალურ შემოსვლას

და საქართველოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პერსპექტივას ყველა ერთვარევნად არ აფასებს.

სახელმწიფო მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველო-რუსეთის შორის საერთო ეკონომიკური ინტერესების ჩამოყალიბებამ შეიძლება სერიოზული როლი ითამაშოს კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, პარლამენტარ ლადო პაპავას აზრით კი, საქართველოში მხოლოდ რუსული ინვესტიციების წარმოდგენა შეცდომა იქნებოდა. მისი თქმით, საქართველოს სიფრთხილე მართებს რუსული კაპიტალის წარმომავლობასთან დაკავშირებით. "უმჯობესი იქნება, საქართველოში რუსული კერძო კაპიტალის ინვესტიციები განხორციელდეს და სახელმწიფო კაპიტალთან დამოკიდებულებაში შედარებით სიფრთხილე გამოვიჩინოთ, თუმცა, თავისთავად, ინვესტიციების განხორციელება ცუდი არ შეიძლება იყოს", - განაცხადა პაპავამ.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი აშკარად მიესალმება ასეთი სახის ეკონომიკურ ფორუმებს და აცხადებს, რომ თბილისში ჩამოსული არც ერთი ბიზნესმენის საქმიანობა საცემო არ არის.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერს ირაკლი იმეშვილს კი მიანიჩა, რომ აუცილებელია განისაზღვროს, თუ სად გადის სახელმწიფო ინტერესები - ქვეყნის ხელისუფლებაში სადგომაკაციო ხაზი უნდა გაავლოს და თავისი ქვეყნის სადარჯოზე იდგეს და ასეთი სახელმწიფო კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები სახელმწიფო უსაფრთხოების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი კი საკმაოდ გულახდილად აცხადებს: "რუსული კაპიტალის შემოსვლა სჯობს ჟურნალი შეიარაღებისა და რუსული ფული რუსეთის შემოსვლას. ეს პროცესი არ შეიცავს ისეთ საფრთხეს, როგორც რუსეთის სამხედრო ყოფნა. ჩემი აზრით, რუსეთის ბაზების სანაცვლოდ, რუსეთის კაპიტალი ცუდი არჩევანი არ არის. რუსული ფული არ გვემინია. არსებობს სხვა ქვეყნების ფული, რომლებიც მას განიცხადებენ, თუ ამ უკანასკნელმა ბიზნესად პოლიტიკური ამოცანების მიზნარეობადა დასახა. რუსული ბიზნესის, ჩემი აზრით, დაკავშირებულია რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან. ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ რუსეთის ბიზნესის შემოსვლა არის ბრწყინვალე სტიმული უფრო სერიოზული ბიზნესის შემოსვლისათვის. ვინც უნდა დელავდეს - ეს ჩვენი ძმები, ჩვენი მოქალაქეები მაინც ისეთსა და აფხაზებში. რუსეთთან საერთო პოლიტიკური ენის გამოჩენა ნიშნავს, რომ სპარაგნიზმი პოპილარის შენარჩუნებას ვერ შეძლენ."

## რუსული კაპიტალის საქართველოში ყველაფერს ეყოფა

პირველი გავრცელება

კონფერენციის პირველი აჟანდა შედგირ რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის კერძომა გრეფსა და საქართველოს ეკონომიკის მინისტრს ირაკლი რეხვიაშვილს შორის გაფორმებული დოკუმენტი იყო, რომლითაც საქართველომ რუსეთის მსოფლიო საავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მზად შექი აუთინა. საქართველო მეორე ქვეყანაა, კირგიზეთის შემდეგ, რომელმაც რუსეთს მსო-სკენ გაზავსნა. ხელი მოეწერა, აგრეთვე, საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკის სამინისტროების მომავალი ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს. ამ დოკუმენტების საფუძველზე რუსეთი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრება, რაც იმასაც ნიშნავს, რომ რუსული ბაზარზე ქართული პროდუქცია ფალსიფიკაციისგან დაცული იქნება.

მეორე აჟანდა შედგია "ირჩენასა" და "აეროფლიტს" შორის შემდგარი გარიგება, რომელიც დასტურებს, რომ რუსული კაპიტალი არც საქართველოს ავიაციის უფრეებს ციფად. სამაგიეროდ, ჯერჯერობით, განხილბული დარჩა "თბილავიამშენი" საქართველოს და რუსეთის შორის არ არსებობს ჩარჩო ხელშეკრულება სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რის გამოც, "თბილავიამშენი" სამედიკალური საბჭოს თავმჯდომარე პანტიკო იორილია, ჯერჯერობით, თამაშავარ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მესამე შედეგი: გაერთიანებული ქართული ბანკის სამედიკალური საბჭოს წევრის ზაზა სიორიძის განცხადებით, რუსეთის "ენერგობრენსკი" გაერთიანებული ქართული ბანკის სანეს-

დებო კაპიტალში საკუთარ წილს შეიტანეს. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ეს "წილის შეტანა" საკონტროლო პაკეტის გადაცემის ნიშნავდა.

არში "გაჭრა" ფოთის პორტის მმართველმა ჯემალ ინაშვილმაც. მისი თქმით, ფოთის პორტსა და რუსეთის ქალაქ ტმერუტთან ახლოს მდებარე პორტ "კავკასს" შორის იწინისად ახალი საბორენე გადასასვლელი გაიხსნება.

დანარჩენი საინვესტიციო პროექტების უმეტესობა, ჯერჯერობით, დაკონკრეტებული არ არის, თუმცა, უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ ქართული მხარის მიერ მომზადებული საინვესტიციო ნინადადებები ორი ტიპისაა. პირველი - ენერგეტიკული პროექტები და აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი - უფრო რუსეთის ოფიციალურ უწყებებს ეხება, რომ საფასურადაც ქართული მხარე ეერძო რუსულ კაპიტალს საქართველოს საავაჭრო-სამრეწველო კომპლექსის, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სექტორებისკენ გაუხსნის გზას.

არ კონკრეტდება არც იმ საინვესტიციო ნაკადის მოცულობა, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა უნდა ააღორძინოს.

"რუსი ბიზნესმენები მზად არიან საქართველოში რამდენიმე მილიარდდოლარიანი ინვესტიცია ჩადონ, მაგრამ კონკრეტულად რა ოდენობის იქნება კაპიტალი, ეს ქართული მხარე ვა დამოკიდებული", - "უმაჟიბდა" გუშინ რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი გრეფი.

სამაგიეროდ, ქართული მხარე რუსული კაპიტალის დასახვედრად სავსებით მზად იყო. საგანგებოდ კონფერენციისთვის, საქართველოს ეკონომიკის

სამინისტრომ პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს ერთგვარი მეგზურიც კი მოუმზადა იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოში (რუსეთისგან განსხვავებით, სადაც ოლიგარქებს ნადირობაა გამოცხადებული) მათი კაპიტალი დაცული იქნება. საქართველოს ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს კი რუსული კაპიტალის შემოყვანისთვის აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბარი უკვე თამამად შეუძლია, "ახალ საგადასახადო კოდექსში ამაჟამად არსებული 21 გადასახადის ნაცვლად 7 ან 9 გადასახადი დარჩება", - აცხადებს იგი.

"ჩვენ, ჩინოვნიკები არაფერს ვაწარმოებთ. რაც მეტი ეკონომიკური თავისუფლება იქნება, მით უფრო იოლი იქნება თანამშრომლობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ახლა ჩვენ პროცესების ლოკის აღდგენას შევუდექით. ეს ლოკია ხელოვნურად იყო დარღვეული", - განაცხადა გრეფი და პარტნიორების განმტკიცებისთვის რუსეთ-საქართველოს შორის ბარიერების მოხსნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

სავაჭრო-სამრეწველობათაშორის თანამშრომლობის პერსპექტივები რუსეთის საავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე არკადი ვოლსკიმიც მოიხაზა. "ჩვენ საერთო პრობლემა გვაქვს, რადგან ორივე ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მივინახავით. უამრავ პროდუქტზე სტანდარტმა შეცვალული, კანონები კი ევროკანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანი", - განაცხადა მან.

შეხვედრის დასაწყისშივე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანია რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს რიგი ენერგეტიკული პროექტების განხორ-

ცილება შესთავაზა. კერძოდ, "რაო ეეს როსიი"-ს - ახალი მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობა და სატრანზიტო გაზაურეთის ენერგობაზრისკენ, "გაზრომს" - საქართველოს ახალი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა და არსებული რეაბილიტაციაში მონაწილეობა. არკადი ვოლსკის განცხადებით, რუსეთი მზად არის ენერგიის კასკადში 150 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადოს. მისი თქმით, მალე გაფორმდება ხელშეკრულება ვარდნილშესების კასკადის მოდერნიზაციაზე. "რეაბილიტაციის პირველ წელს 25 მილიონი დოლარის ინვესტირება განხორციელდება, მეორე წელს 100 მილიონი დოლარის. ინვესტიციის განხორციელება გარდაუვალია. თუ ეს არ გავაკეთებთ, ორი წლის შემდეგ შეიძლება საქართველო ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს", - განაცხადა მან. რაც შეეხება დენის ტრანზიტს, როგორც "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა მოთა მისურაძემ "24 საათთან" საუბარში დააკონკრეტა, არ არის გამორიცხული, ერთი კოლონაბათის თურქეთში ტრანზიტინად საქართველოს 0,2 ცენტრ დარჩეს.

ქართულ მხარის მიერ მომზადებულ ნინადადებთა პაკეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აჭარაში და ბორჯომის ხეობაში, სანაპირო ზოლის განვითარება, ინვესტიციის გამოქმნა ზუდნიშვისსა და თბილისრესისთვის, საავაჭრო-სამრეწველო კავშირების აღდგენა დსთ-ს სფეროს მსხვილ სანარმოებთან, მრავალი მსხვილი სამრეწველო სანარმოს რეაბილიტაცია. ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გზების რეაბილიტაცია და ახალი ჩქაროსული მაგისტრალების მშენებლობაც დაასახელა.

### ბიზნეს-"გაშლიკ"-ფორუმი

პირველი გავრცელება

საბაჟო წესები - ზუთი სტრიქონი. საქართველოში ყოფნისა და გადაადგილების რეჟიმი - რვა სიტყვა.

ამით გავლით ინფორმაციის სამი გვერდი. ყველაზე საინტერესო დარჩენილი ინფორმაციაა. გინდ დიჯერეთ, გინდ არა - მომდევნო ოთხი გვერდი ძილენება ქართულ სამზარეულოს, მისი დეტალებით, გეოგრაფიული დაყოფით, რეცეპტებით, ისტორიით, წარმოშობით: "ზიკ ნა ვერტალე", ხარჩო, ჩანახი და ა.შ. დიდი ადგილი აქვს დეტალიზირ სუნელებს, თევზეულს, ყველეულს და ყველაფერს, რითაც ძილდინი ქართული სუფრა იმღება. ეს უნდა ნაიკითხოთ. ამის ასხნა შეუძლებელია. სხვათა შორის, ორიოდ წლის

წინათ, სტრასბურგში, როცა რუსეთის დელეგაცია საქართველოზე "გადავლას" აპირებდა, ერთიმ საინტერესო რამ მოხდა. გვეგზიშობარ, ფირინოვსკიმ გაგვათათხა, ასამბლეის სხდომის დასრულების შემდეგ კი გარეთ გამოვიდა, ქართველ ჟურნალისტებს "პადრუკი" გაუყარა და კოლექტიური ოცნება წამოიწყო ქართულ "შაშლიკ"-სა და "ვიწი"-ზე. ალბათ, იმიტომ, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის მავგარი რალაცეებით არამდეც ვამარაგებდით რუსებს. ერთი სიტყვით, ეს არის ან სრული უგუნურება ჩვენი მხრიდან, ანაც - მძიმე ზუშრობა. ერთი კია: თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველოს, ძირითადად, რუსი მამაკაცები სტუმრობდნენ, უეჭველია, რომ მათთვის ყველაზე საინტერესო კულინარიული ექსკურსი იქნებოდა.





# სხვა გზა არ არის, გზებზე ორმოები იქნება

ინტერვიუ ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრთან თამარ სულუხისთან

საქართველოში 1474 კილომეტრზე საერთაშორისო, 3326 კმ-ზე შიდასახელმწიფოებრივი, 15429 კმ-ზე ადგილობრივი გზებია გადაჭიმული, რაც ჯამში 20229 კილომეტრს უდრის. გვექონია, ასევე, ცხრა გვირაბი და შვიდი ვალერეა საერთაშორისო, ხოლო შვიდი გვირაბი და ოთხი ვალერეა შიდასახელმწიფოებრივ გზებზე. ასევე - ჩვიდმეტი ულელტეხილი, საიდანაც სამი საერთაშორისო გზატკეცილზე მდებარეობს. ერთი სიტყვით, მდიდრები ვართ. თუმცა, მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად - არა. იმიტომ, რომ 90 მილიონი აშხელა მოცულობას კენიტიდ არ ყოფოა. ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი თამარ სულუხია კი ზაფხულში, როცა გზების შეკეთების სეზონი იწყება, დიდ სამუშაოებს გვგმავს.

### ოთარ ძირია

- მოხარული ვარ, რომ, მთავრობის შეთანხმებით, გზები პრიორიტეტულ სფეროდ გამოცხადდება, როგორც საბიუჯეტო, ისე დონორებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

- **წლევანდელ ბიუჯეტში რა თანხა იქნა გათვალისწინებული?**

- ცენტრალურ ბიუჯეტში მილიონამდე ლარია გათვალისწინებული, რაც, ფაქტობრივად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატსა და წარმომადგენლობით ხარჯებს მოხმარდება (საერთო, ამ კუთხით, სამინისტროსთვის გათვალისწინებულია სამი მილიონი). ხოლო საგზაო ფონდისთვის, რომელიც, გარკვეულწილად, ცალკეა, 47 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამას ემატება უცხოური კრედიტები. მსოფლიო ბანკიდან - 32 მილიონი და 9 მილიონი ე.წ. კუვეიტის ფონდიდან, რომელიც უკვე ათვისების სტადიაშია. ანუ, ჯამში მივიღებ 90 მილიონი ლარი. ეს თა-

ნხა, რა თქმა უნდა, გზებისთვის არაფერია, თუმცა არ შემოიღია არ ვთქვა, რომ ინფრასტრუქტურის სხვა სფეროები ამ თანხის მეთათვითაც არ ფინანსდება.

- **ეს თანხა ნინა წლგებთ შედარებით გაზრდილია თუ არა?**

- საერთოდ, 1 იენისიდან საგზაო გადასახადი უქმდება. თუმცა, აქამდე ის ერთხელ უკვე შეამცირა მთავრობამ. თანხა რეალურად დაკლებულია, თუმცა საოცარია ის, რომ ნინა წლების მანევრებლეთან შედარებით დღეს ამოღებამ 190 პროცენტით შეადგინა, ანუ - თითქმის ორჯერ მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ გზები იენისიდან ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

- **ამბობთ, თანხა საკმარისი არ არისო, თუმცა გადასახადს აუქმებთ, ეს სწორია?**

- გადასახადის გაუქმება ჯდება იმ პოლიტიკაში, რომელსაც ხელი-სუსტება ახორციელებს და, სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად, საგადასახადო კლიმატის ლიბერალიზაციას გვგმავს. ამას განსაკუ-



თამარ სულუხია დიდ სამუშაოებს გვგმავს.

თრებული ეკონომიკური და სოციალური დატვირთვა გააჩნია. რაც შეეხება გზების დაფინანსებას: იცით, მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, მთლიანად საქართველოს გზების რეკონსტრუქციისთვის რამდენია საჭირო? - 600 მილიონი დოლარი. მათივე რეკომენდაციით, მხოლოდ გზების მოვლა-პატრონობაზე წლიურად 90 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს.

- **იმ თანხით, რომელიც მოვლა-პატრონობას ეყოფა, სფეროს მთლიანად შენახვას როგორ აპირებთ?**

- სხვა გზა არ არის. მე არ ვამბობ და წერც წერავენ მომთხოვს, რომ ერთ წელიწადში ქართულ გზებზე ორმო არ იქნება. სამაგიეროდ, ასპროცენტთან გარანტიას ვაძლევთ, თითოეული თეთრი მიზნობრივად დაიხარჯება.

- **გარანტია?**

- გარანტია იქნება ის, რომ ამ სფეროს რეგულირება საზოგადოებისთვის სრულიად გამჭვირვალე იქნება.

- **კონკრეტულად?**

- ყველა ორგანიზაცია, რომელიც გზების რეაბილიტაციაზე მუშაობდა, ტენდერის საფუძველზე ირ-

ჩეოდა. ისიც მოგვხსენებთ, საქართველოში ტენდერები როგორ ტარდებოდა. იმისათვის, რომ ამ პროცესებში ბიძაშვილ-მამიდაშვილობისა და ქრთამების ფაქტები აღარ განმეორდეს, გზების დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს შვეთავაზე და ისიც დამეთანხმა, სატენდერო პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციები ჩავართოთ. კერძოდ, ახალგაზრდა ეკონომისტთა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციებს შეთავაზება უკვე გავუგზავნეთ. ასევე, საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბებასაც ვფიქრობთ, სადაც მხოლოდ ის ხალხი მოხდება, ვინც საზოგადოების წდობით სარგებლობს. ამ სფერომ ხალხის წდობა უნდა დაიბრუნოს.

- **რიკითის გვირაბი ყოველთვის დიდი შემოსავლის წყარო იყო სალაროძისთვის, რა მდგომარეობაა იქ?**

- წესით, გვირაბის შემოსავალი მასვე უნდა ხმარდებოდეს. თუმცა, ყველა ვხედავდით, რომ გვირაბს არაფერი ეტყობოდა. ისიც მესმის, რომ მალე ტურისტული სეზონი მოვა და ყველა ადამიანი, მიზიწმ, ორჯერ მაინც გაივლის რიკითის გვირაბს. ამდენად, გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვაქვს, რომ გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოები აუცილებლად ჩატარდება.

- **სრულად?**

- სრულად ვერ ჩატარდება იმიტომ, რომ გვირაბს იზოლაციის და ვენტილაციის პრობლემები აქვს, რასაც ათი მილიონი სჭირდება. თუ

ეს არ მოგვარდა, მხოლოდ არის საფარის გაკეთებას აზრი ამა აქვს. ამდენად, ამ ეტაპზე ჩატარდება მსუბუქი სამუშაოები, რომელიც დღევანდელ მდგომარეობას შეამსუბუქებს და ტურისტული სეზონის განმავლობაში მოსახლეობაში უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

- **როგორც ვიცით, მთავრობამ რფორომის შესახებ მოთხოვნა დააყენა. გაკეთდა რამე?**

- გაკეთდა ის, რომ, მაგალითად, გზების დეპარტამენტს გაუწნდა, მართვისა და ზედამხედველობის პროცესებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვის შესახებ.

- **სხვათა შორის, დეპარტამენტის მიერთვის თაობაზე თქვენ პრაიცი დაგდეს - გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო...**

- ჯერ ერთი, გადაწყვეტილება დეპარტამენტის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ მინისტრად ჩემს დანიშვნამდე მიღეს, მეორეც, ეს გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ და არა რომელიმე, ერთმა კონკრეტულმა პირმა.

# "საქნავთოზის" სამეთვალყურაო საბჭოს ახალი თავმჯდომარა ჰყავს

კომპანიის მალე შვიდი ახალი დირექტორიც ეყოლება

სოფიო ოსანაშვილი

კომპანია "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი უზელმძღვანელებს. თავმჯდომარის ვინაობა გუშინ გაბარეულ სხდომაზე გახდა ცნობილი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა დახურულ ფორმატში წარიმართა. სოსო ცისკარიშვილმა ამ პოსტზე ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდიაძის უახლოესი მეგობარი რევაზ თევზაძე შეცვალა, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხელმძღვანელობდა "საქნავთობს". ცნო-

ბითთვის: გასულ წლებში ცისკარიშვილი საქართველოში ევროკომისიის პროგრამების დირექტორად მუშაობდა, ასევე, იყო საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ტექნიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო კომიტეტის მრწველობისა და ენერგეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი. ბოლო დროს, ტელეკომპანია "მეცხრე არხზე" გადაცემის "საზოგადოება და ხელისუფლების" ავტორი და წამყვანი იყო და, ამჟამად, ასოციაცია "მსოფლიო ლაბორატორიის" თავმჯდომარე და ევროკომისიის ექსპერტიცაა.

ექვსკაციანმა სამეთვალყურეო

საბჭომ გუშინდელ სხდომაზე, ძირითადად, საქადრო საკითხებზე, კერძოდ, დირექტორთა უფლებამოსილებაზე იმსჯელა. საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიას შვიდი დირექტორი ეყოლება, აქედან ერთი - გენერალური, მეორე - მმართველი და დარჩენი - სხვადასხვა სფეროებზე პასუხისმგებელი დირექტორები იქნებიან. დირექტორთა რაოდენობის გაზრდა, შესაბამისად, მათ ძალაუფლებასაც შეამცირებს. პასუხისმგებლობების გადაწაწილებით კი სამეთვალყურეო საბჭო "საქნავთობის" მუშაობის გამჭვირვალობის მიღწევას ცდილობს.

**"ეს იყო თავკომბალა ტიტალტა-**

**რული სისტემა. ყველა გადაწყვეტილებას გენერალური დირექტორი იღებდა. ახლა კი, თითოეული დირექტორი პასუხისმგებელი თავის სფეროზე იქნება. აქამდე, "საქნავთობში" ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ეს მხოლოდ ერთ ადამიანს სურდა. ახლა, დირექტორები გადაწყვეტილებებს ერთმანეთს შეუთანხმებენ",** - განაცხადა "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა თინა ხიდაშელმა. მისივე თქმით, საბჭომ გუშინდელ სხდომაზე უარი თქვა დირექტორობის ვაკანსურადგელებაზე შემოთავაზებული კანდიდატების დანიშვნაზე. არგუმენ-

ტი ასეთია: ჩვენ არ გვინდა ვინმეს გლობირედით, ყველაფერს კონკურსი გადაწყვეტს. დირექტორები კონკურსის საფუძველზე შეირჩევიან კონკურსის გზით კადრების მერჩევის უპირატესობას საბჭოში კეთილსინდისიერი და ახალი კადრების მოსვლის აუცილებლობით ხსნიან.

ამჟამად, საბჭო კონკურსის პირობებზე მუშაობს. მომდევნო კვირის დასაწყისში საბჭო კონკურსის შესებ განცხადებას მასმედის საშუალებით გავრცელებს. დირექტორების ვინაობა კი, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ სამეთვალყუ-

რეო საბჭოს ახალი შემადგენლობა აქტიურნთა კრებამ 17 მაისს დაამტკიცა. პირველ სხდომაზე საბჭომ წესდებაც დაამტკიცა, რომელიც ძველისგან ბევრად არ განსხვავდება. "საქნავთობის" საბჭო ექვსი წევრისგან შედგება. მათ შორის მხოლოდ ერთი, გველყო მასისურაძეა კომპანიის ძველი თანამშრომელი. დანარჩენი ხუთი წევრი - პარლამენტარი ხათუნა ზოფერია, იურისტი თინათინ ხიდაშელი, სანარმოთა მართვის სააგენტოს წარმომადგენელი შოთა ქელდიაშვილი და ნათობისა და განის სახელმწიფო მართვალერებელი სააგენტოს წარმომადგენელი თორნიკე გოცირიძე - ახალი კადრია.

# რა პრიორიტეტებია აფხაეთის 2004 წლის ბიუჯეტში?

დიდი დებატების მიუხედავად, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა 2004 წლის ბიუჯეტი ამ ცოტა ხნის წინათ დაამტკიცა. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით, სეპარატისტთა ახალი ბიუჯეტი უმნიშვნელოდ დაახლოებით, 30 მილიონ რუბლით (1 მილიონი აშშ დოლარი) იზრდება. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ბიუჯეტში წლის ბოლომდე 448 მილიონ რუბლამდე (15 მილიონი აშშ დოლარი) შემოსავლები იგეგმება, ხოლო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობა წელს 470 მილიონ რუბლს აღწევს. ხარჯების თითქმის ნახევარი ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსებაზე მოდის.

### თთარ ბაგალაშვილი

აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, წელს პარლამენტში ბიუჯეტის დებუბის პროცედურა საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა. განსაკუთრებით ცხარე დებატები ბიუჯეტის იმ მუხლებმა გამოიწვია, რომელიც ძალოვანი უწყებების დაფინანსებას ეძება.

გარკვეული პრეტენზიები პარლამენტარებმა იმ მუხლების დაფინანსებაში გამოც გამოთქვეს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, აფხაზთა თვითმართველი პრეზიდენტის ნათესავებს და მის გარემოცვას უკავშირდება. აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე წელია, არძინასთან დაახლოებულ პირებს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები და დაბალპროცენტიანი სახელმწიფო კრედიტები ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ეძლევათ. კიკნაძის ინფორმაციით, გაცემული კრედიტების დიდი ნაწილი დღემდე არ არის დაბრუნებული, მეტიც: "იმის

**მაგივრად, რომ მევალე ორგანიზაციების მიმართ რაიმე სანქცია შემოიღონ, ბიუჯეტში მათთვის ახალ კრედიტებს წელსაც ითვალისწინებს, რამაც ბიუჯეტის განხილვის დროს აფხაზ პარლამენტართა სერიოზული აღშფოთება გამოიწვია",** - ამბობს კიკნაძე. უშიშროების მინისტრის თქმით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება "გაუთავებელ" კრედიტებს უფრო ხშირად სოფლის მეურნეობაში გასცემს.

#### შემოსავლები

მიმდინარე წელს სეპარატისტთა ბიუჯეტში ხარჯების მოცულობა, მარამდელიან შედარებით, 60 მილიონ (2 მილიონი აშშ დოლარი) რუსული რუბლით არის გაზრდილი. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება სხვადასხვა ხარჯების დასაფარად ბიუჯეტიდან 470 მილიონ რუბლს გამოყოფს, დეფიციტის დასაფარად კი 22 მილიონი რუბლია გათვალისწინებული, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო კრედიტებზე მოდის. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან, რომელიც ბიუჯე-

ტის დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი წყაროა, აფხაზები წლის ბოლომდე 3.5 მილიონი ლარის მობილეთებს ვარაუდობენ. სხვათა შორის, ეს მანევრებული, გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია. წელს საპრივატიზაციო ობიექტთა წუსხაში, ძირითადად, შესულია სახელმწიფოს კუთვნილებიდან დარჩენილი საკურორტო ობიექტები.

მნიშვნელოვანდ არის გაზრდილი საგადასახადო შემოსავლებიც. ასე მაგალითად: თუკი შარშან მოგების გადასახადისგან ბიუჯეტში 16 მილიონ 300 ათასი რუბლის მოხლეჩება იგეგმებოდა, წელს ეს ციფრი - 25 მილიონს აღემატება. დამატებითი ღირებულების გადასახადისგან აფხაზთა ფინანსთა სამინისტრო, დაახლოებით, 70 მილიონი რუბლის ამოღებას ვარაუდობს, რაც 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით 20 მილიონით მეტია. თითქმის უცვლელი რჩება აქციზები, ქონებისა და სპორტიანის სასელებით ვაჭრობის ლიცენზიიდან მიღებული შემოსავლები, შესაბამისად - 13 მილიონ 373 ათასი, 1 მილიონ 556 ათასი და 320 ათასი რუბლი.

გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით, 11 მილიონი რუბლით მცირდება სახელმწიფო და საბაჟო მოსაქრებლიდან მიღებული შემოსავლები. წელს ამ კუთხით თითქმის 193 მილიონი რუბლი იგეგმება. ზუსტად 4 მილიონით კლებუბა მინის გადასახადით მოსაღები შემოსავლები. ამ გადასახადისგან წელს, დაახლოებით, 24 მილიონის მობილენება არის ნაგარაუდები. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან წელს აფხაზები 14 მილიონ 880 ათას-

ის ამოღებას გეგმავენ, რაც 500 ათას დოლარზე ნაკლებია.

#### ხარჯები

სეპარატისტთა 2004 წლის ბიუჯეტში ხარჯების მოცულობა 470 მილიონია, რომლის თითქმის 50 პროცენტც ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსებაზე მოდის. ყველაზე მეტი - 71 მილიონ რუბლი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვაზეა გათვალისწინებული. სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტრო წელს ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 59 მილიონს მიიღებს, რაც მარმანდელთან შედარებით თითქმის 8 მილიონით მეტია. პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოებისთვის წელს 97 მილიონი დაფინანსებაა მოსალოდნელი. შედარებით ცოტა ერგო უშიშროების სამინისტროს, წელს ის 25 მილიონით დაფინანსდება.

ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, იგი მაინც არ ასახავს მის რეალურ ოდენობას, რადგან მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების შენახვა და იმ სადამსჯელო ოპერაციების ჩატარება, რომელსაც აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი პერიოდულად ეწევა, გაცილებით მეტ დანახარჯს მოითხოვს, ვიდრე ბიუჯეტში არის ნაჩვენები. **"ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას აქვს გარეშე ძალებიდან სერიოზული ფინანსური და მატერიალური დახმარება, აგრეთვე, მას გააჩნ-**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდება:**

**31 მაისს, 10.00-დან 18.00-სომდე:**

ვაჟა-ფშაველას I და IV კვარტლების, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), კანდელიის, ტაყეკისის, ზუდაბეტის, ოფეხის, მაგალობლიშვილის, ზოვრეთის, გელოვანის, ზემო გვეძისის, ვახიუზნის, ჩერქეშვილის, ვაგარიხის, იმედაშვილის, არდაზიანის, სახოკიას, ონიაშვილის, უსმუტაშვილის, დელისის, ჩიქოვანის ქუჩების მაცხოვრებებს.

# ქასკის ნავთობი ირანის გავლით

თორენიკა ბარაზენიძა

**"ყაზახეთს კასიბის ნავთობის ირანის ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირება სურს,"** - ასეთი საგულისხმო განცხადება გააკეთა წერსულთან ნაზარბაევმა "ფაინენშალ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში. ყაზახეთის პრეზიდენტის თქმით, ეს მარშრუტი "ყველაზე მიმზიდველია" როგორც მისი ჰუმკნის, ასევე იქ მომუშავე ამერკული კომპანიებისათვის. **"ეს გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ჩინეთ-ან რუსეთი,"** - განაცხადა ნაზარბაევმა, რომელიც იმდღე არ კარგავს, რომ ირ-

ანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები მალე გაუმჯობესდება და ამგვარი პროექტის განხორციელება რეალური გახდება.

ნაზარბაევის ეს მოსაზრება ხმაძალა მას შემდეგ გაუფრღა, რაც ყაზახეთმა ჩინეთში ნავთობის ექსპორტირების საკითხი ამ ქვეყანასთან საბოლოოდ შეათანხმა. ეს უდიდესი მიღწევაა ნაზარბაევისათვის, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წარმატებით ბალანსირებს "დიდ მუხლობებს" შორის. ჯერჯერობით, კასპიური ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტს, ძირითადად, ისევ და ისევ რუსეთი აწხორციელებს. ამიტომ, ჩინეთის ბაზარზე ყაზახეთის გასვლა მართლაც რომ აღსანიშნავი წარმატებაა, რადგან რუსეთი ყოფილი საბჭო-

თა რესპუბლიკების მიერ ნავთობის ექსპორტირებას აშკარა გაღიზიანებით ხედავს. ზოლმე, პროცეტი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ჩინეთში სულ უფრო და უფრო მატულობს ენერგომოხმარება და ყაზახეთი ამ ქვეყანაში "შავი ოქროს" პირველ ექსპორტიორად იქცევა.

"ფაინენშალ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში ნაზარბაევმა ხაზი გაუსვა მისი ქვეყნის გეოპოლიტიკურ პრობლემებს, რომლებიც ნავთობის ექსპორტირებას აფერხებს. კერძოდ, ყაზახეთს ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია, სხვა ქვეყნების გავლით ენერგომატარებლების ექსპორტს კი დამატებით სირთულეებს იწვევს. ნაზარბაევის თქმით, რუსეთთან, უკრაინასთან და ბელარუსთან ერ-

თიანი ეკონომიკური ზონის შექმნისას ყაზახეთის მთავარი მოთხოვნა ბაჟის შემცირებაა, რომელსაც რუსეთი ენერგიომატარებლების საკუთარ ტერიტორიაზე გატარებისათვის ითხოვს. მისი აზრით, ზონა, რომელზეც ყოფილი საბჭოთა ეკონომიკის, დაახლოებით, 80 პროცენტი მოდის, უკვე მომავალი წლიდან შეიძლება ამუშავდეს. ყაზახეთის პრეზიდენტი შირსაა იმ აზრისაგან, რომ ის საბჭოური ტიპის გაერთიანებაა. ეკონომიკური ზონა მას მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის წარმომადგენელი გახდება, **"დასავლეთს კი არ უნდა აღიზიანებდეს ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ინტეგრაციასავე ისწრაფიან,"** - აღნიშნა ნაზარბაევმა.



# აზერბაიჯანის ელიტაში შიდა დაპირისპირება გამწვავდა

პირველი გვერდი

პრეზიდენტმა უჩეველი ნაზი-ჯი გადგა და ამ დაპირისპირების შესახებ საჯარო კომენტარი გააკეთა: "მე გადაწყვეტილებებს თავად ვიღებ. საგანგებო სიტუაციები და, განსაკუთრებით, პოლიტიკურად მოტივირებული სტატიები ჩემს აზრზე გავლენას ვერ მოახდენს."

"მე ვფიქრობ, ეს ძალზე პრიმიტიულია, - განაგრძო ალიევი, - საკუთარი თავის პატივისმცემელი ადამიანი ასე არ მოიქცევა. თუ ვინმე ეფიქრობს, რომ სტატიას ჩემი აზრის შეცვლა შეუძლია, ცდებია. ძალიან სერიოზული მიზეზების არსებობაა საჭირო იმისთვის, რომ გადამწყვეტილება შევცვალო."

ილჰამს არც გამოცემა და არც სტატიების დამკვეთები არ დაუკო-ვრეტებია. თუმცა, ნებისმიერი გაზეთის გადაშლა საკმარისია იმი-სათვის, რომ ჩინოვნიკების კორუ-ფციაზე დეტალური ინფორმაცია წაიკითხოთ.

ერთ-ერთი ამგვარი გაზეთია "აზადლიქი", რომელსაც ოპოზი-ციასთან მჭიდრო კავშირი აქვს. "ისინი პირადად მე მიკავშირდები-ან, - ამბობს "აზადლიქის" მთავარი რედაქტორი განიმატ ზახიდოვი, - ჩვენი წყაროები მაღალი თანამდე-ობების პირები არიან, რომელთაც გარანტია სჭირდებათ, რომ მათი გაკრები არ გამჟღავნდება."

"სტატიის დაწერის შემდეგაც კი, მაღალი თანამდებობის პირები კვლავ გვერეკავენ, რათა მაკომ-პიუტერებზელი ფაქტები და მასა-ლა დამატებით მოგვანოვონ," - აღნიშნა ზახიდოვი.

გასულ თვის "აზადლიქმა"

ტრანსპორტის მინისტრის ზია მა-მედოვის შესახებ სკანდალური სტატია გამოაქვეყნა. "ამ ინფორ-მაციის, დაახლოებით, 30-40 პრო-ცენტი ჩვენი ჟურნალისტების მიერ არის მოპოვებული, დანარჩენი კი სამთავრობო წყაროებიდან მოდის," - ამბობს ზახიდოვი.

"ჩვენ ახლახან მივიღეთ ინფო-რმაცია შრომისა და სოცუზრუნე-ლყოფის მინისტრის შესახებ და ახ-ლა მის სანდოობას ვამონებთ," - დასძინა მან.

ბევრი ანალიტიკოსი ვარაუდო-ბდა, რომ ილჰამ ალიევის არჩევის შემდეგ, ბრძოლა "ძველ გვარდია-სა" და ახალი პრეზიდენტის გარშე-მო შემოკრებილ "ახალგაზრდა რე-ფორმატორებს" შორის დაიწყებო-და. თუმცა, ეს ასე არ მომხდარა: ახალგაზრდა ალიევმა ძალზე ცო-ტა ახალი კადრი დანიშნა. ფაქტობ-რივად, ერთადერთი გამოსავლისი ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ელდარ მამედიაროვი.

ამის მიუხედავად, მმართველი გუნდის შიგნით ბრძოლა გამწვავ-და. ბევრი ფიქრობს, რომ ეს ვითარ-ება ჰქონდა ალიევის ნასვლის შე-მდეგ შექმნილმა ვაკუუმმა განაპი-რობა, რომელიც გამოუცდელმა ილჰამ ალიევმა ვერ შეავსო.

"სახიფათოა, როდესაც სახელ-მწიფოს მეთაური საკუთარ გუნდში ბრძოლას ვერ აჩერებს და ეს ქვეყ-ნის მართვაში უშლის ხელს," - აღ-ნიშნა 1993-1999 წლებში ჰქონდა ალიევის მთავარმა მრჩეველმა ელ-დარ ნამაზოვმა. "დღეს აზერბაი-ჯანში მათთან ბრძოლა ორმაგი სახიფათოა, რადგან ეს ჯგუფები რეგიონულ და კორუპირებულ ინ-ტერესებზეა აგებული."



ილჰამ ალიევს მოქმედ დატყვევების დამოწმებზე მოუწევს.

ადრე შენიღბული ბრძოლა ნა-ზიჩევენულ შრომის მინისტრს ალი ნაგიევსა და ერაზელ ჯანდაცვის მინისტრ ალი ინსანოვს შორის მიმ-დინარეობდა. "ჰქონდა ალიევი მტკიცედ აკონტროლებდა სიტუა-ციას და არბიტრირით მოქმედებდა, ისე, რომ ყველაფერი გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული. ყო-ფილმა პრეზიდენტმა სისტემა აკ-კუთარ ქარიზმაზე და სიმკაცრეზე დააფუძნა. ახლა ეს სისტემა ახალი პიროვნების მმართველობის ქვეშ ინგოვს," - შენიშნა ნამაზოვმა.

ცოტა ხნის წინ დაიწყო მედია-კამპანია ბაქოს მერის ჰაჯიბაღა აბ-უტალიბოვის (ნაზიჩევენელი) და გა-ნათლების მინისტრის მისირ მარდ-ნოვის (ეზერი) წინააღმდეგ, თითოე-ული მათგანი კორუფციაში და ილ-ჰამის საბოტაჟში დაადანაშაულებს.

ორივე მათგანმა საჯაროდ დაი-ცვა თავი. ახლახან, დაპირისპირე-ბაში სხვა პირებიც ჩაერთვნენ, მათ შორის, საბაჟოს უფროსი ქაშალე-დინ ჰაიდაროვი, ტრანსპორტის მი-ნისტრი ზია მამედიოვი და ფასიანი ქალაქების კომიტეტის უფროსი ჰქონდა მამედიოვი.

აღნიშნული ვითარება ილჰამ ალი-ევს ქვეყნის შიგნით და საერთაშო-რისო არენაზე პოზიციების გაყვარე-ბაში ხელს უშლის. 13 მაისს "ინთერ-ნეიშნლ ქრაიზის გრუფის" მიერ გა-მოქვეყნებულ მოსენებში ნათქვა-მია, რომ ილჰამ ალიევის პრეზიდენ-ტობის დროს აზერბაიჯანის ხელმ-ძღვანელობას გამოცდა ელოდებო.

"პრეზიდენტი ალიევი ძალზე უზრუნველ ვითარებაშია, - ამბობს მოხსენების ერთ-ერთი თანაავტო-რი ნიკოლას უაითი, - მან უნდა და-აკმაყოფილოს დასავლეთის მო-

## მოკლად

### დალაი ლამა ალბონს ეწვია

მსოფლიოს ბუდისტთა სულიერი ლიდერი, ტიბეტიდან დევნილი დალაი ლამა ერთკვირიანი ვიზიტით პრიტანეთს სტუმრობს. ხუთშაბათს იგი პრინც ჩარლზს შეხვდა, ხოლო შემდეგ მოლაპარაკებები პრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ჯეკ სტროსთან გამართა. "ფორინ ოფისის" წარ-მომადგენელმა დალაი ლამასა და მინისტრის შეხვედრის ფაქტი დაადასტუ-რა და ისიც აღნიშნა, რომ საუბარი, ძირითადად, ტიბეტის ირვლევი წარმოა-რთა, თუმცა დეტალების გახმაურებისაგან თავი შეიკავა.

წინა დღეს ლივერპულში მისი გამოსვლის მოსამხმნად ათასობით ადამი-ანი შეიკრიბა. პრიტანელი მსმენელი ტიბეტელი მოღვაწის საკაცობრიო იდ-ეალებზე საუბრით აშკარად მოხიზლული დარჩა.

ალანინიშნავია, რომ პრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა დე-ვნილ ლიდერთან შეხვედრას თავი აარიდა, არჩია რა ურთიერთობები არ გა-ემწეავენა ჩინეთთან, რომელიც ტიბეტს სახალხო რესპუბლიკის განუყო-ფელ ნაწილად თვლის და დალაი ლამას საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური მოღვაწეობის გამო ღიზიანდებ. პრიტანეთის უკვე არცთუ პოპულარულმა პრემიერმა ამ ნაბიჯის გამოც დაიშასხურა საზოგადოებრივი კრიტიკა.

დალაი ლამამ ტიბეტი 1951 წელს, ჩინეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემ-დეგ დატოვა. დღესაც კი შესაძლებელია, ტიბეტელები დალაი ლამას მხოლოდ სურათის ტარებისთვის დააპატიმრონ. ნობელის პრემიის ლაურეატი ლა-მა ტიბეტისთვის ავტონომიის მინიჭებისათვის მშვიდობიანი ბრძოლის ყვე-ლა მეთოდს იყენებს. დალაი ლამა და მისი მიმდევრები ინდოეთში, დაჰრამ-სალაში ცხოვრობენ. ჩინეთის ოფიციალური ხელისუფლება არ ცნობს და-ლაი ლამას და სხვა ქვეყნების მიერ მისთვის საერთაშორისო ასპარეზზე მო-ღვაწეობის საშუალების მიცემის გამო უკმაყოფილებას არ ფარავს. პეკინში მიიჩნევენ, რომ ბუდისტთა ლიდერი რელიგიის საფარვეტ ქიბეტის დამოუ-კიდებლობის იდეას ქადაგებს.

### "დიდი რვიანის" სამიტს საუდის არაბეთი არ დაესწრება

საუდის არაბეთი მონაწილეობას არ მიიღებს "დიდი რვიანის" სამიტში, რომლის გამართვაც 8-12 ივნისს აშშ-შია დაგეგმილი. ასეთი განცხადება გუ-შინ, საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა საუდ ალ-ფე-ისალმა გააკეთა. აღსანიშნავია, რომ "სუპერსამიტში" მონაწილეობაზე, მა-ნამდე, ეგვიპტემაც უარი თქვა.

აშშ-მ სამიტზე დასასწრებად მოწვევა საუდის არაბეთს, ეგვიპტეს, იორ-დანიას, იემენს, მაროკოსა და ბაჰრეინს გაუგზავნა. არაბების მწევრის ოფ-იციალური მიზეზი მათთვის "დიდი ახლო აღმოსავლეთის ინიციატივის" ახ-ალი რედაქციის გაცნობა იყო. ამერიკული გეგმა, 25 ქვეყანაში ფინანსური მხარდაჭერის სანაცვლოდ, ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და სოციალუ-რი რეფორმების გატარებას გულისხმობს.

ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სამიტზე დასწრების თანხმობა, ჯერჯერობ-ით, მხოლოდ იორდანიაში და იემენმა გამოთქვა.

### რუსეთისა და ეგვიპტის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა "საგ-ზაო რუსის" გეგმისადმი ერთგულებაში მდგომარეობს, - ასე მიაჩნია რუსე-თის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. "ერთადერთი გზა "საგზაო რუსის" გეგ-მისადმი დაბრუნებაა, რომელიც შუამავალთა "ოთხეულის" მიერ იქნა მიღე-ბული და ყველა მხარემ მოიწონა," - განაცხადა პუტინმა ეგვიპტის პრეზიდენ-ტთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. შეგახსენებთ, შუამავალად აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო გამოდიოდნენ. რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებით, რუსეთსა და ეგვიპტეს ასევე მიაჩნიათ, რომ ახლო აღმოსავლეთში გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობის მი-საღწევად აუცილებელი პირობა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცი-ებისა და მადრიდში შეთანხმებული პრინციპების დაცვაა.

ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაკი მოსკოვში გუშინწინ ჩავიდა. ოფ-იციალური ცნობით, მხარეებს შორის მოლაპარაკებებზე ახლო აღმოსავლე-თის მდგრადი განვითარების პირობები განიხილებოდა. ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაგეგმილი გარდაქმნები რეგიონის მიგნე-ბად უნდა მოიღოდეს და იქ სიტუაციის გაართულებას კი არა, პირიქით, კრი-ზისული ვითარების განმუხტვასა და სოციალ-ეკონომიკური სფეროს წინსე-ლას უნდა უწყობდეს ხელს.

პრეზიდენტებს შორის საუბრისას უმნიშვნელოვანესი ადგილი ერაყის თემსაც ეკავა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას ეგვიპტის პრეზიდენტმა ხა-ზი გაუსვა ერაყელთათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესის ფორმას. მისი აზრით, იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ მრავალფეროვნული და მრავალკონფესიური ქვეყნის რღვევა არ დაუშვას. ასევე, ამ პროცესის განხორ-ციელებისას მნიშვნელოვნად მიაჩნია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნუ-ლი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. "ეს პროცესი ფიქტურული არ უნდა იყ-ოს. ერაყელ ხალხს საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდელ-ად შექმნის საშუალება უნდა მიეცეს, ყოველგვარი გარედას ჩარევის გარე-შე," - ამბობს მუბარაკი. კიდევ ერთი ძირითადი პირობა, ეგვიპტელთა ლიდე-რის აზრით ისაა, რომ "ერაყიდან აუცილებლად უნდა იქნეს გაყვანილი ყვე-ლა უცხოური ძალა."

პრეზიდენტებმა იმედი გამოთქვეს, რომ ერაყის შესახებ გაერო-ს ახალ რეზოლუციაზე მუშაობისას ეს საკითხები აუცილებლად გათვალისწინებუ-ლი იქნება.

# ჭონ კერი ამერიკელს ახალ საბარეო პოლიტიკას ჰპირდება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან ჯონ კერი სიტუალში საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. მან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრა და, გამარჯვების შემთხვევაში, ამერიკელ ხალხს შეჰპირდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ახალ საერთაშორისო კოალიციას შექრავს. კერიმ ასევე განაცხადა, რომ ყველაფერს ილონებს, რათა ტერორისტთა ხელში მასობრივი განადგურების იარაღი არ აღმოჩნდეს.

## ლევან დირსაშვილი

მან მკაცრად გააკრიტიკა ჯორჯ ბუშის ერაყული პოლიტიკა და დასძინა, რომ თუკი დემოკრა-ტიების ლიდერს ამერიკელი ხალხი პრეზიდენტად იირჩევს, ის საერ-თაშორისო მნიშვნელობის საკი-თხეებში სხვა ქვეყნების ლიდერებ-თან მჭიდროდ ითანამშრომლებს. დამკვირვებლები კი აცხადებენ, რომ საგარეო პოლიტიკის სფერო-ში ჯონ კერი არავითარ ცვლილებ-ას არ გეგმავს, იმის გარდა, რომ სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობას აპირებს.

ჯონ კერიმ ის ოთხი ძირითადი ამოცანა მოხაზა, რომელთა გადა-წყვეტითაც, დემოკრატები ოვა-ლური კაბინეტის "დაპყრობის" შე-მთხვევაში საგარეო პოლიტიკას განახორციელებენ. ეს ამოცანებია:

■ ახალი საერთაშორისო კავში-რის შექმნა საზღვარგარეთის ქვეყ-ნებთან;

■ შეიარაღებული ძალების მო-დერნიზაცია ტერორისტული საფ-რთხეების გათვალისწინებით;

■ აშშ-ს დიპლომატიური, სადა-ზვერეო და ეკონომიკური ძლიერე-ბის უფრო ეფექტურად გამოყენე-ბა;

■ ახლო აღმოსავლეთის ნავ-თობზე დამოკიდებულებისაგან აშშ-ს გათავისუფლება;

"შთელი მსოფლიო ამერიკას შეუძრება, რომელიც უნდა უს-მუნდეს მსოფლიოს და წინ მიჰყა-ვდეს. ამერიკის კი არ უნდა ეში-

ნოდეთ, არამედ პატივს უნდა სცემდნენ," - განაცხადა კერი.

ერაყის შესახებ საუბრისას მან აშშ-ს და ბუშის პოლიტიკის მთავ-არ პრობლემად საერთაშორისო მხარდაჭერის არარსებობა დასა-ხელა. "ბუშის ადმინისტრაციამ ძალას მიმართა, როდესაც კიდევ იყო დარჩენილი ადგილი დიპლო-მატიისათვის. ისინი, დარწმუნე-ბის ნაცვლად, მუქარას იყენებდ-ენ. ისინი ქვეყანაში შესაჭრელად მარტონი წავიდნენ, იმის მაგიერ-ად, რომ გუნდი შეეკრათ," - განა-ცხადა კერი.

"ისინი უკეთესის მოლოდინში იყვნენ, სინამდვილეში კი ყველა-ზე უარესისათვის უნდა მომზა-დებულიყვნენ. მათ ხაზი გადაუს-ვეს იმ შემკვიდრებას, რომელს-აც აშშ-ს მთავრობები წლების მა-ნძილზე ქმნიდნენ. ჩვენ ეს შემე-ვიდრება უნდა დავიბრუნოთ," - განაგრძო ჯონ კერიმ ჯორჯ ბუშის ხელისუფლების გაცამტყერება.

კერის გამოსვლის საპასუხოდ, ჯორჯ ბუშის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა სტივ შმოდტმა განაცხადა, რომ დემოკრატთა ფა-ვიორიტის სიტყვა არც ერთ ახალ ინიციატივას არ შეიცავდა.

"ტერორის წინააღმდეგ ომის ჯონ კერისული მიდგომა გაუბე-დაობით და არამუდმივობით ხა-სიათდება. ის ერაყის ომის თემას მუდმივად საკუთარი პოლიტიკუ-რი მიზნებისთვის იყენებს," - გა-ნაცხადა შმოდტმა.

როგორც არ უნდა იყოს, ფაქ-ტია, რომ დღევანდელი ვითარებ-



ჭონ კერი ეროვნულ უსაფრთხოებაზე საუბრობს.

ით თუ ვიმსჯელებთ, ჯორჯ ბუშის პოლიტიკური კრახის მიზეზი სწორედ ერაყის ომი გახდება. სო-ციოლოგიური გამოკითხვის შე-დეგების თანახმად, რესპუბლიკე-ლების ლიდერის რეიტინგი უკვე 41 პროცენტზე ჩამოვიდა, მაშინ, როდესაც დემოკრატების კანდი-დატის ჯონ კერის რეიტინგმა 49 პროცენტამდე აიწია. ამდენად, ბუშის ადმინისტრაციის წარმომა-დგენელებმა როგორც არ უნდა იმ-ართლონ თავი, ერაყის სინდრომი ნოემბრის საპრეზიდენტო არჩე-ვებზე გადაწყვეტი ფაქტორი გა-ხდება.

ჯორჯ ბუშს არცთუ მრავალ-ფეროვანი არჩევანი აქვს. მან ან უნდა შეცვალოს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და აღიაროს ის ფაქტალური შეც-დომები, რომელმაც მსოფლიოში ან-ტიამერიკანიზმის ზრდას შეუწეო ხელი, ან არადა, ბრძოლა ბოლომ-

დე გააგრძელოს და ყველანაირი მეთოდით ეცადოს ერაყში წარმა-ტების მიღწევა. პირველ შემთხე-ვაში, მისი რეიტინგი კიდევ უფრო მეტად დაეცემა. ამიტომ, თეთრი სახლის რესპუბლიკელი მესვერე-სათვის ერაყის საკითხში უკან და-ხევა არჩევნებზე დამარცხების ტოლფასი იქნება. აქედან გამომ-დინარე, ჯორჯ ბუშმა როგორმე უნდა შეძლოს ერაყის მოვლენებში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტა-ნა და ამერიკელების დარწმუნება იმაში, რომ ერაყში დაღუპული ჯა-რისკაცები შეერთებული შტატებ-ის ეროვნულ ინტერესებს შეწინარ-ენ და არა თეთრი სახლის ავანტიუ-რას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნო-ემბრის თვეში ჯორჯ ბუშ უმცროსს ტეხასის მშობლიურ რანჩოში მოუ-წევს სამუდამოდ გადაბარება, ხოლო ოვალურ კაბინტში კი დემო-კრატების ფავორიტი ჯონ კერი დაიდებს ბინას.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გაცნობებთ, რომ ათენის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და საზოგადოებრივი მართვის დეპარტამენტი დაინტე-რესებულ პირებს სთავაზობს ერთწლიანი მაგისტრატურის კურსს ათენის უნივერსიტეტში.

აღნიშნული კურსი ტარდება ინგლისურ ენაზე და ძირითად თემას წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სწავლების სა-კითხები.

განცხადებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობე-ბის, საზოგადოებრივი მართვის, სამართლის, ისტორიის, ეკონომიკის ან ბიზნესის სპეციალობებში.

საჭირო ანექტებს მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოში. აღნიშნული ანექტები უნდა გადაგზავნოთ ათენის უნივერსიტეტის სამ-დიენოში 2004 წლის 31 მაისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო თანა-მშრომლობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს მისამართზე:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
უზნაძის ქუჩა N52  
ტელ. 95-48-69



# წარმატებული მოსწავლეები

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის მოადგილე სანდრო დიდებულიძე და მეცნიერების აკადემიური ცნობისა და მობილობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი მაჩაბელი იმ ახალგაზრდებს შეხვდნენ, რომლებმაც შოლანდიაში ჩატარებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე წარმატებებს მიაღწიეს.

## ენო სინსაძე

მინსკისა და ბუდაპეშტის უნივერსიტეტების მიერ დაფუძნებული ეს კონფერენცია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში 1990 წლიდან ტარდება. 1998 წლიდან მას საქართველოც შეუერთდა და 2002 წელს კონფერენციის მონაწილეებს უმასპინძლა კიდევ ქუთაისში. წლებადღეს კონფერენციაზე ფიზიკაში, მათემატიკაში, ინფორმატიკაში და ეკოლოგიაში თორმეტი ქვეყნის 145 მოსწავლეს 85 პროექტი ჰქონდა წარმოდგენილი. საქართველოს დელეგაციაში ხუთი მოსწავლე იყო; ორმა მათგანმა - პირველი ხარისხის, ხოლო ერთმა მესამე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა: კოკი ლლონტი (ამერიკულ-ქართული სასწავლებელი, მეთავე კლასი) პირველი ხარისხის დიპლომით და-

ჯილდოვდა მათემატიკაში, ნანა ლემონჯავა (42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, მეთავე კლასი) პირველი ხარისხის დიპლომით - ინფორმატიკაში, ნანა გობაძე კი (42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, მეთავე კლასი) - მესამე ხარისხის დიპლომით მათემატიკაში. როგორც ახალგაზრდა შემოქმედთა სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, ბატონი გიორგი ლასხიშვილი ხუმრობს: "ნანა, აუცილებლად, მეორე ხარისხის დიპლომს აიღებდა, ოკი რომ არ ყოფილიყო, ასე გვითხრეს, - ყველაფერს ქართველებს ხომ არ გაგატანთო". ალბათ, მართლაც იყენენ, რადგან წელს მიღებული დიპლომების რაოდენობით ჩვენმა დელეგაციამ ყველა სხვა ქვეყანას აჯობა, მით უმეტეს, თუ გავითვალიწინებთ, რომ კონფერენციაში, ძირითადად, ჩვენს მოსწავლეებზე ორი წლით უფროსი, ევროპული



კოკი ლლონტი, ნანა გობაძე და ნანა ლემონჯავა.

# კარგი შანსი საქართველოსთვის

საქართველოს, რომლის ტერიტორიის სამ მეოთხედს მთები წარმოადგენს, სამთო ტურიზმის განვითარების კარგი შანსი ეძლევა. ამას საფუძველს ჩაუყრის მთამსვლელობა საერთაშორისო ასოციაციების კავშირის (UIAA) რეკავიანი დელეგაციის ვიზიტი. ბელგიის, გერმანიის, ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის მთამსვლელობა ასოციაციების ხელმძღვანელებისგან შემდგარი ეს ფაქტური საქართველოს რეკომენდაციას გაუწევს, არა მარტო საკუთარ ქვეყნებში - მსოფლიო მასშტაბითაც. დელეგაციის წევრთა დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის ბუნების მიმართ ამის რეალური გარანტიაა.

## მაკა ჭანიანი

"ვერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა სახელი "უშბა" გამეგონა, - ამბობს კავშირის ტუ-

რიზმის განვითარების მთავარი კომისიის პრეზიდენტი რობერტ პეტეროუ, - საქართველოში წამოსვლამდე ცნობილ მთამსვლელობაში წიგნები გადავიკითხე და ერთ საინტერესო ფრაზას წავაწყ-

დი: "ორი ულამაზესი მთა არსებობს მსოფლიოში - უშბა საქართველოში და ნინდადევი ინდოეთში". საქართველო, კავკასიის მთები უდავოდ იმსახურებენ მსოფლიოს ყურადღებას". UIAA-ს ეგიდით, შარშან ყაზბეგის რაიონში ახალგაზრდული აღზრდის ტური ბანაკი მოეწყო. როგორც ჩანს, ამან ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი სერიოზულად გააღვივა. ამას, თუნდაც, ის ადასტურებს, რომ ამ ორგანიზაციის ეს ვიზიტი UIAA-ს პირველი ცდაა, მოიძიოს დასავლეთ ევროპაში მთამსვლელობისა და მეკლდეურობის განვი-

თარებისთვის ხელსაყრელი ადგილები პროფესიონალებისა და მოყვარული ტურისტებისთვის. გარდა უნუკალური ლანდშაფტისა, საქართველო იმითაც იქცევს UIAA-ს ყურადღებას, რომ კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრა თუ ეროვნულ ტყე-პარკებში გადაადგილება აქ ყოველგვარი დამატებითი საზღაურის გარეშეა შესაძლებელი. საქართველოსთვის კი მისი წარმომადგენლების ვიზიტი არა მხოლოდ ტურიზმის განვითარების კუთხით უნდა იყოს მნიშვნელოვანი, არამედ იმითაც, რომ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი

მთავარი პრინციპი, ჯანსაღი ტურისტების პარალელურად, გარემოს დაცვაა. UIAA-ს ტურიზმის განვითარების მთავარი კომისიის ვიზიტი საქართველოში, სავარაუდოდ, 4 ივნისამდე გასტანს. დავეგმილია შეხვედრები კულტურისა და სპორტის მინისტრთან, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. 28-დან 30 მაისის ჩათვლით, დელეგაცია თბილისში სემინარებს გამართავს, შემდეგ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ტყე-პარკ-

სა და სვანეთს ესტუმრებიან. პირველი მსოფლიოსთვის უნიკალური ეკოსისტემითაა საინტერესო, მეორე კი - მაღალი მთებითა და ეთნოგრაფიით. "ვიმედოვნებთ, ჩვენი ვიზიტი საქართველოში მხოლოდ სპორტის ყველაზე რომანტიკული და დიპლომატიური სახეობის - სამთო ალპინიზმის განვითარებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში", - კეთილგანწყობილი სტუმრების ამ განცხადებაში გადამეტებული არაფერია.

## საზოგადოებრივი

## უსახლოდ, ულუკაპუროდ, ხუთ შვილთან ერთად

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "მშვენიერი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი გვიამბობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოუწესრიგოთ და დავებშიათ მათ.

## თინათინ ასათიანი

მეცხვარიშვილები, უკვე ერთი თვეა, რაც ოზურგეთიდან ჩამოვიდნენ, რომ ერთი წლის შვილი სიკვდილისგან ეხსნათ. პატარა ლუკა დიდი ხნის განმავლობაში სეფსისით იყო დაავადებული; წონაშიც ვერ იმატებდა, მაგრამ მშობლებს ექიმთან მისი მიყვანის საშუალება აჰქონდათ. ბოლოს, უკიდურესი მდგომარეობის გამო, ქალბატონი ქრისტინე იძულებული გახდა, ბავშვი თბილისის ბავშვთა II რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოეთავსებინა. მან ლუკას სეფსისის ცენტრში დაწვეა უფულობის გამო ვერ შეძლო; თუმცა, ბავშვს ვერც ერთ საავადმყოფოში ვერ დააწვევდა, გულისხმიერი ადამიანები რომ არ დახმარებოდნენ.

"უბედური მაია ჩხიძე და სხვა ლტოლნიერი ადამიანები რომ არ გვეზიარებოდნენ, ლუკას წამდილად ვერ ვუშვარნალებდით და, ალბათ, დედამებოდა", - ამბობს ავადმყოფის დედა.

ქალბატონი ქრისტინე 32 წლისაა; ოზურგეთში დაიბადა და იქვე გაიზარდა; ოჯახს საკუთარი სახლი არ ჰქონდა და წლების განმავლობაში ორ ბავშვთან ერთად ქმრის ბიძაშვილის ბინაში ცხოვრობდა. ახლა მას საცხოვრებლის დაცვას სთხოვენ. ქალბატონი ქრისტინე, მისივე თქმით, ბევრჯერ ეცადა მთავრობისგან მხარდაჭერის მოპოვებას, მაგრამ ამბოვ - ვერც ერთხელ ვერ მიიპყრო ოზურგეთის გამგებლობის ყურადღება. ვერც ძველმა და ვერც ახლანდელმა გამგებლებმა მეცხვარიშვილებს ოჯახი ბინით ვერ უზრუნველვეს. მრავალშვილიან დედას, უსახსრობის და უბინაობის გამო, სამი უფროსი შვილის თბილისის ბავშვთა სახლში მიბარება მოუწია. ამჯერად ქალბატონი ქრისტინე და მისი ორი შვილი დილში ბავშვთა II რესპუბლიკურ საავადმყოფოში არიან. პატარა ლუკას, რომელიც ცოტა ხნის წინათ სიკვდილს გადაარჩინეს, კვლავ სჭირდება პერიოდული მეურთავლობის ჩატარება. მეორე ბავშვი მათთან იმის გამოა, რომ ქალბატონი ქრისტინეს დამხმარე არ ჰყავს და მას ვერავის უტოვებს. ხუთი შვილის დედას დღეში 12 ლარი მხოლოდ ანტიბიოტიკებისთვის სჭირდება. ისიც და მისი ქმარი უშუქვერები არიან. რამდენიმე თვეა, რაც ქალბატონი ქრისტინეს ქმარი, მუშაობის და-

წყების მიზნით, თბილისში წამოვიდა, მაგრამ სამსახური ვერსად იპოვა. მას ახლაც, დღეში ორი პურის გარდა, ოჯახში ვერაფერი მიიქვს. ქალბატონი ქრისტინეს თქმით, ოზურგეთში მათ უადრესად გაჭირვებულ პირობებში უზღებოდათ ცხოვრება - საჭმელი თევზით არ ჰქონდათ. "იყო პერიოდი, როცა 19 დღე არც მე და არც ჩემს შვილებს ერთი ლუკა პური არ გვიქანია. ამ პერიოდმა მაიძულა, მემათხოვრა. ახლა ამასაც ველოვარ, ვაგრებებ - უკვე ხუთი შვილი მყავს და პატარა ლუკას ავადმყოფობამ სულ უკან დაგვანია", - ამბობს იგი. მეცხვარიშვილების ოჯახის მიმართობის პერიოდი, რომელზეც მრავალშვილიანი დედა ლაპარაკობს, წარსულში სულაც არ დარჩენილა; მათ მალე უბინაობაც ემუქრებათ და ქუჩაში ცხოვრება მოუწევთ.

ქალბატონი ქრისტინეს მთავარი მიზანია, თავშესაფარი მოახდოს, თბილისის ბავშვთა სახლში მიბარებული სამი შვილი წამოიყვანოს და იქ ერთად, თუნდაც გაჭირვებაში, იცხოვროს. იმის გამო, რომ მეცხვარიშვილები არასდროს ჩანერილები, სახელმწიფოსგან ვერც იმ ხუთ ლარს იღებენ, მრავალშვილიანი ოჯახის თითო ბავშვისთვის რომაა განკუთვნილი. ხუთი შვილის დედას სჯერა, რომ კეთილი ადამიანები არ მიატოვებენ, სახელმწიფოც მათ ყურადღებას მიაქცევს და როდესმე ცხოვრებას ისე აიწყობენ, როგორც სხვა ოჯახები. შენიშვნა: სტატიის მიზანია დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორიებსა თუ პრობლემებს, რაზეც თავად რესპონდენტი საუბრობს. პროექტის მიზანია, მისცეს შესაძლებლობა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთი პრობლემების შესახებ ამცნონ საზოგადოებას. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხოვნილი ფაქტებისა და პრობლემების სხვადასხვა დონეზე გადმოწმება.

P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს. მობ: 893 32 44 41 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@hotmail.com

## საჩუქარი ბათუმის უნივერსიტეტს

კვირას, 30 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევა.

ადგილზე მინისტრი გააკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ "ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო", ჩრდილოატლანტიკური პაქტი (NATO) და ასოციაცია "გრენა" ბათუმის უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცემენ კომპიუტერულ კლასს.

კლასი აღიჭურვება მაღალი სიჩქარის ინტერნეტკავშირით ჩართული 20 ულტრათანამედროვე კომპიუტერით. ქსელის ერთი წლით მოხმარების საფასურს დონორები წინასწარ გადაიხდიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თბილისი 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 52 ტელ: 99 60 00 ფაქსი: 96 98 31

## მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს, გატონ მიხაილ სააკაშვილს

## გატონ პრეზიდენტო!

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის სახელით გულითადად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და გისურვებთ დიდ გამარჯვებებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. შეერთებული შტატების საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა საქართველოს ეროვნული დღესასწაული - 26 მაისი მისურის შტატის ქალაქ კოლუმბიაში, კოლუმბია-მისურის უნივერსიტეტში, სადაც ამჟამად სტუმრობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი დელეგაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია "ACTS International/Georgia"-ს მიერ ორგანიზებულ საზეიმო შეხვედრაზე ქალაქ კოლუმბიის მერმა, უნივერსიტეტის კანცლერმა, აშშ სენატის და გავლენიანი რეგების წარმომადგენლებმა გულითადი მხარდაჭერა გამოთქვეს ჩვენი ქვეყნის და მისი პრეზიდენტისადმი, რისი თვალსაზრისით დადასტურება გახდა უზრუნველყოფილი მოვლენა - ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს აშშ-სა და საქართველოს საგანმანათლებლო ინსტიტუტების ურთიერთობის ისტორიაში - დაფუძნდა კოლუმბია-მისურის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი ფაკულტეტი დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამების განსახორციელებლად საოჯახო მედიცინის სპეციალისტების მომზადებისათვის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ უნიკალური ერთიანი საგანმანათლებლო სტრუქტურის შექმნა სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც ქართველმა ხალხმა ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველად იზეიმა დამოუკიდებლობის დღე.

გვარდა იმისა, რომ დასახელებული მოვლენა ქართული უმაღლესი სკოლის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აღიარებაა, იგი ქმნის უნიკალურ შესაძლებლობას - ახალი გენერაციის საერთაშორისო დონის ქართველ მედიკოსთა მომზადებისათვის. ქართული დელეგაციის ვიზიტს თან ახლდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ოფიციალური მხარდამჭერი მიმართვა. ასაზეიმო მიღებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში განსაკუთრებული როლი შეასრულა აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტმა და იმ სახელმწიფო უკრმა, რასაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ახორციელებს ქვეყნის აღმშენებლობისათვის. გამოითქვა რწმენა, რომ ერთობლივი ამერიკულ-ქართული სამედიცინო ფაკულტეტი ახალი ეტაპი იქნება საზოგადოდ ამერიკულ-ქართულ ურთიერთობებში და დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ინტეგრაციის პროცესს მსოფლიო თანამეგობრობაში.

საზეიმო ცერემონია დასრულდა ოფიციალური მისალოცი ადრესის გადმოცემით, რომელშიც აშშ-ის საზოგადოებრიობის სახელით ქალაქ კოლუმბიის მერი ბატონი დარვინ როსი გულითადად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს პირადად თქვენ, მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს და მთელ ქართველ ხალხს!

პატივისცემით,  
საქართველოს დელეგაციის სახელით,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი,  
აკადემიკოსი რამაზ ხეცურიაძე





# როგორ გაათავისუფლეს პატიმრობიდან ავტორიტეტული "კანონიერი ქურდი"

**პირველი გვერდი**

ცნობისთვის: 46 წლის სერგო ქუთათელაძე არა მარტო ქართულ კრიმინალურ სამყაროში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ "კანონიერ ქურდად" არის მიჩნეული. იგი, ძირითადად, რუსეთში მოღვაწეობდა, თუმცა ბოლო პერიოდში მისი მოქმედების არეალი ევროპის ქვეყნებსაც გადასწვდა. მის სახელს უკავშირებენ პოსტსაბჭოთა სივრცის ქურდული სალაროს - ე.წ. "ოშპიაკოს" ფლობასაც, რომელიც, საქმეში ჩახეული პირების განმარტებით, რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს აღემატება. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც "ბაიკოს" დაკავებისთანავე გავრცელდა ხმები, რომ მის გათავისუფლებაში 800 ათას დოლარს იხდიდნენ. თუმცა, მაშინ სამართალდაცველებებს დასახელებული თანხის აღებაზე უარი განუცხადებიათ.

"ბაიკო", დაახლოებით, ორიოდე თვის წინ ქუთაისის შემოსასვლელში დააკავეს, იგი დედის დაკრძალვაზე ისრაელთან მოდიოდა. დაკავებისას მას "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი აღმოუჩინეს. როგორც გვაცნობს, წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსების შემდეგ,

სამართალდამცველებს მისთვის დედის დასაფლავებაზე მისვლა შეუთავაზებიათ. თუმცა, "ბაიკოს" ბორკილებით გასვენებაში მისვლაზე უარი განუცხადებია. არსებული ინფორმაციით, ქუთათელაძემ სამართალდამცველებს დაკავების შემდეგ უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა. საქმე ისაა, რომ "ბაიკოს" ბიზნესში ჩართული ახალგაზრდა "კოლეგებთან" კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა. ამიტომაც, მისმა დაკავებამ სასჯელსრულლებით დასწავლებლებში მყოფ ქურდებს შორის პანიკა გამოიწვია, რადგან საპყრობილეში, სადაც ქუთათელაძეს მოათავსებდნენ, იგი ახალი ტრადიციების მიმდევარ ქურდებს, მათ, ვინც ბიზნესშია ჩაბმული, სტატუსს ჩამოართმევდა. როგორც ამბობენ, ამ მხრივ, განსაკუთრებით ქუთაისის ციხეში შემოვიდნენ, მაშინ აღნიშნულ საპყრობილეში კანონიერი ქურდები ზვიადაძე და ამბროლაძე იმყოფებოდნენ, რომელთაც "ბაიკოსთან" სერიოზული საფრთხე ელოდათ. საქმეში ჩახედულთა თქმით, საპყრობილეში მიყვანილ "კანონიერ ქურდს" მისი "კოლეგები", ნესით, ე.წ. "ვახტანგ" უნდა დახვედროდნენ, რაც ზვიადაძესა და ამბროლაძეს არ გაუქვთებიათ. საბოლოოდ, "ბაიკომ" ქუ-

თაისის ციხეში მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო და ისიც - ღირე ქორის კაზინეტში. მოგვიანებით, იგი სპეცტაპით თბილისში გადაიყვანეს. იმასაც ამბობენ, რომ ეს "სიამოვნება" ქუთაისელ ქურდებს 30 ათასი დოლარი დაუჯდათ. საბოლოოდ, იგი მეშვიდე იზოლატორში დააბინავენ.

ქუთაისში იმაზეც საუბრობენ, რომ საპყრობილეში "შავი სამყაროს" წვრილფეხა წარმომადგენლებსა და "ბაიკოს" შორის კონფლიქტი მაინც მოხდა. უფრო ზუსტად, საპყრობილის ადმინისტრაციამ მისი "განთავსება" გადაწყვიტა. ამის გამო, რუსეთიდან საქართველოში "ბაიკოს" დასაცავად და "ქურდულ სამყაროში" დაპირისპირების აღსაკვეთად, რუსეთიდან კიდევ ერთი ძველი ტრადიციების მატარებელი ავტორიტეტი ბადრი კოლუაშვილი ჩამოვიდა. ქუთათელაძის უსაფრთხოების დასაცავად სამართალდამცველებს ჩაბარდა "კანონიერი ქურდობის" კანდიდატი მალხაზ მჭავია. "ბაიკოს" უსაფრთხოებას თურმე, ცნობილი ავტორიტეტი "იპოვნიკიც" მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სერიოზული არეულობით იმუქრებოდა.

ხელისუფლება "კანონიერი ქუ-

რდის" გათავისუფლებაზე თავდაპირველად უარზე იყო, შემდეგ კი, მოულოდნელად, გადაწყვეტილება შეიცვალა და იგი გაათავისუფლეს. "ბაიკოს" გათავისუფლების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გახდა.

მისმა ადვოკატმა თამაზ სვანიშვილმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო მისი გათავისუფლება მოითხოვა. სასამართლომ არ დააყოვნა და სხდომა ღამის 11 საათზე ჩაატარა. როგორც არ უნდა გაგვივრდეთ, ადვოკატის მოთხოვნას პროკურორიც დაეთანხმა. მოსამართლე ზაზა ხაყალაძე კი ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ "კანონიერ ქურდს" აღკვეთის ღონისძიება პირადი თავდებობით შეუცვალა. თანაც ისე, რომ მისთვის ქვეყნის დატოვებაც არ აუკრძალავს. არადა, ჩვენი ინფორმაციით, ქუთათელაძემ მეორე დღესვე დატოვა საქართველო. "დაცვის მხარე ელოდებოდა ცნობას საზღვარგარეთის კოინიკიდან, სადაც ქუთათელაძე მკურნალობდა. იგი პირდაპირ საავადმყოფოდან მოდიოდა და, ბუნებრივად, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შერყეული ჰქონდა... მის, ძირითადად, გულ-

თან და ხერხემალიან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემები და სპეციალიზირებულ კლინიკაში მკურნალობას საჭიროებდა. ქუთათელაძის ავადმყოფობასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტაციაც არსებობს. ივანოვის შესახებ კი არაფერი მსმენია," - აცხადებს ქუთათელაძის ადვოკატი თამაზ სვანიშვილი. ქუთაისის პროკურატურაში კი განმარტავენ, რომ "ბაიკოს" სამედიცინო დოკუმენტაციამ ეჭვი არავის შეუტანია. "ქუთათელაძის შესახებ სახეზე იყო სამედიცინო დასკვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, აღნიშნულ გარემოებებს მეშვიდე იზოლატორის ადმინისტრაციამ და ექიმმა დაასტურებდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვი არ შეგვაჩრება, რადგანაც ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ იგი დაკავების დღიდან მიუთითებდა. ჩვენ ასევე მივიღეთ ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ქუთათელაძე მკურნალობდა," - განაცხადა ქუთაისის პროკურორმა გელა გოგლიჩიძემ, რომლის განცხადებითაც, ქუთათელაძის საქმის გამოძიება უკვე დამთავრებულიც იყო და საქმე განსახილველად სამართალში უნდა გადაეცაზნათ

კიდევ. როგორ ჩატარდება სასამართლო პროცესი ბრალდებულის გარეშე, ძნელი სათქმელია. იმის თაობაზეც გაჭირდება ვარაუდის გამოთქმა, გამოაცხადებენ თუ არა ძებნას საქართველოდან გაქცეულ "კანონიერ ქურდზე".

სხვათა შორის, "ბაიკოს" გათავისუფლებიდან მეორე დღეს, მის მალხაზ მჭავიაც გაათავისუფლეს და მის წინააღმდეგ აღძრული საქმე წინასწარ გამოძიებაში დააბრუნეს.

გავრცელებულ ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ "ბაიკოს" გათავისუფლებაში სოლიდური მალაჩონოსნები იყვნენ ჩარეულნი, სხვა დეტალებიც დასატურებს. მაგალითად, "კანონიერი ქურდის" გოგი ჩიქოვანის დაკავების ფაქტი. უფრო ზუსტად, ის, რომ ჩიქოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც უმძიმესია და ამის თაობაზე კომისიური ექსპერტიზის დასკვნაც არსებობს, თანაც, ის 80 წელსაა მიღწეული და კანონით, პატიმრობის სანქციას არ ექვემდებარება, თუმცა აღკვეთი ღონისძიების შეცვლაზე მას უარს ეუბნებიან. არადა, 46 წლის სერგო ქუთათელაძე იცნ გაათავისუფლებს პატიმრობიდან, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საეჭვოდ არავის მიუჩნევია.

# თავდასხმისას მიღებული სტრატეგია მძლოელი ადგილზე გარდაიცვალა

სამგერელო-ზემო სვანეთის რეგიონში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეენიჭა. გუმბინში, სოფელ ზანაში, ჩხორონწყეს მიმართულებით მოძრავ "მერსედის" მარკის მიკროავტობუსს, რომელსაც ელდარ მენგელია მართავდა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოთხი წილბიანი, შეირაღებული თავდამსხმელი გადაუდგა. თავდამსხმელებმა მძღოლს, იარაღის მუქარით, ჯერ

ავტომანქანის გაჩერება, შემდეგ კი გარკვეული მიმართულებით წასვლა მოსთხოვეს. მძღოლმა ნილბიანთა ულტიმატუმი დააკმაყოფილა და მათი მოთხოვნა უსიტყვოდ შეასრულა, თუმცა შუშისაგან მას მოულოდნელად გულის შეტევა დაემართა და ადგილზევე გარდაიცვალა. მიკროავტობუსი გზის საველი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა. მიკროავტობუსში მყოფი ორი მგზავრი და ოთხი თავდამსხმელი

სიკვდილს გადაურჩნენ. სერიოზული დაზიანება არავის მიუღია.

იმ მოტივით, რომ შემინებულ მგზავრებს პოლიციისთვის შეტყობინება არ გაეგზავნათ, თავდამსხმელებმა მათ მობილური ტელეფონები წაართვეს და ტყის მიმართულებით გაუჩინარდნენ. მოგვიანებით, სენაკის პოლიციის თანამშრომლებმა იმ სავარაუდო მიმართულებით დაიწყეს თავდამსხმელთა ძებნა, საითაც ისინი გაუდგნენ

გზას, თუმცა, ყაჩაღთა კვალს სამართალდამცველებმა ვერ მიაგნეს.

მოსახლეობა მომხდარში პოლიციას ადანაშაულებს. "ამ ადგილას ყაჩაღობა ჩვეულებრივი მოვლენაა და პოლიცია არავითარ ზომებს არ იღებს" - აცხადებენ სენაკელები. მათი განცხადება "24 საათთან" საუბრისას კატეგორიულად უარყო სამგერელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა თემურ მურდულიამ.

"თავდასხმის, ყაჩაღობისა და ქურდობის არც ერთი ფაქტი უყურადღებოდ არ რჩება. ეს ის ადგილია, სადაც ცოტა ხნის წინ კაცი შიშით ვერ გაივლიდა. ბოლო პერიოდში აქ თავდასხმისა და დაყარჩალები ფაქტს ადგილი აღარ ჰქონია. შექმნილია ჯგუფები, რომლებიც მუდმივად პატრულირებენ და აკონტროლებენ სიტუაციას. სამგერელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბოლო დროს მომხ-

დარი თითქმის ყველა დანაშაული გახსნილია. რაც შეეხება სოფელ ზანაში მომხდარ გუმბინშიდელ ფაქტს, გარკვეული ოპერატიული მონაცემები თავდამსხმელთა შესახებ უკვე გაცაჩნია და იმედი გვაქვს, რომ არც ეს საქმე დარჩება გაუხსნელი", - ასე პასუხობს მოსახლეობის ბრალდებებს სამგერელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

24 საათი

# პოლიციისთვის ფსიქოლოგიურ პორტრეტს კითხვარები

პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს ამიერიდან კითხვარები დაურიგდება, რომელიც პოლიციელის ფსიქოლოგიური პორტრეტის დადგენაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ამ კითხვარების საშუალებით დადგინდება, აქვს თუ არა პოლიციელს ძალადობისკენ მიდრეკილება.



კითხვარები პოლიციელების ძალადობისკენ მიდრეკილებას დაადგენს.

წლის ოთხ თვეში შს ორგანოებიდან, სხვადასხვა კანონდარდვევის გამო, 62 თანამშრომელი დაეთხოვეთ, რომლებიც შს სისტემაში ველად დაბრუნდებიან. ამავე პერიოდში, დაკავებული თანამდებობებიდან 21 პოლიციელი გათავისუფლდა, ხოლო 86 მათგანზე მოკვლეული მასალა პროკურატურაში გადაიგზავნა. 2004 წლის 6 მაისიდან მარტო აჭარის რეგიონში პოლიციელების მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე სისხლის სამართლის 21 საქმე აღიძრა, ხოლო 7 პოლიციელს ადმინისტრაციული სახდელი დაედო" - ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ანგარიში.

რაც შეეხება გუმბინში ბათუმში

მომხდარ ინციდენტს, სამართალდაცველები ადამიანების ცემის გამო უკვე დასაჯეს. ბათუმის შს სამმართველოს ორი პოლიციელი - ჯემალ მახარაძე და ემზარ პაპიძე მოქალაქეთა ცემის გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

"ბათუმის შს სამმართველოში შესული შეტყობინების თანახმად, კახე-ბარ "ოაზისის" წინ ორი პირი, დანის მუკარბით, მოქალაქე დავით მახარაძის ავტომანქანის გატაცებას ცდილობდა. შემთხვევითად გავიღე გავიდა ოპერატიული ჯგუფი და დაპაშაულში ეჭვმიტანილი ორი პირი - ზაზა ტულუში და ლაშა ბერძენიშვილი დააკავეს. დაკავებულებს სახის არეში ძალადობის ნიშნები ეტყობოდათ. ეჭვმიტანილთა განმარტებ-

ით, ისინი სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა სცემეს. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ბათუმის პროკურატურას გადაეცა. ძიებაში ჩართულია აჭარის შსს გენინსპექცია. დაკავებულითა ცემაში ეჭვმიტანილი ორი პოლიციელი საქმის მოკვლეამდე თანამდებობებიდან ოპერატიულად გათავისუფლეთ," - აცხადებს ირაკლი კლდიაშვილი.

ერთი სიტყვით, "არც ერთი მოქალაქე და უღირსი პოლიციელი ჩვენს გვერდში" - ასეთია იმ რეფორმის მიზანი, რომლის განხორციელებაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო.

24 საათი

# გაერო-ს სამხედრო დამკვირვებალთა მისიის ახალი ხელშეკრულება მოლაპარაკებაში ჩაართო

აჭარის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ე.წ. თავისუფლების დაკარგვის გაათმაგებული შიში დაენყო, რაც მათი მხრიდან, ყველაფერთან ერთად, ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიის, უფრო ზუსტად კი, გალის რაიონის გაძლიერებულ დაცვაში გამოიხატება. გავრცელებული ინფორმაციით, ამისათვის საზღვრისპირა რაიონში აფხაზებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს. ეს კი ისედაც გაჭირვებულ ქართველ მოსახლეობას გაუსაძლის პირობებს უქმნის. მაგრამ, როგორც ჩანს, სამეული ჯერ კიდევ არ ჩანს. მით უმეტეს, ეს პრობლემა ქუბურხიზელის ოთხმხრივი შეხვედრებით რომ არ ამოიწურება, ფაქტია.

ადამიანებიც. ამის დასამტკიცებლად ქართულმა მხარემ შეხვედრაზე დამატებითი დამატკიცებული საბუთები წარმოადგინა.

გუმბინში ქუბურხიზში ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა კიდევ ერთხელ შედგა. შეხვედრას პირველად დაესწრო გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ახალი ხელმძღვანელი, ევგენი გენერალ-მაიორი პოსტინ ელ გობაში.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად დააყენა ბოლო დღეების განმავლობაში გალის რაიონში აფხაზური მხარის მიერ დამატებითი ძალების შეყვანის საკითხი, რაც გალის მოსახლეობას გარკვეულ სინდელს უქმნის. ქართული მხარის მტკიცებით, დამატებით ძალებში აფხაზების გვერდით არიან რუსი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების

ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, გუმბინშიდელ შეხვედრას დაესწრო, აგრეთვე, გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში როზა ოტუმბაევა, რომელიც ქართული მხარის მოთხოვნით იქნა შეხვედრაზე მიწვეული.

ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი იყო. მხარეებმა, გარდა დამატებითი ძალების, კონფლიქტის ზონაში არსებულ მძიმე კრიზისოვანულ სიტუაციაზეც ისაუბრეს, მაგრამ საბოლოოდ კონკრეტულ შეთანხმებამდე მინც ვერ მივიდნენ და, შესაბამისად, პრობლემის მოგვარებაც მომავალი ტრადიციული შეხვედრისთვის გადაიდო. სხვათა შორის, გუმბინშიდელ შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია არც გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ახალ ხელმძღვანელს დაუფიქსირებია.

24 საათი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთში პატიმართა მასობრივი გაქცევის მცდელობა აღიკვეთა. გუმბინში ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს დონდის საგამოძიებო იზოლატორიდან ორი პატიმარი - გენადი ჭაჩია და გურამ არგუნი გაიქცნენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ინფორმაციით, ზეინიასა და არგუნს თავისუფლების შლით აცვეთა ჰქონდათ მიღწეა. იმავე წაფრის მტკიცებით, ზეინიასა და არგუნის გარდა, გაქცევას პატიმართა დიდ ჯგუფს ეგებადა, მაგრამ იზოლატორის თანამშრომელთა ძალისხმევით, მასობრივი გაქცევის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანულას დასახლებაში, საზეიმოდ გაიხსნა პოლიციის ახალი ქვეყანაფილია. ღონისძიებას ესწრებოდნენ შს მინისტრი გიორგი ბარამიძე, თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი ლევან მაისურაძე, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე, რაიონის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი საზოგადოებრივი. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** 27 მაისს, დაუდგენელმა პირებმა მოსკოვში, ნიკოლოზს ქუჩის №15-დან რუსეთში საქართველოს საელჩოს მიერ მდივნის გელა გენციაძის ავტომანქანა "ფოლკსვაგენ-პასატ" გაიტაცეს. ავტომანქანას მოსკოვში სამართალდამცველები ეძებენ. ავტომანქანის გატაცების გამო მატერიალურმა ზარალიმ 600 ათასი რუბლი შეადგინა. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** თბილისში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფის ლიდერი, ნალეჯიხიელი, ადრე ნა-სამართლევი, 28 წლის მიქაელ პოლიციელებმა იპოვეს. თბილისის სასამართლოს ინფორმაციით, 25 მაისს, გამთენიისას, 15 საათზე ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფი, მათ შორის - დაკავებული, თავს დაესხა თბილისში, მიცვექირის ქუჩაზე მცხოვრები მარინა და-ს ოჯახს, საიდანაც ოქროს ნივთები და 41 ათასი აშშ დოლარი გაიტაცა.

გამოძიება მიქაელს თანამშრომელების დადგენა-დაკავებაზე მუშაობს. **მედია-ნუსი**







ნომრის სტაჟარი

# ტოქსინაზის სავდინი ისტორია საქართველოში

რადგანაც პოლიტიკური გარემოს დასუფთავებას მოვკიდეთ ხელი, ურიგო არ იქნებოდა, ბუნებრივიც დაგვესუფთავებინა. თუკი პოლიტსანიტარიში აგერ უკვე 6 თვეა, მაღალ შეფასებებს ვიმსახურებთ, გარემოს დასუფთავებაში ოროსნები ვყოფილვართ. კლაუს კირკო გაეროს კონსულტანტია. მისი რეკომენდაციებით დაიწერება საქართველოს სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული გეგმა, რომელსაც საქართველოს მთავრობას წარუდგენენ. ეს კონვენცია არეგულირებს მდგრადი ორგანული ნაერთების მართვას, გაუფრებელყოფას და ზოგ შემთხვევაში, განადგურებასაც კი. კლაუს კირკო ამ ჩამოსვლაზე მეცადინეობებს ქართველ გარემოსდამცველებს, ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლებს უტარებს. როგორც აღმოჩნდა, გარემოს დაცვის სამინისტროს არსებობის ამდენი წლის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ ვიცით სად, რითი და რამდენად დაბინძურებული რეგიონები გვაქვს; რისი უნდა გვეზინოდეს, რომელ საძოვრებზე არ უნდა ძოვდეს საქონელი და რომელ მინდორში არ უნდა დარბოდეს ბავშვი. ანუ, მავნებლობებისა და შხამების ინვენტარიზაცია საქართველოში ჯერ არავის ჩაუტარებია. ჰოდა, მისტერ კირკო გაეროდან აცხადებს, რომ ქართველებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის სუსტი კულტურა, ანუ უკულტურობა გვჭირს. ეს რომ რომელიმე გულანტიულმა "ლეიბორისტმა" იცოდეს, უცბად გამოცხვებოდა პრესკონფერენცია თემაზე: "როგორ, ჩვენ, "გველის მჭამელის" მქონე ერს, ბუნებასთან ურთიერთობებს გვასწავლიან?"... მაგრამ, ეს ასეა და ამას გაერო არ სჭირდება. საქარისია, ჩვენს ქუჩებს, სოფლებს, ქალაქებს, სადარბაზოებსა და აგარაკებთან მოწყობილ ბუნებრივ ნაგავსაყრელებს შევხედოთ, მივხედებით, დიდი მწერლის შემდეგ ბუნების დაცვაზე აღარავის უზრუნია. გთავაზობთ კლაუს კირკოსთან შეხვედრის ცოტა მოსაწყენ, მაგრამ, ალბათ, სასარგებლო საუბარს.



კლაუს კირკო.

## მაია ქალაბანიძე

- ჩვენ ჩავატარეთ სწავლება, თუ როგორ უნდა მოხდეს მზარდი ორგანული დამბინძურებლების ინვენტარიზაცია და როგორია პრობლემის გადაჭრისადმი ჩვენი მიდგომა. როდესაც არსებული მდგომარეობა გვეცოდინება, შევძლებთ პრიორიტეტების და იმ გზების დასახვას, რაც საქართველოში ამ პრობლემის გადაჭრისთვის არის საჭირო.

- რა ინფორმაცია გქონდათ საქართველოში ეკოლოგიური კულტურის დონის შესახებ?

- ეს საქართველოში ჩემი მესამე ვიზიტი და ვიცოდი, რა რესურსები გააჩნია ამ ქვეყანას პრობლემების გადასაჭრელად.

- კონკრეტულად?

- სიტუაცია საკმაოდ სევდიანია. ხალხმა მხოლოდ ჭირის დონეზე იცის, რა საშიშროებები არსებობს და როგორ უნდა აიცილონ თავიდან ეს საშიშროებები. ხალხი უფრო ჭირებს ენდობა და არ ცდილობს საიმედო მონაცემების მოპოვებასა და მათ შესაბამისად მოქცევის. ვფიქრობ, ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებსა და დანებულიულებებს შორის საკმაოდ სუსტი თანამშრომლობა და კოორდინაციაა.

- როგორ ახსნით ამ ინტერესის ნაკლებობას?

- ზუსტად არ ვიცი. არა მგონია, ეს ინტერესების არარსებობის ბრალი იყოს. ეს უფრო ტრადიციების არქონაა. მაგალითად, თუ სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგში მუშაობს, მხოლოდ სასოფლო

სამეურნეო საკითხებს ითვალისწინებს და მხედველობაში არ იღებს იმას, რომ მის საქმიანობას შეიძლება, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე ცუდი გავლენა ჰქონდეს. მაშინაც კი, თუ იციან, რომ არსებობს საკითხები, რომელმაც სხვა პრობლემები შეიძლება წარმოშვას, ამ საკითხების გადაწყვეტაში კომპეტენტურ სამსახურებს არ რევენ და თავად ცდილობენ პრობლემის მოგვარებას.

- რა კეთდება გარემოსდაცვითი და ეკოპრობლემების პოპულარიზაციისთვის?

- ჩვენი სამსაათიანი შეხვედრა გარემოს დაცვის სამინისტროში სწორედ იმას ეძღვნებოდა, რომ სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებთან მიმართებაში რამენაირად განვევითარებინა სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის მუშაობა და კოორდინაცია.

რაც შეეხება ხალხის ცნობიერების ამაღლებას - ამ მიმართებით საკმაოდ შეზღუდული ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ მაინც დავიწერავთ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, რომელმაც უკვე ჩამოაყალიბა იდეები, თუ როგორ უნდა მოხდეს საკითხის პოპულარიზაცია და ხალხის ცნობიერებაში მისი გათავისება. ამ საკითხებმა საკოორდინაციო კომიტეტის დიდი დაინტერესება გამოიწვია. განვავითარებთ სტრატეგიას და მის შესრულებას შევუდგებით. მგონია, რომ ჩვენი პროექტის შესრულება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ პროექტის დასრულების შემდეგაც დიდი საშუაობა ჩასატარებელი.

- სად არის გარემოს დაბინძურების განსაკუთრებული საფრთხე?

- ამ პროექტში განვიხილავთ ქიმიური ნივთიერების სპეციფიკურ ჯგუფს, რომელსაც მდგრადი ორგანული დამბინძურებლები ჰქვია. ეს ცხრა პესტიციდი არ არის მწვავედ ტოქსიკური, მათ ბიოაკუმულაციის თვისება გააჩნია და მათი მავნე გავლენა უფრო გვიან ვლინდება. ინვესტიკიბოს და განვითარების შეფერხებას, განსაკუთრებით, ბავშვებში.

- ეს გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, რომელთანაც ყოველ ჩვენგანს ყოველდღიური შეხება აქვს?

- სასუქი იმისთვის გამოიყენება, რომ მცენარეებმა საკმარისი საკვები მიიღონ და განვითარდნენ. პესტიციდები კი მწერებისა და იმ მცენარეების წინააღმდეგ მუშაობს, რომლებიც მცენარეთა განვითარებას უშლის ხელს.

სასუქები აბსოლუტურად სხვა კუთხით ახდენენ ზეგავლენას. რადგან ამ თემას შეეხეთ, ვიტყვი, რომ როდესაც ამ სასუქებს საჭიროზე ზედმეტი რაოდენობით ვიყენებთ, ისინი არა მხოლოდ მცენარეების ზრდას იწვევს, არამედ მათი ჰაერში გაბნევა ზოგადად გარემოს აზიანებს. ხელს უშლის საჭირო პოპულაციების ზრდას. მაგალითად, თუ ტბაში მოხვდა, შეიძლება წყალმცენარეები ისე გაიზარდოს, რომ ტბა დამრეს. მათ არა აქვთ პირდაპირი გავლენა ჯანმრთელობაზე, მაგრამ ბუნებრივი ცხოვრების პოპულაციების არეალს კი აზიანებს.

- სხვა, ჩვენი ტიპის ქვეყნებში თუ გიმუშავიათ და რა საერთო ეკოლოგიურ სურათში?

- ამგვარი პროექტები სლოვაკიაში, ლიტვასა და ლატვიაშიც განმხორციელებია. საერთო ის არის, რომ ყველგან მავნე ნივთიერებების ერთი და იგივე რაოდენობაა, რადგანაც ერთი და იგივე ქვეყნის ნაწილები იყვნენ. ძველ საწყობებშიც პესტიციდების ერთნაირი ნარჩენებია.

- ამ პრობლემის გადაჭრის სახელმწიფო მიდგომები განსხვავდება?

- მიდგომა, გარკვეულწილად, ერთი და იგივე შეიძლება იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, რესურსები განსხვავდება. გარემოს მონიტორინგის, წყლის ნიადაგისა და გარემოს დაბინძურების გამოკვლევის რესურსებით თქვენ ვერც კი მოუახლოვდებით ლატვიასა და ლიტვას. იქ ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია, ხორციელდება, აქ ეს არც კი დაწყებულია.

- როგორია ქართველ გარემოს დამცველთა მომზადების დონე?

- განზოგადებისთვის საჭირო ინფორმაციას არ ვფლობ. სათანადო პროფესიული დონის გამოცდილი გარემოსდამცველებიც შემხვედრია, მაგრამ ყველას არ ვიცნობ, სულ რამდენიმე ადამიანი მინახავს და სტატისტიკისთვის ჩემი მოსაზრებები არ გამოდგება.

- ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს დასუფთავების პროცესი მიმდინარეობს. ასეთ დროს რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დასუფთავებაზე ზრუნვა?

- შემოიღია, რეკომენდაცია გაგინოთ - პირველ რიგში, ინსტიტუციონალური წმენდა უნდა ჩა-

ტარდეს. ყოველ სექტორში უნდა ჩაეძიოთ დაწესებულების დანიშნულებას და რაც შეიძლება, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოთ ფუნქციების გადაფარვა, პარალელურად, ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო სისტემაში, ზოგიც - კერძო სტრუქტურაში, რომ არიან პასუხისმგებელი ისეთ სამუშაოებზე, რომელიც ერთმანეთში იკვეთება და ერთმანეთის პარალელურ საქმიანობას ეწევიან. სხვადასხვა ორგანოებს შორის ამგვარი გადანაწილება იმას ნიშნავს, რომ რეალურად საქმე არ კეთდება.

- ბევრი უცხოელი აღნიშნავს, რომ ჩვენს პროდუქტებს განსაკუთრებული გემო აქვს. გარდა იმისა, რომ საკვების მომზადრებული ხართ, მისი შეფასება, ერთგვარად, თქვენი პროფესიაც არის. რას იტყვიან?

- მართალს ამბობენ უცხოელები. ალბათ, თქვენ იგივე ტექნოლოგიები გაქვთ, რომელსაც ჩვენ დიდი ხნის წინ ვიყენებდით. მაგალითად, თქვენი პამიდორო, ბავშვობაში რომ ვჭამდი, იმას მაგონებს, რადგან ჯიშების გამოყვანის რაღაც განსხვავებული ტექნოლოგიები გამოიყენება. ვფიქრობ, ყველაფერი იმით არის განპირობებული, რომ ბაზართან უფრო ახლოს ხართ, ანუ - მოკრეფიდან მომზადრებლამდე ნაკლები მანძილია. ჩვენთან პროდუქტმა ჯაჭვის ბევრი რგოლი უნდა გაიაროს, ვიდრე მომზადრებლამდე მივა. რა თქმა უნდა, პროდუქტი აქ გაცილებით

ეს ცხრა პესტიციდი არ არის მწვავედ ტოქსიკური, მათი მავნე გავლენა უფრო გვიან ვლინდება. ინვესტიკიბოს და განვითარების შეფერხებას, განსაკუთრებით, ბავშვებში.

პირველ რიგში. ინსტიტუციონალური წმენდა უნდა ჩატარდეს. ყოველ სექტორში უნდა ჩაეძიოთ დაწესებულების დანიშნულებას და რაც შეიძლება, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოთ ფუნქციების პარალელურად.

პროდუქტი აქ გაცილებით გემრიელია. ვიდრე ჩვენთან. მაგრამ აქ არავინ ამოწმებს პესტიციდების რა ნარჩენებია ამ პროდუქტებში.

პროდუქტი აქ გაცილებით გემრიელია. ვიდრე ჩვენთან. მაგრამ აქ არავინ ამოწმებს პესტიციდების რა ნარჩენებია ამ პროდუქტებში.

გემრიელია, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ ამ შემთხვევაში, რომ აქ არავინ ამოწმებს პესტიციდების რა ნარჩენებია ამ პროდუქტებში.

- ჩვენი მომზადრებული პროდუქტები, რომ მათ ბავშვობაში უფრო გემრიელი საკვები იყო.

- როგორც ჩანს, ბავშვობა ზოგადად ყველგან ბედნიერია.

- თემას დავუბრუნდეთ. განსაკუთრებით, რითი გმუშავებთ პესტიციდების ადამიანის ჯანმრთელობას?

- ახლა სწორედ ამის გამო ძიება მიმდინარეობს. მაგრამ, ყველაზე პრობლემატური მაინც არაკონტროლირებადი მარაგები და ამ პესტიციდების სანყობებია. თქვენს ელექტროაღჭურვილობაში (მხედველობაში მაქვს ტრანსფორმატორები და კონდენსატორები) ბევრი პოლიკლორირებული ბიფენილია, რომელიც დიდ რისკს შეიცავს და განსაკუთრებით იმ პერსონალისთვის, რომელიც ამ აღჭურვილობასთან მუშაობს. განსაკუთრებით საშიშია, როდესაც ჟონავს და ამ ნარჩენების განადგურება არასწორი გზით ხდება.

- რომელია საქართველოში დიდი რისკის ზონები?

- ჯერ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არ ვიცით. შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ადგილებზე, სადაც ინდუსტრიული აქტივობა დიდი იყო.

- იმედი გაქვთ, რომ შემდეგ ჩამოსვლაზე უკეთესი სურათი დაგხვდებათ? ეს რესურსი არის?

- რა თქმა უნდა, ამის იმედი მაქვს და საზოგადოებაც ამიერიდან სხვაგვარად იქნება ინფორმირებული.

თქვენთვის 24 საათი ინგლისურად.  
English newspaper 24 Hours, coming out from February

გაზრდით.  
on subscription basis

e-mail: public@24hours.ge  
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

Criminal and the  
to Rem and the  
ive Co

World  
structure and the  
Student

Georgia  
reforma

Extrem  
Uses remain

24

საქართველო





### კონცერტები

კონსერვატორიის დიდი დარბაზი საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი ელიზავეტა ლეონსკაია (ავსტრია) დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
**ჯუზეპე ვერდი**
**“რიგოლეტო”**
ლირიკორი: ზ. კალმახელიძე

**თეატრალური სარდაფი**
**ჟან-ჟაკ ბრიკერი**
**“ინსტიქტი”**
რეჟისორი: ოთარ ევაძე
დას: 20:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
**“ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”**
რეჟისორი: დავით ანდლულაძე
დას: 13:00; 15:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
თეოდორ დოსტოევსკი
**“თვინიერი”**
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
**“დღე ხეალის შემდეგ”**
დას: 12:00; 17:30; 19:30 სთ.

**“ჩემი ძმა დრუწა”**
დას: 14:15; 16:00 სთ.

**ამირანი**
**“ტროა”**
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

### ბალერაები

**TMS**
ლევან ლალიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 18 საათზე

გუგა კოტეტიშვილის სალონის გახსნა 15 საათზე

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
**“ნატურმორტი ქართულ ხელოვნებაში”**

**“ორიგინი”**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**“ქარვასლა”**
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეიძლიათ მოგაწყოდით ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

#### 6 ივნისი

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “რუსული კლუბი” წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - “Превращения в Люкоморье”
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

### „მიუზიკ ჰოლის“ სტუმარი



ამალამ “აჭარა მიუზიქ ჰოლის” სტუმარი ფრანგული ელექტრონული მუსიკის ვარსკვლავი - ფაგა მონტეკო იქნება. ფრანგი დი-ჯეის შექმნილი შირლი ბეისის, მობოს, Cerrone-სა და და Depeche-Mode-ის რემიქსები საცეკვაო მუსიკის კლასიკად ითვლება. ამას გარდა, ფაფას Radio FG-ს მოუ უკვე ორი წელიწადია გადის ეთერში და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რადიოგადაცემად ითვლება ევროპაში. ფაგა დაიბადა 1968 წლის მაის-სში, საფრანგეთის ქალაქ ლიონში. 2000 წლამდე იგი ცხოვრობდა მარ-სელში, ხოლო შემდეგ გადავიდა პარიზში, სადაც ამჟამად მოღვაწეობს. 2000 წელს მონტეკომ გამოუ-

## რიტო გვრიტო



"რიტო გვრიტო" - ქართულ-რუსული ფენომენი.

და, რასაკვირველია, კულტურული კლი-ტა მასპინძლობდა. ყურადღების ცენტრ-ში რუსეთის ეკონომიკის და განვითა-რების მინისტრი გერმან გრეფი და მისი მომხიბველელი მეუღლე იყვნენ. კონცერ-ტის დაწყებამდე კი ტელეკამერების ჯა-რი ერთი წუთით არ სცოლდებოდა და-რ-ბაზში ერთად მოზრძნებულ გაი ყანე-

ლსა და ზურაბ წერეთელს. მაცსტრო, როგორც ყოველთვის, ჟურნალისტთა შეკითხვებს დუმლით პასუხობდა, მო-ქანდაკე კი თავის ქართულ “ბიზნეს გეგ-მებს”, პირველ რიგში, ფიროსმანისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებსა დათმარებად სთავაზობდა. მან ძა-თარი მონუმენტური მემორიალის “საქა-

## ლიტერატურული კონკურსი დამარცხებულიაზის ბარეზი

PEN მარათონი-2004 გონიოში გაიმართება



სტანო ლულოვსკი, ბუმი

თავისთავად მოქმედებს ლიტერატურ-ის ხარისხზე. ასეთი ადამიანები მსგავს-მუზღუდეებს ვერ ეგუებიან და შესაბა-მისად, არც კონკურსში მონაწილეობ-ენ. თუმცა, ისეთებიც ბევრია, ვისთვის-აც მსგავსი მართაობები საინტერესოა - თუნდაც საკუთარი შემოქმედებითი ძალების შეფასების თვალსაზრისით. მათ იცინა, რომ 24 საათში ხარისხიან ლიტერატურას ვერ შექმნიან, თუმცა, იზიდავთ თავად პროცესი.

ეს ყველაფერი ცხადია ორგანიზა-ტორთათვისაც. ისინი აღიარებენ, რომ სხვა ლიტერატურული კონკურსების-გან განსხვავებით, “PEN მართონი” არ აფასებს ლიტერატურულ პროცეს-ებს, იგი თავად ქმნის მათ, რამდენად იმოქმედებს მართაონზე შექმნილი ნა-წარმოებები ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე, დრო გვიჩვენებს. ზო-რისთვის ეს ლიტერატურა კარგია, ზო-რისთვის ნაკლებად კარგი, ზოგისთვის - უხარისხო, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მართაონი არსებობს, იხვეწება და “წერას ატანდა” ადამიან-ებს თვითრეალულების საშუალებას აძ-ლევს. რაც უფრო მეტი იქნება მსგავსი

კონკურსები, მით უკეთესი - კონკურე-ნცია ისევ და ისევ ქართულ ლიტერა-ტურას წაადგება. ახლა კი მათთვის, ვისაც არ ეძინა შეჯიბრის და სურს თავისი მწერლური შესაძლებლობები ექსტრემალურ პირობებში მოსინჯოს - კონკურსის პირობები:

მართაონში მონაწილეობა ნებისმი-ერი ასაკის მსურველს შეუძლია. პირე-ვი ეტაპზე (29 მაისიდან 7 ივნისამდე) კონკურსანტები წარმოადგენენ საკუთ-არ გამოუქვეყნებელ პროზაულ ნაწარ-მოებს ან ნაწარმოების ფრაგმენტს (5 გვერდამდე) ნაბეჭდი სახით. შედარე-ბით რთულია მეორე საფეხური, როდეს-აც შვიდაციათი ჟიური არჩევს მარა-თონის მონაწილეებს (მაქსიმუმ 23 კა-ცი). ამის შემდეგ უკვე იწყება ძირითა-დ, ანუ საშუაო ეტაპი - 24 საათის გა-წმავლობაში შემოთავაზებულ თემაზე, რომელიც უშუალოდ მართაონის და-წყების წინ სახელდება, მონაწილეები ქმნიან ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მართაონის ძირითად ეტაპზე სპეცია-ლური მონვევით მონაწილეობენ გასუ-ლი წლის I, II და III პრემიის ლაურეატე-ბი. და საბოლოო ეტაპი, როდესაც ჟიუ-

## თორგატი წლის ზემდაბ

მოგზაურობა ყარაბაღში



სტანო ლულოვსკი, ბუმი

აკა მორჩილაძე თავისი პირველი რომანის პრეზენტაციაზე.

საერთო: ცუდი დრო; ის, რომ მაშინ ცი-ოდა, ბნელიდა, ქალაქი შუმისა და ნავ-თის სუნით იყო გაფლნითლი, და რომ “მოგზაურობა ყარაბაღში” წამდელი დღესასწაული იყო, ახალი ლიტერატურ-ის დაბადების ნიშანი. ალბათ, სწორ-ედ ამიტომაც გადაწყვიტა ბაკურ სუ-ლაკაურმა ამ რომანის მეორედ გამო-ცემა, მით უმეტეს, რომ თავად ნიგინ-ცოტასლა შერჩა. ასე, ჩემი ეგზემპლარი იმდენხანს გადადიოდა ხელიდან ხელ-ში, რომ საბოლოოდ უკველა გაქრა, და ვისაც კი ვთხოვე, ყველამ ასეთივე სევდიანი აზმები მიამბო. ამის დონზე ავტორის მონაყოლი, რომ მაშინ “იმდე-ლი დაიბეჭდა, რომ კიდევ ერთი წლის მეგრე, მთელ შეკვრებს პირდაპირ ვყრი-დ ფანჯრიდან ნავგის მანქანაზე: იმი-ტომ, რომ არ ვიცოდი, ამდენი სად უნდა წაგვეღო”, გულდასაწყვეტი იყო.

როველოს მატანეს” დასრულებას უკა-ვმირებდა.

რუს სტუმრებს ოპერის თეატრში კომპანია “არტ იმედის” ცნობილი მუ-სიკალური პროექტი - “ყველას რაიმე აქვს სასოვარი” - შესთავაზეს. შეუძ-ლებელია, ჟანრობრივად ასე მრავლის-მომცველი იყოს ერთი მომდრელისათ-ვის (ანუ ნატო მეტონიძისათვის) დად-გმული შოუ. მაგრამ, როცა ეს მომღე-რალი მხოლოდ გაი ყანწელის კინოსა და თეატრის მუსიკას ასრულებდა, ნიკა მემანიშვილის ინტერპრეტაციებში მა-შინ სიურპრიზებისთვისაც უნდა მოემ-ზადო, იმიტომ, რომ შევიძლია, კიდევ ერთხელ ცოცხლად მოუსმინო რამაზ ჩიკვაძისეული ზნდაკის ცნობილ პარ-ტიას, ჟანრი ლოლამეილის “კავკასიუ-რის” მელოდებს; ნატო მეტონიძის ვოკალის ფონზე კი, დიდ ეკრანზე გაი-ელვოს კადრებმა ფილმებიდან - “რო-ცა აყვავდა ნუში”; “რამდენიმე ინტერ-ვიუ პირად საკითხებზე”; “მიზიწო”; “ცისფერი მთები”... თანაც თვალს ვერ მოაშორებ ორიგინალურ ქორეოგრა-ფიას, სცენოგრაფიასა და საინტერესო კოსტუმებს.

ერთი სიტყვით, კონცერტის დას-რულების შემდეგ სურვილი გჩნდება, რომ ამ პროექტისათვის კომპანია “არტ იმედს” მთელი მისი შოუები საკუ-ვარსკვლავური არტ-ცოდვები აბატო.

რი დახურული წესით არჩევს გამარჯ-ვებულებს.

წელსაც, ისევე, როგორც გასულ წლებში, გამოვლინდება სამი მთავარი პრემიის ლაურეატი. I პრემია - 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი - “ჯორჯია ონ-ლიონმა” დააწესა,

II - 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი - ფოთის პორტმა, III - 400 აშშ დოლარ-ის ეკვივალენტი - კომპანიამ “წენელ ენერჯი”. გარდა ამისა, გამარჯვებულს I პრემიასთან ერთად გადაეცემა გამომ-ცემლობა “დიოგნეს” მიერ დაწესებუ-ლი სპეციალური პრიზი “ვერცხლის დი-ოგენე”.

კონკურსის ორგანიზატორები წელს სიახლეს გთავაზობენ - პირვე-ლად საქართველოში ინტერნეტკითხ-ველებს საშუალება მიეცემათ შეაფას-ონ საკონკურსო ნამუშევრები და გამა-რჯვებული გამოავლინონ. მათ მიერ შეირჩეული ნაწარმოების ავტორი და-სარწმუნდება ღვინო “შველი თბილის-ის” სპეციალური პრიზით - პერსონა-ლური კომპიუტერთი. სამომავლოდ და-გაგეგმილია კონკურსის არეალის გა-ფართოება და უცხოეთში გატანა. რა ფორმით - ჯერჯერობით ორგანიზა-ტორები არ ამხელენ.

გამარჯვებულთა დაჯილდოება და 10 საუკეთესო საკონკურსო ნაწარმოე-ბისგან შემდგარი კრებულის პრეზენ-ტაცია 9 იულისს, ისევე როგორც შარშ-ან, “საქართველოს ბანკის” ისტორიულ დარბაზში გაიმართება (“საქართველოს ბანკი” მართაონის გენერალური სპონ-სორია).

**P.S.** პრესკონფერენციის შემდეგ გამართულ ფორუმზე მომავალი კონ-კურსის შესახებ ადგილმდებარეობა-ზე ვესვლეობდით. შესაძლო ვარიანტ-ებს შორის გამოცემვლმა თამარ ლეგა-ნიძემ აფხაზეთი დაასახელა - ისეთი ტექნიკით ვითარდება მოულოდნელ, გამო-რიცხული არაფერია. პირადად მე ამ პროკნოზში ცოტა ეჭვი მეპარება, თუმც-ა, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ თამ-არიკოს კერძა გაიმარჯვებს და მომე-ვალ წელს მართაონის მონაწილეები სო-რუმში შეიკრიბებიან.



# ახალი ძველი ევროპა

პოლონური შთაბეჭდილებები ნაწილი II

თამარ ბაბუაძე  
შთაბეჭდილებების  
აბდაუბდა გრძელდება

ექტიური სამოქალაქო საზოგადოება - ეს, შეიძლება ითქვას, ის ბილეთიცაა, რომელსაც ევროკავშირის ზღურბლზე მოქმედებულ ქვეყნებს სთხოვენ. პოლონეთს ეს ბილეთი აღმოაჩნდა. უცხო თვალის დაკვირვებითაც, მას ინტელექტუალური და აქტიური მოქალაქეები ნამდვილად ჰყავს. ამაზე წლების განმავლობაში მოქმედი ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემაც მეტყველებს (იგივე შუმანის ფონდი, ევროპული რეფორმის ცენტრი, Transparency International-ის პოლონური წარმომადგენლობა, პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდი). და ამაზე მეტყველებს ყოფითი სამოქალაქო კულტურაც - მაგალითად, აქ არავინ იტყვის ქართულ

ბისთვის სწორედ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების შექმნას გვთავაზობს. ამ გზაზე (საერთო საბჭოური წარსულის და რამდენიმე სხვა ისტორიული დამთხვევის მიუხედავად) პოლონეთი საქართველოზე ნინ რომ არის, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, ხელისუფლების კეთილი ნებაც არის, რომელიც თავიდანვე - ჯერ კიდევ 14-იოდე წლის წინ, გამოვლინდა. ქვეყნის პირველი არაკომუნისტი პრემიერი თავდუმ მაზოვეცკი ძალაუფლებაში მოსვლისთანავე ასე ფიქრობდა, რომ **“მწყობრ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკურ პარტიებზე არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არაპარტიულ ინსტიტუტებს, რომლებიც სახელმწიფოს საქმიანობაში დიდ როლს შეასრულებენ”**.

ახლა კი, თუ მაზოვეცკის სიტყვასა და საქმედტყუილ პოლონურ რეალობას შევადრნადის ყბა-

ტური პარტია ლიდერობს. უფრო ზუსტად კი, პარტიის ლიდერი, დაახლოებით ასეთი ლოზუნგებით: **“ეკონომიკური დანაშაულებების გამო უნდა შემოვიღოთ დამსჯელი მექანიზმები - ქვით ჩაქოლავ და სამუდამო პატიმრობა”**;

**“ველოფილიისთვის დამნაშავეებს კასტრირებას უნდა უყენებდნენ. თუ ეს დაავადება არ ინკურნება, მაშინ ყოველგვარი ნარკოზის გარეშე კასტრირება უნდა ჩავატაროთ, მერე კი ადამიანი სიკვდილით დავსაჯოთ”** (ყურნალ “ახალი პოლონეთის” პრესის მიმოხილვა, №4, 2004 წ.).

ამ ერთი პოპულისტი ლიდერის პოპულარობა კი მეტყველებს ერთზე: ხალხს იმდენად აქვს ნდობა დაკარგული სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ, რომ მზად არის ლეპერსაც გაჰყვას უკან - კაცს, რომელსაც არ აქვს სამოქმედო პროგრამა და რომლის პარტიის

უდარდელ ამერიკულ ნაციასთან შედარებით მუდამ უფრო დეპრესიული ევროპელების გავლენას). ასეთი გაბედული დასკვნების გაკეთებისთვის სიტუაციის ღრმა ცოდნაა საჭირო.

თუმცა, პოპულისტი პოლიტიკოსის საოცარი პოპულარობა და სამოქალაქო საზოგადოების უცნაური არჩევანი მაინც, უდავოდ, საგულისხმო მაგალითია საქართველოსთვისაც. ვანდა რაპაჩინსკის, ანჯი ვიელოვიეცკის, თავდუმ მაზოვეცკის და სხვათა მოხმენის შემდეგ ხომ კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, თუ რამდენად იდენტური შეიძლება იყოს ევროპისკენ მიმავალი გზა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის; და თუ როგორ დაგვეხმარება ჩვენ ახლახან ევროკავშირში შესული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება იგივე მანძილის წარმატებით დაძლევაში. ახუ იმ შედეგის მიღებაში, რომელიც, ისევე ვიელოვიეცკის ფორმულირებით, ასე იმიფრება: სახელმწიფო სისტემა, რომელშიც უპირობოდ იცავენ ადამიანის უფლებებს, სადაც ეფექტურად მუშაობს დემოკრატია და სადაც კანონების გამოცვლა ხშირ-ხშირად არ უწევთ.

მონაპოვარი - პრესა

ბოლო წლების განმავლობაში ამ ორი სიტყვის კომბინაციას ქართველები ისე ხშირად და ისე ალოგიკურ კონტექსტსა და რეალობაში ვისმენდით ხოლმე, რომ ჩვენთვის, თითქოს, ამ აზრმა არსებითი მნიშვნელობაც კი დაკარგა (მით უმეტეს, რომ თავისუფალი ქართული პრესა, როგორც არ უნდა იყოს ის, უფრო დროის მონაპოვარი მგონია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მმართველის ნების დამსახურება). ასეა თუ ისე, ყველაფერი შედარებითა და ვის, ვის, და პოლონეთს კი ნამდვილად შეუძლია, თავისი პრესით კმაყოფილი დარჩეს.

თუნდაც, გაზეთი “ვიბორჩა” და მისი ლეგენდარული რედაქტორი ადამ მიხნიკი გავისენით (მაზოვეცკის მსგავსად, მიხნიკიც პაერში ჟანგბადის ნაწილაკებითა ავრცელებს ისტორიულობის და ლეგენდარულობის განცდას. საკმარისია, შეხვედ, ხელი ჩამოართვა, ნახევარ საათს, თუნდაც ყველაზე ტრივიალურ საკითხზე მის მსჯელობას მოუხსნიო, რომ რწმუნდები - მიხნიკიც თავად ისტორიკია. ის არასდროს იკეთებს პალსტუსს, არც ერთ ოფიციალურ მიღებაზე არ იცვამს კოსტუმს, დადის ყოველდღიურ “ჟურნალისტურ” სამოსში და, ალბათ, ამითაც უსვამს ხაზს იმას, რომ არავის ექვემდებარება; რომ თავისუფალი პრესის წარმომადგენელია. კიდევ ერთი შტრიხი: ძალიან უყვარს საქართველო). “ვიბორჩა”, შეიძლება ითქვას, თავისუფალი პოლონეთის პარალელურად იშვა და უდიდესი როლი ითამაშა ძალაუფლების უსისხლოდ ცვლის პროცესში. ასე რომ, ამ გაზეთის განვითარების შესახებ ისტორიის მოსმენა ნამდვილად ღირს.

თუმცა, სენატორი პესეივი ბოლომდე არც იმ მოსაზრებას გაიზარებს ცალსახად, რომ პოლონეთი თავისი პრესით უნდა ამაყობდეს. ის აუცილებლად გამოიხსავს საინიალმდეგო არგუმენტებს. მაგალითად, გაიხსენებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი კონკრეტული გაზეთის რედაქტორი უძერიფასეს ავტობანქნას მართავს და ისეთი სიამაყით ჩნდება საზოგადოებაში, თითქოს, წმინდა ფრანცისკი იყოს. არა, იმას კი არ ვვულისხმობ, რომ წმინდა ფრანცისკი არ აქვს უფლება ძვირფას მანქანას ატარებდეს - განმარტავს პესეივი - საქმე საოქალაქო უპასუხისმგებლობაზეა. ის მუშაობს მატერიალური კეთილდღეობისთვის, ტირაფის გაზრდისთვის და, ამ დროს, გვარწმუნებს, რომ ყველაზე მეტი იცის ყველა სფეროში. ეს საშიში ითამაშა. ჩვენ უნდა შევძლოთ, ამ სათამაშოს დანიშნულებისამებრ გამოყენება. ამ სათამაშოში კი, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გაიღვივოს.

თუ არგუმენტი გეჭირდება, ასეთებიც არის და, სხვათა შორის, ამის შესახებ არა მხოლოდ რადიკალურად განწყობილი პესეივი საუბრობს. სკანდალები პოლონურ მედიაში საკმაოდ ხშირად ხდება. მათ შესახებ მოსაზრებებს ჩვენს მომდევნო ნერილში გავლენიანი მედია-პოლდინგის პრეზიდენტი ვანდა რაპაჩინსკი და ჟურნალისტთა პოლონური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ანჯი კრავესკი გამოითქვამენ. იქვე შევეცდებით, ზოგადად პოლონური პრესაც მიმოვიხილოთ და იმაშიც დაგვარწმუნოთ, რომ პოლონეთში მიგზაურობა ნამდვილად ღირს.



ახალი პოლონეთის გზა ევროპისკენ.

ფრახას, რომ “მანქანით უსაფრთხოების ქაშის გარეშე მგზავრობა “ხალხური ტრადიციაა” და რომ ამ “ეროვნულ თვისებას” გლობალიზაციის მომხრეები ვერაფრით აღმოფხვრიან!” აქ მოქალაქეები გამოირჩევიან არგუმენტირებული კრიტიკის და სიახლის იოლად მემეცნების უნარით. მაგალითად, იგივე Transparency International-ის პოლონელი წარმომადგენელი იულის პიტერა განგვიმარტავს: **მართალია, ხელი-სუფლებამ საზოგადოების ინფორმირება ევროკავშირში განვრცოების მთელ რიგ სიკეთეთთან დაკავშირებით წესიერად ვერ შეძლო, მაგრამ ეს უფუცია არასამთავრობოებმა აიღეს საკუთარ თავზე და ბოლოს აღმოჩნდა, რომ რიგითი ფერმერები ევროკავშირის ანკეტებს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესახებ, გაცილებით უკეთ და პროფესიონალურად ავსებდნენ, ვიდრე ჩინოვნიკები. ასე რომ, როცა აუხსნეს, პოლონელმა ფერმერებმაც კი შესანიშნავად გაიგეს, რომ ევროკავშირში განვრცოება პირადად მათთვისაც სასარგებლო მოვლენაა და იმ მექანიზმების თვისებაზე დაინყეს, რაც ამ “ევროსიკეთების” სათავისოდ გამოყენებაში დაეხმარება.**

თუმცა, ცხადია, ეს მემეცნებაზრდის პროცესი არ დასრულებულა. ისიც ცხადია, რომ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების თვალსაზრისით, პოლონეთში ყველაფერი კარგად ამ ეტაპზე ნამდვილად არ არის. მით უფრო, რომ ყველაფერი კარგად, ამ მხრივ, არც ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებშია. ევროპაში ინტეგრირების საპარლამენტო კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარის ანჯი ვიელოვიეცკის აზრით, მისაბამ მაგალითად, პოლონეთისთვისაც და მეტიც დანარჩენი ევროპისთვისაც სკანდინავიის ქვეყნები, განსაკუთრებით კი, დანია თუ გამოდგება მხოლოდ. იქ საზოგადოება სუპერაქტიურია. შესაბამისად, ყველა პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის პრობლემა შედარებით სწრაფად გვარდება.

ვიელოვიეცკის აზრით, სალონეთი ამ მხრივ მხოლოდ სანყის ეტაპზე იმყოფება და სასურველი შედეგის მისაღწევად 10-20 წელი მაინც დასჭირდება, რუსეთს - უფრო მეტი, საქართველოს - ალბათ, კიდევ უფრო მეტი, - ვარაუდობს ის, თუმცა, მზა რეცეპტად ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირე-

დალებულ მონაპოვრებსა და ქართულ რეალობას შევადარებთ, იოლად მივხვდებით, თუ სად უფრო ეფექტურად და მყისიერად იქცევა სიტყვა საქმედ.

ასე რომ, შევთანხმდეთ, პოლონეთში დანაპირები რეალობად გარდაიქმნა. “სიტყვა” იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ ის სიმულტანურად გახდა - “ქმედება”. თუმცა, ჩვენ ისიც მოვისმინეთ, რომ პრობლემები პოლონეთში მაინც უხვად არის. მაზოვეცკიც და ვიელოვიეცკიც გულწრფელად აღიარებენ, რომ დღეს მათ ქვეყანას აქტიური სამოქალაქო საზოგადოების თვალსაზრისით კვლავაც უჭირს. ამ მოსაზრებას ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მედია-პოლდინგის “აგორას” პრეზიდენტი ვანდა რაპაჩინსკიც უერთდება და საკუთარ მაგალითზე უფრო კონკრეტულად განმგვიმარტავს, თუ მაინც რაში გამოიხატება ეს პრობლემები:

**ჩვენს გაზეთს “ვიბორჩას” ტირაჟი მილიონზე მეტი აქვს და გაზეთების პირველ სამუშაოში შედის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლონელების უმრავლესობა სერიოზულ პრესას აქტიურად ეცნობა. პირქით, მე მოკითხვები ცხადყოფს, რომ გაზეთებს პოლონეთში მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი კითხულობს. ეს კი ძალზე დაბალი მაჩვენებელია და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მოქალაქეები პასიურობენ.**

აი, სწორედ აქ მივადექით წინა ნერილში ნახსენებ სენატორსა და სცენარისტს, პან პესეივს, რომელიც ემოციურად გვიმტკიცებდა, რომ პოლონეთში არა პოლიტიკური, არამედ კულტურული კრიზისია. მისი აზრით, პრობლემა ის კი არ არის, რომ მემარცხენე პოლიტიკური ძალები არ ამართლებენ, არამედ ის, რომ, უბრალოდ, მემარცხენე მემარცხენეები არც არსებობენ. ახუ, პოლიტიკური სცენა სწორად არ არის შედგენილი. მე მარცხენეები ლიბერალობენ, ლიბერალები მემარცხენეობენ, და არც ნამდვილი ქრისტიან-დემოკრატები ჩანან პორიზონტზე. ამის გამო არ ჩნდება მენტალური კავშირი პოლიტიკურ პარტიასთან ელექტორატი ამა თუ იმ პარტიას ირჩევს არა იდეის, არამედ შექმნილი გარემოს გამო.

სწორედ ამ სპეციფიკურ გარემოს აბრალებს პესეივი იმას, რომ ეროვნულ გამოკითხვებში გაურკვეველი მიმართულების პოპულის-

წევრებსაც არავინ იცნობს. ერთი სიტყვით, როგორც ვანდა რაპაჩინსკი განმარტავს: **“არაეფექტური პოლიტიკური მმართველობის გამო შეიქმნა ვაკუუმი და რადგანაც ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, გამოთავისუფლებული წიმა საზოგადოების შემეცნებაში ისეთმა ეგზოტიკურმა ელემენტმა შეავსო, როგორც ლეპორია”**.

ვიელოვიეცკი კი ამ საკითხს უფრო უღრმავდება და მიზეზებს იმ უარყოფითი მხარეების გამო, რომელიც პოლონურ საზოგადოებას დღემდე ვერ მოუშორებია, მეორე მსოფლიო ომში ეძებს. **“ჩვენ ამ წლებს დიდი ხარკი გადავუხადეთ”, - ამბობს ის, - “ჩვენ ამ წლებს წილ გაღარიბებული საზოგადოება მოვიმკეთ. იმამდე ხომ პოლონეთში გაცილებით უფრო ცოცხალი ტენდენციები და იდეები ფიქსირდებოდა. მაგალითად, იმამდე პატარა პოლონურ ქალაქებში გაცილებით უფრო მეტი სპორტული და კულტურული კლუბი იყო გახსნილი, ვიდრე დღესა. თუმცა, იმაში, რომ პოლონურმა საზოგადოებამ აქტიურობის რაღაც ხარისხი შეინარჩუნა და შემდეგ გააღვივა კიდევ ის, ძალიან დიდი როლი ითამაშა რწმენამ და კათოლიციზმმა”**.

ვიელოვიეცკი კიდევ ერთ, ძალზე საინტერესო აზრს გამოთქვამს. **“სულ უფრო ფართოვდება ადამიანების ფიქრისა და მოთხოვნის დიაპაზონი, ხოლო მოქალაქეების სურვილები და მთავრობის შესაძლებლობები სულ უფრო აღარ თავსება ერთმანეთს. ხელისუფლება ვერ ახერხებს მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამას პოლიტიკური პარტიის კრიზისამდე მივყავართ. თუმცა, ეს მხოლოდ პოლონური პრეტენდენტი არ არის. მეტნაკლებად ასეა ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც. ამ მხრივ, ასე თუ ისე, სამაგალითო სკანდინავიის ქვეყნები და ინგლისია”**.

ერთი სიტყვით, პოლონეთში ანმყოფე ფიქრობენ, წარსულს აახლოებენ, მომავალს ჭკრეტენ. ჩვენ კი, ქართული გადასახედიან, ზემოთ განხილულ პოლონურ ტენდენციას ხელალებით ვერც კულტურულ კრიზისს ვუწოდებთ და ვერც პოლიტიკურს. მას ვერც მხოლოდ საბჭოთა ნენხის ქვემცხოვრებას დავაბრალებთ და ვერც მხოლოდ საერთო ევროპულ გავლენას (“ჰიპერბედნიერ” და

| ათეალები                             |                                              |                                |          |
|--------------------------------------|----------------------------------------------|--------------------------------|----------|
| მალაზია “პარანის” კვირის პასტაწელები |                                              |                                |          |
| ავტორი                               | წგნი                                         | გამომცემლობა                   | რეიტინგი |
| ფაო გუდუ                             | “გაბრუნდი ქეჩნას”                            | პაატა წაელოწილის გამომცემლობა  | 6        |
| პაოლო კიდელო                         | “ვერნიამ სიველი გადარევიკა”                  | “ზაკურ სილაკურის გამომცემლობა” | 2.8      |
| ირაკლი შაპარაძე                      | “კრახელ ამერკაში უეწიბ კურული მწერის დღიური” | “საწი”                         | 2.8      |
| რეი გიმანი                           | “შე მწიბდა ცხოვლების ხატეა”                  | “გია ქარწიას გამომცემლობა”     | 2.4      |
| პაოლო კიდელო                         | “როი პედრის წაბორე ჩამოეყვი და ეგეროდა”      | “ზაკურ სილაკურის გამომცემლობა” | 2.4      |
| ქაბუა ამირეჯიბი                      | “ღვთა თუთაშია”                               |                                | 2.4      |
| აკა შორილაძე                         | “სიკ საწარმა ქარაბლში”                       | “ზაკურ სილაკურის გამომცემლობა” | 2        |
| გორგი კილაძე                         | “ოღოშის საეგისკობისეტი”                      | “არტანუჯი”                     | 2        |
| საღვთიორ დილი                        | “იღვწილი ცხოვრება საღვთიორ დილისა”           | “საწარი”                       | 2        |
| მესო ხვედელი                         | “ღმირ სვეტის დეა”                            | “საწარი”                       | 2        |



| კვირის ყაბაზა შემოსავლიანი ფილმების ათეული აზერიკული კინოთატარების მონაცემებით |                    |                                                               |                       |                      |
|--------------------------------------------------------------------------------|--------------------|---------------------------------------------------------------|-----------------------|----------------------|
| ფილმი                                                                          | რეჟისორი           | მსახიობი                                                      | უყვრდის შემოსავალი \$ | საერთო შემოსავალი \$ |
| “მერკა-2”                                                                      |                    |                                                               | 100,037,878           | 128,983,960          |
| “ტრაი”                                                                         | უილფრედი პატერსონი | მრეა მარტი, ვრეი ბაბი, ოლდელი ბლუმი, ვიასი კრევერი            | 23,925,330            | 85,960,779           |
| “გან პელსანტი”                                                                 | სტივენ სოშერსი     | პაუ ჯეკმანი, კრატ მერსილი                                     | 10,361,650            | 100,025,335          |
| “მოსტი გოგონები”                                                               | მარკ ს. უოტკინი    | დონდა დიკსი, ტრეი ფი                                          | 6,907,627             | 64,706,896           |
| “მფარველი”                                                                     | ტონი ჯატი          | დენალ დიკსი, ვიასი კრევერი, კრატ მერსილი, უიკინი, მარკ რევერი | 7,680,522             | 67,461,524           |
| “დიარედი სიბა წესი”                                                            | დენალ ტაბლი        | დენალ ფილმ, ვიასი კრევერი, კრატ მერსილი                       | 2,865,368             | 9,053,991            |
| “13-დან 30 წლამდე”                                                             | ვერნი უიკინი       | ჯეკმანი, კრატ მერსილი, მარკ რეველი                            | 2,512,234             | 52,880,216           |
| “ნაი ორენი ცეცხლის კრიზისი”                                                    | დენალ გორდონი      | მერკი კრატ მერსილი, კრატ მერსილი, კრატ მერსილი                | 1,302,162             | 12,622,044           |
| “მოსტი გოგონები”                                                               | მარკ ს. უოტკინი    | დონდა დიკსი, ტრეი ფი                                          | 1,078,811             | 62,711,658           |
| “განმარტე”                                                                     | მონდამ სარდლი      | მარკ მარტი, დენალ ფილმ, ვიასი კრევერი, კრატ მერსილი           | 973,644               | 2,941,708            |

თანამედროვე კოქის სინგლების ცხეული ათეული შირალ “ბილბორდის” მიხედვით

| Billboard Radio     |                                |                     |                             |
|---------------------|--------------------------------|---------------------|-----------------------------|
| 100.1 radio         |                                |                     |                             |
| შემაწელები          | სიმღერა                        | წიმა კვირის პოპიტია | ჩარტებში გატარებული კვირები |
| “ღმკინ პარკი”       | Lying From You                 | 2                   | 14                          |
| “ჯედი”              | Gold Hard Bitch                | 1                   | 15                          |
| “შემაწელები”        | The Reason                     | 3                   | 16                          |
| “მოსტი გოგონები”    | Oh-Check It Out                | 4                   | 3                           |
| “დიარედი სიბა წესი” | Silther                        | 6                   | 6                           |
| “იღვწილი ცხოვრება”  | (Can't Get My) Head Around You | 7                   | 12                          |
| “იღვწილი ცხოვრება”  | Talk Shows on Mute             | 10                  | 7                           |
| 311                 | Love Song                      | 8                   | 16                          |
| A Perfect Circle    | The Outsider                   | 8                   | 23                          |
| Modest Mouse        | Float On                       | 13                  | 9                           |









რატომ

## ქართველები საფრანგეთში მიდი-მოდია

პაატა თოთაძე

საფრანგეთში ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ბევრი რამ უკვე წინასწარა ცნობილ ზაფხულში მოთამაშეთ სხვადასხვა კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ჩემპიონის საინტერესოა ქართველ მორაგბეთა ამბები. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი მათგანის მომავალია ცნობილი. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლევან ცაბაძე და დათო აბუჯია დატოვებენ "მონფერანს". ორივე მათგანს კონტრაქტი დაუშთავრდა კლუბთან, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, ქართველების სამსახურით ტოპ 16-ის ანუ უმაღლესი დივიზიონის კლუბები არიან დაინტერესებულნი. თუ რომელი კლუბები არიან ისინი, სეზონის დამთავრების შემდეგ შევიტყობთ. ფრანგების ვარაუდით, ერთ-ერთი მათგანი "ბეზიე" უნდა იყოს. ამ ვარაუდის საფუძველს ფრანგებს ის აძლევთ, რომ "ვულკანებმა" "ბეზიედან" გოდერძი შევლიდის გადაბირება მოახერხეს. შევლიდის წასვლით გუნდს მაღალი კლასის პირველხაზელი დააკლდება და იძულებული იქნება, მის მაგივრად სხვა გადაიბიროსო. მართალია, "მონფერანს" შევლიდისთან ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ, ფრანგული წყაროების ცნობით, წინასწარი შეთანხმება მხარეებს შორის მიღწეულია და როგორც კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, შევლიძე ახალ კლუბში გადავა. ასე რომ, ცაბაძისა და აბუჯიას წასვლის მიუხედავად, მომავალ სეზონში კვლავაც მოგვინგეს "მონფერანს". გულშემატკივრობა.

კიდევ ერთი ქართველი, რომლის კლუბიდან წასვლაც გადაწყვეტილი ამბავია, ვანო ნადირაძეა. მეორესხაზელი ნადირაძე იწვიათად ხვდებოდა "ბეზიეს" ძირითადში, თანაც, კლუბთან კონტრაქტი დაუ-



ლენსიო "მონფერანიდან" მიდის

მთავრდა. ქართველი მორკინალის ბედი ჯერჯერობით არაა გარკვეული და სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე, ალბათ, არც გაირკვევა.

რაც შეეხება მეხუთე ქართველს, ბესიკ უდესიას, მან "შალონთან" კონტრაქტი გააგრძელა და

მომავალ სეზონშიც ამ კლუბის ღირსებას დაცავს. სხვა ქართველ მორაგბეთა ბედი კი სეზონის ბოლოს გაირკვევა.

ცაბაძისა და აბუჯიას გარდა, "მონფერანი" დატოვა თავისუფალმა ნახევარცენტრმა მერსერონმა,

კრივი

## კლირკოები

ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებს რომ უკრაინასა და რუსეთში გულშემატკივართა უზარმაზარი არმია ჰყავთ, უჩვეულო არავისთვის არ უნდა იყოს. კრივზე თავგადაკლულ გულშემატკივრებს აინტერესებთ, მიეცემათ თუ არა უკრაინელი გიგანტების მომავალი ორთაბრძოლების კიდეში ან მოსკოვში ხილვის შესაძლებლობა. აინტერესებთ ისიც, თუ რას აპირებენ კარიერის დასრულების შემდეგ. ისიც კი აინტერესებთ, რა აზრის არიან ერაყის ომზე, რატომ არ ჰყავს ვლადიმირს ოჯახი... და, საერთოდ, კლიჩკებზე ბევრი რამ აინტერესებთ. შემოკლებული სახით გთავაზობთ ერთგვარ სატელეფონო ინტერვიუს, რომელიც მოკრევეებს ჩამოართვეს ერთ-ერთი გამოცემაში მონაწილეობას.

- როგორი იყო ყველაზე არორდინარული საქციელი, რომელიც თქვენს თავყანისცემელს ჩაუდენია?

**ვიტალი:** ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად შვილისთვის ვიტალი ან ვლადიმირი დაურქმევიათ. სასიამოვნოა, მაგრამ მიმანია, რომ ცოტა ზედმეტია.

- რა როლს ასრულებს ფსიქოლოგი მოკრივისთვის ბრძოლაშდე ან, ვთქვათ, წაგებული ჩხუბის შემდეგ?

**ვიტალი:** ჩვენთვის ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ფსიქოლოგისა თუ ფსიქონალიტიკოსის მომსახურებით არ ვსარგებლობთ. აი, მაგალითად, კორი სანდრსი რინგზე გასვლის წინ მმართავს ფსიქოლოგ-პიანოზიორს, რომელიც მას გამარჯვებისთვის განაწავს. მაგრამ, რამდენადაც ვიცო, ასეთი რამ ყოველთვის არ ამართლებს.

**ვლადიმირი:** ჩემთვის ყველაზე კარგი ფსიქონალი ჩემი უფროსი ძმაა. მას, როგორც არავის, ისე ესმის, თუ რა მოხდა, თანაც, სიტუაციამი ყოველთვის ყველაზე უკეთ ერკვევა.

**ვიტალი:** არის ერთი ასეთი ანეკდოტი: ორი ფსიქონალიტიკოსი მთებში თხილამურებით სრიალებს. ერთ-ერთი მაგრად დაიმტვრევა. მეორე მიუახლოვდება და ეკითხება: "გტკივა? ძალიან გტკივა? გინდა, ამაზე ვილაპარაკო?"

- როდის ვიხილავთ ძმებს ევროპულ რინგზე და ვისთან? - ორთაბრძოლის ორგანიზება ძალიან ძნელია. მაგრამ თუ გამოინდა საინტერესო წინადადება, მაშინ მას მიეძღება.

- როი ჯონსი ბოლო დროს აცხადებს, რომ თქვენთან ჩხუბი სურს. რამდენად რეალურია ეს? - მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრისთვის როი ჯონსთან შესაძლო ორთაბრძოლისთვის წინასწარ მოლაპარაკებათა სერიას ვაწარმოვდით, მაგრამ რადგან ბოლო ორთაბრძოლა როი ჯონსმა ნა-



ეს ის დროა, როცა კლიჩკო მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ავო, ჩვენი გეგმებიც ჩაიშალა. და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, მანამდე საკმაო ლოდინი იქნება საჭირო.

- თუ საიდუმლო არაა, კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

- რა იქნება ხვალ, ამაზე პასუხს ვერაფერ გაგცემთ. მართალია, გარკვეული გეგმები გვაქვს, მაგრამ იგი უფრო საზოგადოებრივ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

- კრივის სკოლის გახსნას თუ აპირებთ?

- რა საჭიროა სკოლების გახსნა, როდესაც ისინი უკვე არსებობს? ჩვენ მათ მხარში ვუდგავართ, ეწყობთ ტურნირებს და, ვფიქრობთ, ეს საკმარისია.

- გერმანიაში კიდევ თუ აპირებთ ორთაბრძოლების გამართვას?

- ჩვენი ორთაბრძოლები შედგება გერმანიაში, ამერიკაში, რუსეთში, უკრაინაში, იაპონიაში... ვიტალი მსოფლიო ჩემპიონია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას ყველგან შეუძლია ორთაბრძოლის გამართვა. ვოცნებობთ, ერთ-ერთი ორთაბრძოლა მოსკოვში ან კიევში მოვაწყოთ, რადგან აქ უამრავი გულშემატკივარი გყავს.

- პრომოუტერ კლაუს-პეტერ კოლთან კონტრაქტი დაგიმთავრდათ. განიხილება თუ არა დონ კინგის კანდიდატურა?

**ვლადიმირი:** ისეთ მოკრევეებს, როგორებიც არიან ლენოქს ლიონი, ოსკარ დე ლა ჰოია, როი ჯონსი, აქვთ საკუთარი საპრომოუტერო კომპანიები. კრივში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. არსებობს კომპანია "K2 პრომოუშენი", რომედათანაც, ალბათ, ვითანამშრომლებთ მომავალში. კომპანიის პირველი წარმოდგენა ლოს ანჯელესში შედგა და წარმატებულდაც. ახლა იმაზე ვმუშაობთ, თუ ვინ უნდა იყოს ვიტალის შემდეგი მტკიცე და ვინ იქნება ჩემი. ისიც გაირკვევა,

თუ სად მოეწყობა ორთაბრძოლები. ვფიქრობ, ყველაფერზე ოთხ კვირაში გვექნება პასუხი. ამჟამად კიევზე, მართლაც, არის საუბარი, მაგრამ ერთობლივი მუშაობის გეგმები არ არსებობს.

- ვლადიმირ, თქვენს უფროს ძმას ჰყავს ოჯახი, შვილები. ამის გამო "თეთრი შური" ხომ არ გაგჩენიათ?

- მართალი გითხრათ, არსებობს "თეთრი შური". შესაძლია, უკვე აღარც, იმიტომ რომ ვიტალის შვილები ჩემი ძმისშვილები არიან. მომწონს მათთან თამაში. ვიტალიმ არაერთი მაგალითი მომიცა და ერთ-ერთი მისი ოჯახია. თუმცა, ჯერ ცხოვრების თანაგზავრი ვერ ვიპოვე. ვეძებ...

- ქალებს აინტერესებთ რას ჭამთ, რა გიყვარო?

- საქმელად ვიტალისთან სიარული მიყვარს. მისი მეუღლე ნატალია არაჩვეულებრივი მზარეულია. პრაქტიკულად ყველაფერს ამზადებს.

- კარგი მზარეულობა აპის თუ არა ერთ-ერთი მოთხოვნა თქვენი მომავალი მეუღლისადმი?

- დიას. სხვაგვარად რომელი კაცი გაძლებს? სიბრძნე ქადაგებს, კაცის სიყვარული კუჭზე გადისო.

- ვლადიმირ, კრივი რომ არა, რას ისურვებდით?

- რომ არა კრივი, ალბათ, ფერწალი გამოვიდოდი, რადგან სამედიცინო სასწავლებელში მინდობა ჩაბარება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს არ გამომივიდა.

- ვიტალი, ცხოვრებაშიც ისევე იცინებთ, როგორც რინგზე? და, საერთოდ, რამდენად ემოციური ხართ?

- საინტერესოა. მართალი გითხრათ, არ მასხოსს, შეშვინებინოს.

**ვლადიმირი:** იცით, ვიტალი ფლობს რუსულ ენას. ვერ ვიტყვი,

რომელიც, სავარაუდოდ, "გრენობლში" გააგრძელებს კარიერას. მას უელსის ნაკრების 10 ნომერი სტივენ ჯონსი შეცვლის. დიდი დანაკლისი აქვს "სტად ფრანსეს", რომელიც ერთბაშად ოთხმა მორაგბემ დატოვა, აქედან ორი ნახევარმცველია - დიეგო დომინგესი და აუგუსტინ პიშო. არგენტინელი პიშო ვერ შეწყნო გუნდს და ინგლისში დაბრუნება მოისურვა, დომინგესმა კი კარიერის დამთავრება გადაწყვიტა, თუმცა, საბოლოოა თუ არა მისი გადაწყვეტილება, მაღე გამოჩნდება. მას აქამდეც რამდენჯერმე დაუნებიათ თავი აქტიური სპორტისტის, მაგრამ, რაგბის გარეშე ცხოვრება არ შემიძლიათ და, ისევ დაუნყია თამაში. დომინგესის წასვლის შემდეგ კლუბმა სასწრაფოდ ათი ნომრის ძებნა დაიწყო. მართალია, "სტად ფრანსეში" დომინგესის გარდა კიდევ ორი თავისუფალი ნახევარმცველია, მაგრამ, კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ერთი მაღალი კლასის ნახევარმცველი აუცილებელია. ასეთად მათ "გრენობლის" მერსიე მიანჩიათ, თუმცა, მასზე "მონფერანიც" აცხადებს პრეტენზიას.

ყველაზე მეტად დომიტრი იაშვილის "ბიარიცი" და "აჟენი" ძლიერდება. იმის მიუხედავად, რომ ბასკურ კლუბს ტონიტა და აიზეკი ტოვებენ, მომავალ სეზონში იაშვილის თანაგუნდელები ისეთი მორაგბეები იქნებიან, როგორებიც არიან არინორდოკი, ტრაი, ფლანკერი ლეკუ "ტულუსიდან", ოგიუსტი "სტად ფრანსედან".

რაც შეეხება "აჟენს", მომავალი სეზონიდან კლუბში კაუკასიზიუკა და უელსის ნაკრების კაპიტანი კოლინ ჩარვისი ითამაშებენ. მათ გარდა, კლუბს სურს გადაიბიროს რამდენიმე პერსპექტიული მორაგბე, რომლებმაც, "აჟენის" უფროსობის თქმით, მწიშნოლეონად უნდა გააძლიერონ კლუბი.

### ფაზიო კაპელო "იუვენტუსს" გაწვრთნის

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ფაზიო კაპელო ტურინის "იუვენტუსის" მწვრთნელად დაინიშნა. კონტრაქტი სამწლიანია. პარასკევს "იუვეს" ბანაკში ორი ხმაურიანი ფაქტი მოხდა. პირველი სამწუხაროა.

69 წლის ასაკში გარდაიცვალა უმბერტო ანიელი, რომელიც ტურინული კლუბის მთავარი აქციონერი და იტალიური კონცერნის "ფიატის" ხელმძღვანელი იყო. ანიელი კონცერნისა და კლუბის ხელმძღვანელობა მას შემდეგ იტვირთა, რაც გარდაიცვალა მისი უფროსი ძმა ჯანი. წინასწარი შეფასებით, სიკვდილის მიზეზი კიბო გახდა.

მეორე ამბავი სასიხარულოა. სამწვრთნელო შტაბს სათავეში ჩაუდგა კლუბის ყოფილი ფეხბურთელი და ამიერიდან სამი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი ფაზიო კაპელო.

"იუვენტუსმა" იტალიის წლევედელი ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა, რის შემდეგაც მწვრთნელმა მარჩელო ლიპიძე განაცხადა, რომ კლუბს ტოვებს. მწვრთნელმა, რომელმაც, 2001 წლიდან მოყოლებული, გუნდთან ერთად ორჯერ მოიგო "სკუდეტო", განაცხადა: "ეს შესანიშნავი წლები იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ წასვლა

### ააჟი ნიკოლაიდისისაა

საბერძნეთის ნაკრების ფორვარდი ფემისტოკლის ნიკოლაიდისი, ყველა პრობლემის მიუხედავად, მაინც გახდა ათენის აეკის მთავარი აქტიური და ამით კლუბის ყველაზე უფრო აგრესიული ფანების სურვილი დააკმაყოფილა.

აეკმა, რომელსაც მწვავე კრიზისის დრო დაუდგა, ახლახან შეიცვალა მფლობელი. ამ მოვლენას წინ უძღოდა საშინელი სკანდალი, რომელიც ნაკრების ბანაკმა ევრო 2004-ის წინ გადაიტანა.

გულშემატკივარი აღმფთვდა იმით, რომ კლუბზე მფლობელის შეცვლის მიზნით ზენოლა ხორციელდებოდა. თუმცა, ფაქტია, რომ ნიკოლაიდისის მიერ თავისი ყოფილი კლუბის შეძენა, ალბათ, მომწიფდა და ეს პროცესი კიდევ განხორციელდა.

როგორც მადრიდის "ატლეტიკოსა" და საბერძნეთის ნაკრების ფორვარდმა ნიკოლაიდისმა განაცხადა, ის უახლოეს პერიოდში დაიწყებს მუშაობას პრეზიდენტის პოსტზე. "ამიერიდან ჩემს კონტრაქტს კლუბის აქციათა 58 პროცენტი დაექვემდებარება", - განაცხადა ნიკოლაიდისმა.

ეს ნიშნავს, რომ სწორედ მას ეკუთვნის აქციების საკონტროლო

ის დრო დადგა".

ამბიციური "იუვენტუსისთვის" ჩემპიონობის გარდა სხვა შედეგი არ არსებობს. ალბათ, ამიტომ ჩემპიონატის პრინჯაოს მედლები კლუბის ხელმძღვანელობამ შეაფასა, როგორც წარუმატებლობა. ლიპის გადადგომის შემდეგ ამბობდნენ, რომ "იუვეს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეიძლება დანიშნულიყო ჩემპიონთა ლიგის წლევედელი გათამაშების ფინალისტის, "მონაკოს" მწვრთნელი დიდო დეშამი ან "პარმას" ხელმძღვანელი ჩეზარე პრანდელი. თუმცა, არჩევანი სხვა მწვრთნელზე, ფაზიო კაპელოზე შეჩერდა.

57 წლის კაპელო თავისი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში სათავეში ედგა ფეხბურთის ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან "მილანი" და მადრიდის "რეალი". 2001 წელს მან იტალიის "რომას" (რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობდა), იტალიის ჩემპიონატი მოაგვინა, ხოლო მას შემდეგ, რაც "რომას" ბანაკში ფინანსურმა კრიზისმა იჩინა თავი, კაპელო სხვა კლუბში გადასვლაზე დაფიქრდა. "თუ რომას" დატოვება მომიწევს, კარიეიქნება, უცხოურ კლუბს ჩავუდგე სათავეში", - აცხადებდა კაპელო. თუმცა, ამის მიუხედავად, ის იტალიაში რჩება.

პაკეტი და ამიერიდან სწორედ ნიკოლაიდისი გადაწყვეტს კლუბში დაგროვილ საკვანძო საკითხებს. ამ პოსტზე ფორვარდმა შეცვალა ინგლისური კომპანია ENIC-ი, რომელიც კლუბის საკონტროლო პაკეტს ნიკოლაიდისამდე ფლობდა.

ამრიგად, ინვესტორთა ჯგუფი, რომლის შედღაინერი ნიკოლაიდისი იქნება, დაიწყებს კლუბის კრიზისიდან გამოყვანის გეგმის განხორციელებას. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ნიკოლაიდისს არაფერი უთქვამს დებოშის ორგანიზების შესახებ. ამას გარდა, ახალ პრეზიდენტს არც იმის შესახებ უთქვამს რაიმე, რომ კლუბის წამყვანი ფეხბურთელებისთვის ხელფასის შემცირებას აპირებს. ეს კი ნიშნავს, რომ საბერძნეთის ნაკრებში ნიკოლაიდისის ამ შენაძენის შემდეგ აბმოწფერო თვისებრივად სხვა დონეზე განვითარდება, რადგან უცნობია, როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდება ახალ პრეზიდენტსა და აეკის იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ნიკოლაიდისთან ერთად ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავენ (ასეთი გუნდში ხუთია). ნიკოლაიდისს ხომ ნაკრებში მათ ვკერძოთ მოუწევს თამაში?

კალენდარი

### "ყველა ვარსკვლავთა მატჩის" მიმდინარეობა

აქციის გენერალური სპონსორია სააქციო საზოგადოება "აღდაგი"

14:20 მიკროტურნირის ნახევარფინალები (2 მატჩი ერთდროულად) 14:40 მოთელვა

15:00 მოთამაშეებისა და მწვრთნელების გამოცხადება; მატჩი პირველი პერიოდის შემდეგ - სამეჭულიანების კონკურსი (დაჯილდოება)

შესვენებისას - მიკროტურნირის ფინალი (დაჯილდოება) მესამე პერიოდის შემდეგ - ჩატენვების კონკურსი (დაჯილდოება) თამაშის შემდეგ - საუკეთესო მოთამაშის დაჯილდოება

მონაწილეობან:

ქ) მიკროტურნირი:

კ) მატჩი ნოდარ - ჯაფარიძე ირაკლი - კუბატაძე მაკა გურასაბული პაატა - როდუმტა პლასიდი - ბუილიშვილი თამარ სანაძე გია - შენგელია კახა - ქაჯაია ლიკა ჩერქეზიშვილი ნიკო - ბერძენიშვილი დავით - მხიძე მედეა

ბ) სამეჭულიანების კონკურსი: ნონელია გოჩა - "მაკაბი" გოგობერიშვილი რამაზ - "დინამო" ბერიშვილი ირაკლი - "ბასკო" კეშელავა ლაშა - "ბასკო" ლოსაბერიძე ლაშა - "დინამო" თორთლაძე დავით - "ოსუ" ჯირმელიშვილი ლევან - "რუსთავი"

გ) ჩატენვების კონკურსი: მინაშვილი ვახტანგ - "დინამო" ტუჯაშვი ჟოლივეტი - "ბასკო" კუდიია ირაკლი - "დინამო" ბოისა ანატოლი - "ბასკო"

დ) "ყველა ვარსკვლავთა" მატჩი: "თიერები"

უკანა ხაზი:

თორთლაძე დავით - "ოსუ" ბერიშვილი ირაკლი - "ბასკო" ბერიშვილი დავით - "ბასკო" გაბისონია ზაზა - "რუსთავი"

ჩატენვების კონკურსის ჟიური:

ნიკოლოზ დერიუგინი რეზო ჩხეიძე ვახტანგ ნაცვლიშვილი ნიკა ცქიტიშვილი





კეთილშობილური ნაწარმოები

გულახდილად

## პირველი ტანბო თხილისში



"თავის არტს" და მის გენერალურ დირექტორს ანი ლალიძეს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ სიაშინებისთვის, რომელიც მათ მიერ მოწოდებული კონცერტ "ტანგო და ჯაზი - Libertango"-ზე მივიღე.

ვერ გეტყვით, რომ ტანგოსთან დიდი შეხება მქონია, მაგრამ ვფიქრობ, ის იმ იშვიათი ცეკვათაგანია, რომელსაც საკუთარი ფილოსოფია გააჩნია, ენებებს, ემოციებს სრულებით შეუნიღბავად გამოხატავს და მე-19 საუკუნეში, არგენტინის დედაქალაქში სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტების მიერ ჩამოტანილი მემკვიდრეობისა და ცეკვების საფუძველზე, სწორედ ადამიანური გრძნობების გულახდილად გადმოცემად შეიქმნა.

ოპერის სახე დარბაზში ორი საათი ვიჯექი და სადღაც, ლათინური ამერიკის ოკეანის სანაპიროზე, პატარა, მყუდრო ბუნგალოში მეგონა თავი. ალბათ, წარმოდგენის წარმატება ის არის, როდესაც მისი სრული თანამონაწილე ხდები და გავიწყდება, ვინ ხარ და სად. ჩემს პირად შთაბეჭდილებაში რა ულხაურენა - ასაკოვანი ურუგავი ბანდონიონი (მუს. ინსტრუმენტი) უნდა გამოვყო. კონცერტის მსვლელობისას ყველაზე ხშირად სწორედ მას ვუყურებდი. მაღალი პროფესიონალიზმი, ტალანტი, ნო-

ვატორობა, ეტყობა, განსაკუთრებული გიზიდავს. ხუთი გერმანელი მუსიკოსისგან შემდგარი ინსტრუმენტული ჯგუფის შესანიშნავ შესრულებას, ლათინური მარშითა და ცეცხლოვანებით აღსავსე ვოკალისტი მარგა მიტჩელი და მოცეკვავეთა წყვილი მაქსიმალურ ენსა და სიცოცხლეს მატებდა. მთლიანობაში წარმოდგენას კი ახალგაზრდა მხატვარ ანა ნინუას შექმნილი ზომიერი, კულტურული სცენოგრაფია კრავდა.

ტანგო ჩემთვის სუფთა, რომანტიკულ სიყვარულთან, ქალის და მამაკაცის ბუნებრივ ლტოლვასთან, თავისუფლებასთან, სევდასთან და ლათინურ კულტურასთან ასოცირდებოდა. ამიტომ არ შემიძლია არ აღვნიშნო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის მიერ შექმნილი და განსაკუთრებული ლათინური ემოციით შესრულებული ტანგო, რომელიც კონცერტის შთაბეჭდველ პროგრამაშიც კი იმ სითბოთი და სილამაზით გაიბნო ჩემდა, რომელიც ქართულ მუსიკას ახასიათებს.

კონცერტი დამთავრდა და შედეგად ტანგოზე, კონცერტის მონაწილეებზე, ვაჟა აზარაშვილზე და ლირებული მუსიკის ფასის კარგად მცოდნე ქართველ მაყურებელზე შეყვარებული დავრჩი.



მარი ბროსი

## ერთიანობის გაერთიანებული მემორიალი

ამ დღეებში ცისფერ გალერეაში "ეროვნული ერთიანობის მემორიალის" კონკურსის სანახავად შევედი და ნეტავ არ შევსულიყავი! ის, რაც გამოვინიღე ვნახე, ვერ გეტყვით, რომ მომეწონა ან არ მომეწონა, უბრალოდ, შევწუხდი, დავითრგუნე. ნუთუ ქართველი შემოქმედები ასეთ ღრმა კრიზისში იმყოფებიან? მიჩვენია ვიფიქრო, რომ მონუმენტის იდეა, რომელიც თავიდან 9 აპრილით დაიწყო, ეროვნული ერთიანობით დასრულდა და ამიტომ საკმაოდ ბუნდოვანი გახდა, ჯერ მომნიშვნელოვანი არ არის, როგორც საზოგადოებისთვის, ისე მისი შემოქმედ ნაწილისთვის.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც განსაკუთრებული ენერგიულობით, სიარულის ტემპით, კიბეებზე ასვლა-ჩასვლით, გადაფრენა-გამოფრენით გამოირჩევა, მონუმენტის დადგენაშიც საკუთარ ტემპს არ ღალატობს, ჩქარობს და 1 სექტემბერს რუსთაველზე 9 აპრილის თუ ეროვნული ერთიანობის სიმბოლო უნდა იხილოს. კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც პრეზიდენტის ტემპს ვერც და არც უნდა აჰყვეს. ეს საკითხები ნებისმიერ ერთ პრეზიდენტზე არ არის გათვლილი, მომავალ თაობებსაც ეკუთვნის და, შესაბამისად, ბევრად მეტ დროს, დაფიქრებას, სერიოზულობას, გააზრებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. "ეროვნული ერთიანობის მემორიალი" ასობით ერთი-

მეორეზე უკეთესი ნამუშევრებიდან ძნელად ასარჩევ ერთ საუკეთესოს უნდა გულისხმობდეს და არა სამინელო, სამარცხვინოდან ყველაზე სიმპათიურ, უპრეტენზიო, ნაკლებად გამაღიზიანებელს. ამას ათი კონკურსის ჩატარება თუ დასჭირდება, უნდა ჩატარდეს. ამას თვეები და თუნდაც წელი თუ დასჭირდება, ჩვენც და საქართველოს პრეზიდენტსაც უნდა დავიცადოთ, მაგრამ ნაჩქარევ, მიუფრთხილ, რეალურად არაფრის მოქმედ მემორიალს, დამიჯერეთ, სულ უმემორიალობა სჯობს. ვადგბის კონკრეტულობის ტენდენცია უნდა იქნას. კომუნისტურ ხელისუფლებას, წლიურ, თვიურ გეგმებს მაგონებს. სწორედ ასეთი ნაჩქარევის და სხვისი აზრის გაუთვალისწინებლობის "შედეგური" მაგალითი - რესპუბლიკის მოედანი ჩვენს ქალაქს უკვე "ამშენებებს". წინა პრეზიდენტის და მამინ კი ცეკას მდივნის ახირებას, ნოემბრის ალღუმი ახალ მოედანზე ჩატარებინა, თბილისის უღამაზესი ნაწილი შევინარა. დღეს კი რაღაც გაუგებარ 1 სექტემბრის ვადას ყველაზე ამაღლებული იდეა უნდა შევინეროთ? ნუთუ ქალაქში ისეთი ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები არ გვყავს, რომლებსაც იუმორით და გემოვნებით აღსავსე თბილისელებმა სხვადასხვა სახუმარო, დამცინავი სახელები შეარქვეს. "ანდროპოვის ყურები", "სეროფას სიზმარი" და სხვა უკვე გვაქვს. ძალიან გიხოვთ,

ნუ იჩქარებთ, ასევე გაზომეთ და ერთხელ გაჭირთ. ეს ხომ ჩვენივეს ძალიან ღირებულს, ძვირფასს, ამაღლებულს ეხება და თავს ნუ გავიპაპულვებით. დღევანდელი კონკურსი კი, ორიოდ ნამუშევრის გამოკლებით, პამპულობას უფრო წაავსებს. ნუთუ არ შეიძლება ამ კონკურსში რამდენიმე მეტ-ნაკლებად ნორმალური ნამუშევარი აირჩეს და კი არ შეერწყას ერთმანეთს, არამედ, კონკურსის შემდეგი ეტაპი გამოცხადდეს, მეგრე კიდევ ერთი და ასე გაგრძელდეს, სანამ ერთი, მართლაც ღირებული, არ შეიქმნება. ეროვნული ერთიანობის მეორეული უფრო ლოგიკურ ვადგბში უნდა ჩაჯდეს, რაიმე სხვა თარიღს მისაღებად და არა 1 სექტემბერს, რომელიც ჩვენში მხოლოდ პირველი ზარის და არა ეროვნული ერთიანობის ან, მით უმეტეს, 9 აპრილის ასოციაციას იწვევს. საქართველოს პრეზიდენტს კი დიდი მოკრძალებით ვთხოვ, მისი შთაბეჭდველ-მისაღებლებში ენერგიულობა, მოქმედების ტემპები და რადიკალიზმი ამჯერად განიზრახოს უფრო, მოთმინებით შეცვალოს, კონკურსი რამდენიმე ეტაპად ჩაატაროს, ყოფილი შემადგენლობა ეტაპობრივად გააზრავდეთ როგორც, შეცვალოს და საქართველოს ეროვნული ერთიანობის მემორიალი შესაბამისი პასუხისმგებლობის და არა ნაჩქარევ-მიუფრთხილად დაიდგას.

## მენტალური სიახლეები

შეიძლება იფიქროთ, რომ იმაში ვერევი, რაშიც არაფერი გამეგება. მართალია, პერალდკაში ნამდვილად არაფერი მესმის და სწორედ ამიტომ ახალი გერბის აურაცხელი როდენობის დეტალის გარჩევას არ ვაპირებ. უბრალოდ, ორი სიტყვით მაინც გეტყვით, რომ მე პირადად, გერბი ზედმეტად პომპეზური, გადატვირთული და ელემენტარულად უგემოვნო მეჩვენება, თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ. ამ პატარა წერილში კი ახალი გერბის ახლად აღმოცენებულ ავტორს, რომელიც ამ დღეებში ტელევიზორიდან საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას გამოხატავდა და "საბჭოთა მენტალიტეტის, დროის მხატვრების" დრომოქმედობაზე საუბრობდა, რამდენიმე შეკითხვა მინდა დავუსვა. პირველი - სად, რომელ განვითარებაში კამიტალიზმის ქვეყანაში დაიხდა და გაიზარდა? მეორე - "ახალი მენტალიტეტი" რას ნიშნავს? თუ იგი გასული წლის ნოემბრიდან იღებს სათავეს, ვარდით არის შეღამაზებული, წვიმაში ცო-

ტა გალღვა, დასველდა, შედეგად კი სპეკულაციის უფრო დაემსგავსა, მამინ, ეგება, მყარი, საფუძვლიანი, პრინციპული, ძველი დროიდან მოყოლილი მენტალიტეტი გვირგვინია? მესამე - ახალი ტალის გარჩევას არ ვაპირებ. უბრალოდ, ორი სიტყვით მაინც გეტყვით, რომ მე პირადად, გერბი ზედმეტად პომპეზური, გადატვირთული და ელემენტარულად უგემოვნო მეჩვენება, თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ. ამ პატარა წერილში კი ახალი გერბის ახლად აღმოცენებულ ავტორს, რომელიც ამ დღეებში ტელევიზორიდან საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას გამოხატავდა და "საბჭოთა მენტალიტეტის, დროის მხატვრების" დრომოქმედობაზე საუბრობდა, რამდენიმე შეკითხვა მინდა დავუსვა. პირველი - სად, რომელ განვითარებაში კამიტალიზმის ქვეყანაში დაიხდა და გაიზარდა? მეორე - "ახალი მენტალიტეტი" რას ნიშნავს? თუ იგი გასული წლის ნოემბრიდან იღებს სათავეს, ვარდით არის შეღამაზებული, წვიმაში ცო-

თრი პერანგის ასე ოსტატურად, რეალისტურ-მედიცინურად ხატვა სად ისწავლა, როგორც ხატვაში, ისე ეთიკაში, მისი პედაგოგები ვინ იყვნენ? მე არც არავის მეზობელი და ნათესავი, საბჭოთა მხატვრის ოჯახში დაბადებული, გაზრდილი ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, რომლის ქვეყნის გერბზე დღეს ამდენი კამათი მიმდინარეობს. თუმცა, როგორც პროფესიით მხატვარ გრაფიკოსს, მგონია, რომ საკამათო ამ შემთხვევაში არაფერია. გერბი გაპარაწყულია, მით უმეტეს, ისეთი ლამაზი, ნათელი დროშის და შთაბეჭდველ-ამაღლებული ჰიმნის ფონზე. "ახალი მენტალიტეტის" მქონე ახალ მხატვარს კი იმას ვეტყვით, რაც წესით თვითონაც კარგად უნდა სცოდნოდა, რომ დაბადების თარიღი მენტალიტეტს არ განსაზღვრავს, პომპეზური გერბი ძლიერ სახელმწიფოს არ გულისხმობს, ამბიციური, თვითდარწმუნებული მხატვარი კი კარგ მხატვარს არ ნიშნავს.

## უხველეთ დადას

რა ვქნა, იფიქრეთ, რომ ენატანია ვარ და საბურთალოს რაიონის სატელეფონო კვანძის სამსახურს, მის ანონიმურ უფროსს, რომლის გვარის გაგება სახელმწიფო საიდუმლოს ტოლფასია და №21 კომუტატორს ვასმენ, მაგრამ არ შემეძლო, ჩემი აღშფოთება არ გამოვხატა და შესაბამისი სამსახურის ყურადღება საბურთალოს ტელეფონების სამსახურში არსებულ ანარქია-განუკითხაობაზე არ გამემახვილებინა. აი, უკვე ათი დღეა, რაც დედა-

ჩემის ტელეფონის ბედი ვინმე №21-ის ხელშია, არ მუშაობს და ყოველდღიური თხოვნის, მუდარის, ჩხუბის მიუხედავად, ყურსაც არ იბერტყავენ, არავინ აკეთებს, არავინ ცდილობს. ათი დღის განმავლობაში უხეში, მოკლე პასუხებისა და დაკიდებული ტელეფონის შედეგად ზუმერის გარდა არაფერი მესმის. გარდა იმისა, რომ დედა გარესამყაროს არის მოწყვეტილი, მე, პირადად, ელემენტარულად, შეურაცხყოფილი ვარ ამგვარი აგებული, უპატი-

ვცემული, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. მაინტერესებს, საბურთალოს სატელეფონო კვანძი, მისი X უფროსი და ნუმერირებული თანამშრომელი ვის იგდებს მასხრად, რის ფასად და როდემდე? ვინ უნდა დაამყაროს წესრიგი არსებულ ქაოსში, ვინ უშველის დენაჩევს და საბურთალოს რაიონის ტელეფონის მქონე სხვა მაცხოვრებლებსაც, რომელთა კომუნიკაციულურობას ამგვარი მუშაობის პირობებში საფრთხე ემუქრება.

## ქმდვენება მხატვართა კავშირის 70 წლისთავს

ესმა ონიანის ღვინისფერი სამყარო

კიდევ ერთი კარგი გამოფენა



ადამიანი შეიძლება ხატავდეს, წერდეს, უკრავდეს, მაგრამ შემოქმედის მაღალ ნოდებს მხოლოდ ქმნილობა ინტელექტუალი, მოაზროვნე იმსახურებს. ესმა ონიანი - ლექსების, ფილოსოფიური ცხედების ავტორი, ღრმა, განცდე-

ბით აღსავსე, საინტერესო პიროვნება ფერწერაშიც სწორედ იმ განსაკუთრებული სიღრმით გამოირჩევა, რომელიც ხელოვნებაში ყველაზე მეტად ღირებულია, სამწუხაროდ, ასეთი იშვიათია. ღვინისფერი ტონების ფერწერული



სამყარო, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ესმა ონიანის სამყარო, განსაკუთრებული სითბოთი, ცხოვრებისადმი, გარემო არსებულისადმი კეთილგანწყობით, ცოდნით, სიყვარულით გამოირჩევა. მის მიერ შექმნილ პორტრეტებზე ქართული ინტელიგენციის სახასიათო სახეები გამოისახული, ანუ ის ხალხი, ვინც მხატვარს მოსწონდა, აინტერესებდა, ვისთანაც მეგობრობდა, ურთიერთობდა. მათთვის წერდა, ხატავდა, ფიქრობდა, ცხოვრობდა, ვინც უყვარდა და ვინც სიყვარულითვე პასუხობდა, ვისი თვალსაწირო წარმომადგენელი თავად იყო და ვინც მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში და დღესაც მის გვერდზეა. ოღონდ, ახლა გალერეა "კოპალაში" - ესმა ონიანის პიროვნულობით, ინდივიდუალობით აღსავსე, ყოვლისმთქმელ, შთაბეჭდველ ნამუშევართა გამოფენაზე.



ჩემ მიერ არაერთხელ ნაქმ, კულტურულობით და ინტელიგენტურობით გამოირჩეულ გალერეა "პოპიში", მხატვართა კავშირის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართული მხატვრების გრაფიკული ნამუშევრების კიდევ ერთი კარგი გამოფენა გაიხსნა. მე პროფესიით მხატვარი გრაფიკოსი ვარ და შეიძლება ამიტომ, სახვითი ხელოვნების სწორედ ეს დარგი განსაკუთრებულად მიყვარს. დახვეწილად, ყოვლისმთქმელად, მრავალფეროვნად მიმართა და გირჩევთ, ქართული მხატვრების მიერ დანახული და გადმოცემული მდიდარი გრაფიკული სამყარო გალერეა "პოპიში" აუცილებლად ნახოთ.



მარი ბროსი







